ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

შაბათი, 2 ოქტომბერი, 2004 წელი. №229 (4958) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



◎ პრეზიდენტი

უნივერსიტეტის დიდ სამეცნიერო საბჭოზე



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეგრეველმა რექტორის პოსტის დაგოვების შესახებ გუშინ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

როინ მეგრეველმა თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ესწრებოდა.

უნივერსიტეტის უკვე ყოფილმა რექტორმა უნივერსიტეტში შეკრებილი აუდიტორიისა და პრეზიდენტის წინაშე რექტორის თანამდებობაზე 13-წლიანი მუშაობის შედეგებზე საკმაოდ ვრცლად ისაუბრა. მეგრეველმა ხაზგასმით განაცხადა, რომ თანამდებობას საკუთარი სურვილით ტოვებს.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორად დაინიშნა პროფესორი რუსუდან ლორთქიფანიძე, რომელიც უნივერსიტეტის რექტორობის ერთ-ერთი კანდიდატი იქნება.

დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გამოსელისას, პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება განათლების სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტს დაუთმო და განაცხადა, რომ ამ რეფორმის საფუძველზე უნივერსიტეტში ცვლილებები მხოლოდ უკეთობისკენ წარიმართება.

პრეზიდენტმა პირდაპირ განაცხადა, რომ არცერთი პროფესორ-მასწავლებელი ქუჩაში არ დარჩება. მისი თქმით, სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი ძველი მეცნიერ-მუშაკების შენარჩუნებასთან ერთად, ახალი კადრების მოზიდვაა.

პრეზიდენტი მეცნიერ-თანამშრომლებს დაპირდა, რომ მომავალი წლიდან განათლების ბიუჯეტი 100 პროცენტით გაიზრდება. მისი თქმით, განათლების სექტორის დაფინანსების გაზრდა ძირითადად პრივატიზაციიდან შემოსული თანხების ხარჯზე მოხდება.

მან ისაუბრა კანონპროექტით გათვალისწინებულ კიდევ ერთ დეტალზე, რომელიც უნივერსიტეტში ასაკობრივი ცენზის დაწესებას ითვალისწინებს და განაცხადა, რომ მისთვის ასაკობრივი შეზღუდვის შემოღება მიუღებელია.

მისივე თქმით, განათლების რეფორმების შესახებ მომზადებული კანონპროექტი საყოველთაო განხილვის ობიექტია.

მიხეილ სააკაშვილმა უნივერსიტეტში შეკრებილ აუდიტორიას მოუწოდა, გაგრძელდეს ამ თემაზე დისკუსია და მოიწვიონ განათლების მინისტრი, ასევე პრემიერ-მინისტრი.

პრეზიდენტმა ამ თემაზე სასაუბროდ უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკებთან კიდევ ერთხელ შესახვედრად მზადყოფნა გამოთქვა.

ინტერ-პრესი.

ნომერში წაიკითხავთ:

გამოჩნდებიან თუ არა ჩვენს სკოლებში ჯოხზე გადამჯდარი კუდიანები?

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის რეფორმის შესახებ გვესაუბრება პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი.

მე-3 გვ.

განა ყველა სიახლე კარგია...



საეჭვო უცხოური კომპანიების ნოვაციებს გამოცდილი მამაპაპური მეთოდები სჯობს, — გვარწმუნებს ნაზი იმნაიშვილი.

მე-4 გვ.

კაცი, რომელსაც უკან მოხედვის არ შერცხვება

90 წელი შეუსრულდა აკადემიკოს მამია გოგოლიშვილს.

მე-5 გვ.

უნდა გაიყიდოს თუ არა ყველაფერი?..



რას გვასწავლიდა ამის თაობაზე ილია ჭავჭავაძე?

მე-6 გვ.

◎ კანონმდებლები

ახალი გერბი დამტკიცდა!

საქართველოს დღეიდან ახალი სახელმწიფო გერბი აქვს, რომლის ავტორიც ჰერალდიკოსი მამუკა გონგაძეა.

პარლამენტმა გუშინ „სახელმწიფო ატრიბუტიკის შესახებ“ კანონში ცვლილება შეიტანა და კონკურსში გამარჯვებული გერბის პროექტის სახეცვლილი ვარიანტი დაამტკიცა. საქართველოს სახელმწიფო გერბი პარლამენტმა 130 ხმით სამის წინააღმდეგ მიიღო.

საქართველოს სახელმწიფო გერბზე ძლიერების სიმბოლო — ორი ლომია გამოსახული, რომელთა შუაში ფარია, მასზე კი, წითელ ფონზე წმინდა გიორგის ხატებაა. ფარის ზედა მხარეს სამეფო გვირგვინია განთავსებული.

ოპოზიციამ „ნდობის ჯგუფში“ თავისი კაცი ვერ გაიყვანა

საქართველოს პარლამენტმა „ნდობის ჯგუფში“ ოპოზიციის კვოტით წარდგენილი დავით გამყრელიძის კანდიდატურა ჩაბგდო. კანონის თანახმად, პარლამენტის „ნდობის ჯგუფი“ ხუთკაციანი უნდა ყოფილიყო, რომელშიც სამი უმრავლესობის წევრი, ერთი მაჟორიტარი დეპუტატი და ერთიც ოპოზიციის წარმომადგენელი უნდა მესულიყო.

პარლამენტმა დღეს მხოლოდ „ნდობის ჯგუფის“ ოთხი კანდიდატი — გიგი თარგამაძე, დათო კირკიტაძე, ნიკა რურუა და ბესო ჯუღელი დაამტკიცა.

საპარლამენტო პროცედურის მიხედვით, იმის გამო, რომ ოპოზიციის კვოტით წარდგენილი დავით გამყრელიძის კანდიდატურა დღეს ჩავარდა, „მეშარჯვენე ოპოზიციამ“ პარლამენტს „ნდობის ჯგუფში“ გასაწევრიანებლად ახალი კანდიდატურა უნდა შესთავაზოს.

პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე დამოუკიდებელ დეპუტატთა საბჭოს სახელით „ნდობის ჯგუფში“ პარლამენტს საკუთარი კანდიდატურა პარლამენტარმა კობა დავითაშვილმაც შესთავაზა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა მოუწოდა დავითაშვილს, საკუთარი კანდიდატურა პარლამენტის ბიუროსა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს განსახილველად წერილობით წარუდგინოს.

აფხაზეთთან დაკავშირებული განცხადება ვერ მიიღეს

საქართველოს პარლამენტმა კვორუმის უქონლობის გამო, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ მომზადებული განცხადება ვერ მიიღო. დეპუტატებმა აფხაზეთში 3 ოქტომბრის უკანონო საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის სახელმწიფო და ოფიციალური წარმომადგენლების დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობის გასაპროტესტებლად ვერ მოიცალეს.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის სალომე სამადაშვილის განცხადებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განცხადება რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს და საერთაშორისო ორგანიზაციების კომიტეტის სახელით გაეგზავნება.

საქართველოს პარლამენტი აღნიშნული განცხადებით მოუწოდებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლებს, თავი შეიკავონ საერთაშორისო ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის უხეშ დარღვევაში მონაწილეობისგან.

იხ. მე-2 გვ.

◎ პრემიერ-მინისტრი

2 მილიარდ ლარზე მეტის დახარჯვაა განზრახული

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ მთავრობამ კონსტიტუციური ვადების დაცვით პარლამენტში 2005 წლის ბიუჯეტის პროექტი წარადგინა. პროექტის მიხედვით, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 2 106 000 000 ლარით განისაზღვრა, რაც 2004 წლის ხარჯვით ნაწილს შვიდი პროცენტით აღემატება.

— ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მთავრობა წლის განმავლობაში 2 მილიარდ ლარზე მეტის დახარჯვას გეგმავს, — განაცხადა ჟვანიამ. მისი თქმით, ზრდის მიუხედავად, ეს არც ისეთი დიდი ნახტომია, როგორც ეს 2003-2004 წლებში იყო.

— ეს გამოწვეულია იმით, რომ ახალი ბიუჯეტი ახალ საგადასახადო კოდექსზე დაყრდნობით შემუშავდა. ახალი კოდექსი კი გადასახადებისა და განაკვეთების შემცირებას ითვალისწინებს, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების 20-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა და 1 474 000 000 ლარი შეადგინა. თუმცა ჟვანია აღნიშნავს, რომ 113 მლნ. ლარით შემცირდა არასაგადასახადო შემოსავლები. ჟვანიას თქმით, შემცირება გამოწვეულია იმით, რომ მომავალ წელს მთავრობა პროკურატურიდან და სამართალდამცველი ორგანოებიდან თანხების ამოღებას აღარ გეგმავს.

ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ 2005 წელს საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა იქნება.

სავარაუდოდ, ქვეყანაში უკიდურესი სიღარიბის ზღვარზე 300-350 ათასამდე ოჯახი იმყოფება. ჟვანიას თქმით, ბიუჯეტიდან შემწეობებისა და დახმარების სახით დამატებით თანხები გამოიყოფა.

— მარგოხელა პენსიონერი ჩვენი რეფორმების შედეგად 20 ლარს იღებს, მაგრამ მათ გადარჩენისთვის 60 ლარი სჭირდებათ. საქართველოს მთავრობა მათ შემწეობის სახით 40 ლარით დაეხმარება, — განაცხადა ჟვანიამ.

— ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომავალ წელს აღარ იარსებებენ ადამიანები, რომლებსაც უჭირთ. ეს ნიშნავს, რომ აღარ იარსებებენ უკიდურესად გაჭირვებული ადამიანები, — განაცხადა ჟვანიამ.

ინტერ-პრესი.

◎ ინფორმაცია

„ბრძელი დანების ღამე“ არქიტექტურის სამსახურში

თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და გუშინ არქიტექტურის საქალაქო სამსახურის სრული შემადგენლობა გათავისუფლა. კონკრეტულად რაგომ

მიიღო მერმა აღნიშნული გადაწყვეტილება, ქალაქის მთავრობის აპარატში ჯერჯერობით არ ხმაურდება.

აპარატის თანამშრომლების განცხადებით, არქიტექტურის სამსახურში დაკისრებულ მოვალეობებს სათანადოდ ვერ ასრულებდნენ.

კულუარული ინფორმაციით კი, მერის გადაწყვეტილება სავარაუდოდ თბილისის ცენტრში ე.წ. „სამკუთხედს“, ანუ მოძრაობის განმხოლოებას უკავშირდება. როგორც ამბობენ, დედაქალაქის მერი უკმაყოფილია ახალი „სამკუთხედის“ შექმნით, რადგან ამით დედაქალაქში უფრო მეტი საცობები შეიქმნა და ქუჩებზე მოძრაობა არ განგვირთულა.

როგორც ცნობილია, აღნიშნული პროექტი არქიტექტურის სამსახურმა მოიწონა.

ქართული მოსახლეობის სახლები დაზიანდა

ცოტა ხნის წინათ კვლავ სროლის ხმა ისმოდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში. ოსურმა მხარემ სეპარატისტული მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებული სამხედრო პოზიციებიდან, დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლების მიმართულებით, ცეცხლი გახსნა მსხვილკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან.

სროლის შედეგად ქართულ სოფლებში დაზიანდა მშვიდობიანი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები. სროლას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ორდღიანი აქცია დაიშალა

ქახელი გლეხების ორდღიანი აქცია დაიშალა. აქციის მონაწილეებს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თამაზ თხელიძე და სამინისტროს სასურსათო უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარე ომარ კაჭარავა შეხვდნენ და ყურძნის ჩაბარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების ადგილზე გადაჭრას დაპირდნენ.

თამაზ თხელიძის განცხადებით, სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით შერვაშიძე ამჟამად კახეთში იმყოფება და ამ პრობლემის მოგვარებას ადგილზე გეგმავს.

კანცელარიის წინ შეკრებილი გლეხები კახეთში გაემგზავრნენ. მათ დეპარტამენტის თავმჯდომარე ომარ კაჭარავაც გაჰყვა.

ინტერ-პრესი.

◎ ინტერპანორამა

ამშ არმიის სამხედრო ოპერაცია ერაყის ქალაქ სამარაში 109 დაღუპულით დამთავრდა. ეს ოპერაცია მოთარეშეების მიერ დაპყრობილ სამარაში ერაყის სამთავრობო ჯარებთან ერთად ჩაგარდა. ამჟამად სამხედროები აკონტროლებენ ყველა სამთავრობო შენობას და საპოლიციო უბანს.

ყაზახეთის თვითმფრინავი, რომელიც თოლიების გუნდს შეეჯახა, ავარიულად დაჯდა. ეს მოხდა აეროპორტ აგირაუში. რამდენიმე ფრინველი თვითმფრინავის ერთ-ერთ ძრავაში მოხვდა. თვითმფრინავმა მთელი საწვავი დახარჯა და დაჯდა. 158 მგზავრიდან და ეკიპაჟის 11 წევრიდან არავინ დაშავებულა.

პარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტთა წინაშე გამოსელისას პრეზიდენტ ბუშის ერთ-ერთმა უახლესმა თანამოსაგრემ, ამშ უმაღლესი სასამართლოს წევრმა, დიკ ჩეინის პარტნიორმა ნადირობაში, მოსამართლე ანტონინ სკალიმ განაცხადა, ამერიკელებმა ხშირ-ხშირად უნდა მოაწყონ სექსუალური ორგიებიო.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მიხეილ მიგნანსკი, თბილისი.
1 ოქტომბერი.
„ვრემია ნოვოსტეი“.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

საჯიმგა თუ გალაფში

რუსეთის მოქალაქეები აფხაზეთის პრეზიდენტს ირჩევენ

კვირას აფხაზეთში გაიმართება პრეზიდენტის არჩევნები. თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტის დაკავებისთვის პრეტენზიას ხუთი კანდიდატი აცხადებს. ამ საპრეზიდენტო რბოლას სათავეში უდგანან აფხაზთა ამჟამინდელი პრემიერი რაულ ხაჯიმბა, რომელიც თავის მემკვიდრედ გამოაცხადა აფხაზთა მოქმედმა პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ და ექს-პრემიერი სერგეი ბაღაფში.

არჩევნების წინ თვითაღიარებულ რესპუბლიკაში გავრცელდა შემაშოთებელი ხმები იმის თაობაზე, რომ თბილისმა შესაძლოა განახორციელოს „ვარდების რევოლუციის“ მორიგი ექსპორტი. აფხაზთა სახელმწიფო უშიშროების სამსახური იგყობინება, რომ თბილისის მიერ კონტროლირებად აფხაზეთის ერთადერთ რეგიონში — კოდორის ხეობაში — ქართველოს პრეზიდენტი ემზადება აფხაზეთში ჯარების შესაყვანად „საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების საბაბით“.

აფხაზთა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლეონიდ გაბლიამ „ვრემია ნოვოსტეის“ აცნობა, რომ მისი უწყება გადაყვანილია საყაზარმო რეჟიმზე. „ქართველ დივერსანტთა რამდენიმე ჯგუფმა შემოაღწია აფხაზეთში არჩევნების ჩაშლის მიზნით“, თქვა მინისტრის მოადგილემ. ოღნავ მოგვიანებით მან „ინტერფაქსს“ განუმარტა, რომ საქმე ეხება „15-15 კაცისაგან შემდგარ სამ ჯგუფს“, რომლებმაც დასავლეთ საქართველოს მომიჯნავე რაიონებიდან შეაღწიეს აფხაზეთის გალის რაიონში. ლეონიდ გაბლიას თქმით, ეს ადამიანები „აღჭურვილი არიან მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით“.



სასწრაფოდ გადაგზავნეს 300 სამხედრო მოსამსახურე და კიდევ „დაუდგენელი შეიარაღებული ფორმირების“ წევრი 80 მოთარეშე. ამბობენ იმასაც, თითქოს აფხაზეთის მოსაზღვრე დასავლეთ საქართველოს რეგიონებში შეიყვანეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფების დამატებითი ძალები, ფოთში კი თავმოყრილია 2 ათასი სამზღვაო ქვეითი.

პრეზიდენტობის მთავარმა კანდიდატმა რაულ ხაჯიმბამ გუშინ განაცხადა, რომ ზუგდიდში თავს უყრიან სამხედრო ტექნიკას და ქართველთა სამხედრო ქვედანაყოფებს, რომელთა რიცხვი „რამდენიმე ასეულს შეადგენს“. სოხუმი ირწმუნება, რომ საგვისტოს დამლევს სოჭში გაიმართა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და რაულ ხაჯიმბას ხანმოკლე შეხვედრა. თბილისში ეს აღიქვეს აფხაზი ამომრჩეველებისადმი უშუალო მითითებად. საქართველოს ხელისუფლება უკვე დიდი ხანია ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ რუსეთი მასობრივად აძლევს მოქალაქეობას აფხაზეთის მცხოვრებლებს. არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე აფხაზეთში იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის სამუშაო ჯგუფი გამგეობის თავმჯდომარის გენადი ბაგანოვის მეთაურობით. რუსული პენსიები 25 ათას აფხაზ პენსიონერს თავის გაგაზის საშუალებას აძლევს 11 წლის განმავლობაში დეგრადირებული აფხაზეთის ეკონომიკის პირობებში.

იხ. მე-2 გვ.

⊙ კანონმდებლები

რუსეთთან ურთიერთობისას ტონის შეცვლას ითხოვს

„ნაციონალ-დემოკრატების“ წარმომადგენელი, პარლამენტარი აკაკი ბობოხიძე რუსეთის მიერ დაკეტილი საზღვრების გამო საქართველოს ხელისუფლებისგან რუსეთთან ურთიერთობისას ტონის შეცვლას ითხოვს.

ამის შესახებ პარლამენტარმა აკაკი ბობოხიძემ პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე გააკეთა.

მისი თქმით, 1 ოქტომბერს ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, თუმცა ეს პრობლემა კვლავ მოუგვარებელია.

— რუსეთს სრული უფლება აქვს, საკუთარი საზღვარი ვისაც სურს, იმას ჩაუკეტოს, მაგრამ საქართველოს მოქალაქეების ძარცვის უფლება არ აქვს, — აღნიშნა მან.

როგორც ბობოხიძე აცხადებს, საზღვარზე გაჩერებული სატვირთო კონტეინერების მფლობელები მძღოლებს 50 დოლარს უხდიან, რათა კომპენსაცია აუნაზღაურონ.

ბობოხიძე მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ორგანიზებულად მოხერხდეს საზღვარზე გაჩერებული ხალხის სხვა ტერიტორიაზე გადაყვანა და შემდეგ ბორნით საქართველოში შემოყვანა.

ბობოხიძე მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, არ მიიღოს არანაირი ტვირთი რუსეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე რთული ვითარებაა შექმნილი. გამშვებ პუნქტზე ლეგალური ტვირთით სავსე ავტომანქანები და მგზავრები უკვე კარგა ხანია უკანონოდ არიან გაჩერებული.

ინტერ-პრესი.

⊙ დიდი ფორუმი

გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი

გუშინ, თბილისში დამთავრდა საერთაშორისო ფორუმი „გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი“. ფორუმი გაიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ინიციატივით და საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟით. ფორუმის ორგანიზატორები არიან იუნესკოს ეროვნული კომისია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდი, კულტურის დიალოგის პლატფორმა.

ფორუმში მონაწილეობდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ცნობილი მეცნიერი და სასულიერო მოღვაწე.

ფორუმი გახსნა პირველი პლენარული სხდომის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ. ფორუმის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

მოსკოვის განყოფილების ეროვნული პროგრამების კულტურის საკითხთა ხელმძღვანელი ქალბატონი ლუბოვ მორევა მიესალმა ფორუმს იუნესკოს გენერალური დირექტორის კოჩირო მაცურას სახელით. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარემ, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მესუთ ბოზქირიმ, თურქეთის ჟურნალისტთა და მწერალთა ფონდის თავმჯდომარემ ჰარუნ ტოკაკიმ, ფონდის საპატიო თავმჯდომარემ ფეთჰულაჰ ბილენიმ, მისალმებით გამოვიდა კავკასიის მუსლიმანთა სამმართველოს თავმჯდომარე ალაჰშუქურ ფაშაზადე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, იუნესკოს ეროვნული პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გამოვიდა მოხსენებით: „საქართველოს მომავალი ცივილიზაციათა მიჯნაზე XXI საუკუნეში“.

ფორუმის მონაწილეებს მიესალმა ქალაქ თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი.

მეორე პლენარული სხდომა დაიწყო თემით: „გლობალური საფრთხე: ცივილიზაციათა შეჯახება — მითი თუ რეალობა?“

მესამე პლენარული სხდომა მიეძღვნა თემას: „გლობალური სამყარო. ეთნოკონფლიქტური ურთიერთგაგება, კულტურულ და ენობრივ მრავალფეროვნებათა შენარჩუნება“.

მეოთხე პლენარული სხდომა მიეძღვნა თავისუფალ დისკუსიას — ფორუმის დოკუმენტის „თბილისის მოწოდება — ცივილიზაციათა შორის დიალოგის“ მიღებას.

პლენარული სხდომების თავმჯდომარეები: პროფესორი გიული ალასანია (საქართველო), ჰარუნ ტოკაკი — თურქეთის ჟურნალისტთა და მწერალთა ფონდის თავმჯდომარე (თურქეთი).

ფორუმის მონაწილეებს გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა მისმა უწმინდესობამ, უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.

ირაკლი ჯაფარიძე.

⊙ ხანძარი

რუსთაველის თეატრი კიდევ ერთხელ გადარჩა

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სხვენზე ხანძრის ლიკვიდაცია მოხერხდა.

ხანძრის ლიკვიდაციაზე 14 სახანძრო ავტომანქანა მუშაობდა.

ხანძარი დაახლოებით 16.30 საათზე, შესაძლოა, ელექტროენერგიის სისტემის ხარვეზის გამო გაჩნდა, თუმცა ხანძრის გამომწვევ დაზუსტებულ მიზეზებზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევას სამართალდამცველი ორგანოები აწარმოებენ.

როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც რუსთაველის თეატრში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, შენობას ხანძარი უკვე მეორედ გაუჩნდა. პირველი ინციდენტი მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოხდა, მაშინაც ხანძარი სხვენში გაჩნდა.

ინტერ-პრესი.

⊙ „რთველი — 2004“

ყურძნის შესყიდვა ფერხდება...

დედოფლისწყაროს რაიონის სოფლების სამთაწყაროს, ფიროსმანის, არხილოსკალოს, არბოშიკისა და ზემო მაჩხაანის მცხოვრებთა ძირითადი საარსებო წყარო ვენახიდან მიღებული მოსავალია.



სამთაწყაროსა და ფიროსმანში 700 ჰექტარზეა გაშენებული ვენახი, ვარაუდობენ, რომ წლეულს მოსახლეობა 3000 ტონაზე მეტ ყურძენს მოკრეფს, აქედან 1400 ტონა ალბათ საფერავი იქნება, 1600 ტონა კი — რქაწითელი. როგორც სამთაწყარო-ფიროსმანის გამგებელმა რეზო ღუმბაძემ განაცხადა, ყურძნის კრეფა მასობრივად ხუთი სექტემბრიდან რომ დაწყებულიყო, მოსახლეობა გაცილებით მეტ მოსავალს მიიღებდა, რთველის დაგვიანება, ძირითადად, იმან გამოიწვია, რომ მყიდველი არ ჩანდა.

ყოველწლიურად დიდი ენებათაღელვითა და ნერვების წყვეტის ფასად ყიდიან ამ სოფლის მევენახეები ყურძენს. წლეულს კი გამორჩეულად გაძნელდა ყურძნის შესყიდვა. რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის სოსო ხაჩიაშვილისა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის კახა ხოსრომშვილის მცდელობის მიუხედავად, გაჭირდა ყურძნის მყიდველის მოძიება. ახლა რაიონის თავკაცები თავად აწარმოებენ მოლაპარაკებას უშუალოდ ღვინის ქარხნების ხელმძღვანელებთან. ყურძნის მიღებაზე თავის შეკავების მიზეზად ქარხნის მესვეურები რატომღაც დოლარის კურსის არასტაბილურობას ასახელებენ, ამიტომ შეგნებულად აჭიანურებენ ყურძნის შესყიდვას. როგორც რეზო ღუმბაძე დასძენს, ყურძენი ხორბალი კი არ არის, რომ საწყობში დავყაროთ და შევინახოთ, იგი მალფუჭებადი პროდუქტია. მოსახლეობა უკმაყოფილოა შესასყიდი ფასითაც, რაც, სავარაუდოდ, თეთრი ყურძნისთვის 40-60 თეთრია, შავისთვის კი — 1,3-დან 1,5 ლარამდე.

ყურძნის შესყიდვა ჭირს ასევე სხვა სოფლებშიც. ზემო მაჩხაანის გამგებელი დათო ნატროშვილი: — ზემომაჩხაანის მოსახლეობას ხირსაზე 69 ჰექტარზე აქვს გაშენებული ვენახი, ხოლო 29 ჰექტარი ქუმბათში. ეს ტერიტორია დაისეტყვა, მაგრამ მცდელობა არ დაგვიკლია, რომ მოსავლიანობა მაინც შეგვენარჩუნებინა, — თქვა მან. როგორც არბოშიკის სოფლის გამგებელმა მურად ელაშვილმა გვითხრა, აქაური მოსახლეობის ვენახების დიდი ნაწილი — 100 ჰექტარი ხირსის ტერიტორიაზეა გაშენებული. მევენახეები უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ შხამქიმიკატები ძვირია. ყურძნის შესასყიდი ფასი კი — დაბალი. ამას ემატება ყურძნის მყიდველის ნაკლებობაც, რაც პროდუქციის ხარისხსა და წონაზე უარყოფითად აისახება.

არხილოსკალოს გამგებელის სიმონ კობაიძის თქმით, ყურძენი ხიმწიფეში ახლა შედის და ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის აქაური მოსახლეობაც მყიდველს დაელოდება. ვისაც სურს ნატურალური ღვინის დაყენება, ჩამოვიდეს არხილოსკალოში და თავისი ხელით დაკრიფოს ვენახი. ფასი, რა თქმა უნდა, შეთანხმებით იქნება.

— ჩამობრძანდით და დაიგემოვნეთ არხილოსკალოს არომატული ყურძენი, ასეთს ვერსად შეხვდებით — ამბობს ბატონი სიმონი.

ნანა ჟიჟინაძე.
„სრ“ კორ.

⊙ ინფორმაცია

აფხაზეთი

არჩევნებში მონაწილეობას 150 ათასი მოქალაქე მიიღებს

თვითგამოცხადებულ აფხაზეთის რესპუბლიკაში 3 ოქტომბრისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, სავარაუდოდ, 150 ათასი მოქალაქე მიიღებს.

საპრეზიდენტო არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სერგეი სმირის ინფორმაციით, 3 ოქტომბრისთვის დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად აფხაზეთის ტერიტორიაზე 35 საოლქო და 189 საუბნო საარჩევნო კომისია იმოქმედებს, რომელთა მუშაობაში მონაწილეობას 2500-მდე მოქალაქე მიიღებს.

მისივე თქმით, დღეის მონაცემებით, ამომრჩეველთა სიებში უკვე შეყვანილია 120 553 მოქალაქე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნებში მონაწილეობის სურვილის მქონე რუსეთში მცხოვრებ აფხაზეთის მოქალაქეთა რიცხვი არჩევნების მოახლოებასთან ერთად იზრდება, იგი 3 ოქტომბრისთვის ამომრჩეველთა საერთო სიის 150 ათასამდე გაზრდას არ გამორიცხავს.

სმირის ინფორმაციით, საპრეზიდენტო არჩევნებში გალის რაიონის მოსახლეობის საერთო რაოდენობა, დღეის მონაცემებით, 12 ათასს არ აღემატება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი მოსახლეობა თავად გამოთქვამს არჩევნებში მონაწილეობისა და აფხაზეთის მოქალაქეობის მიღების სურვილს, ეს რიცხვი შესაძლოა 3 ოქტომბრამდე უმნიშვნელოდ გაიზარდოს.

პროტესტი

მოვაჭრეები ამჯერად „ახმეტელთან“ ახმაურდნენ

მეტროსადგურ „ახმეტელთან“ არსებული ბაზრობის მოვაჭრეები ობიექტის დახურვის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ. მთელი ღამის განმავლობაში, მოვაჭრეებს ბაზრის ტერიტორია არ დაუტოვებიათ და გუშინ დილით ბაზარში მისულ გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის წარმომადგენლებს წინააღმდეგობაც გაუწიეს.

მოვაჭრეების განცხადებით, აღნიშნული ბაზრის დახურვით გამგეობის წარმომადგენლები პირადად არიან დაინტერესებულნი, რასაც თავად გამგეობის თანამშრომლები აბსურდს უწოდებენ.

რამდენიმესაათიანი დაძაბულობის შემდეგ, სიტუაცია განიმუხტა და მოვაჭრეებმა ამ ეტაპზე ბაზრის ტერიტორიის დატოვებაზე თანხმობა განაცხადეს.

ინტერ-პრესი.

⊙ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საჭიმბა თუ ბაღაფში

(პირველი გვერდიდან)

პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი მხარს უჭერს რუსეთთან აფხაზეთის კიდევ უფრო მეტად დაახლოებას, ასოცირებული ურთიერთობის დამყარების ჩათვლითაც კი, და ისინი აცხადებენ, რომ აფხაზეთი არასდროს მოექცევა საქართველოს შემადგენლობაში.

თბილისში კი მაინც ფიქრობენ, რომ სერგეი ბაღაფშთან უფრო იოლი იქნება საერთო ენის გამონახვა და მოლაპარაკების დაწყება. ბაღაფში უკვე აღნიშნავდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში, მზად არის ჩამოაყალიბოს კოალიციური მთავრობა. სავარაუდოდ, საქმე ეხება კავშირს აფხაზეთში პოპულარულ სერგეი შამბასთან, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ადგილობრივ დიპლომატიას. ოპოზიციის ლიდერს ხმას მისცემენ ის პირებიც, რომლებიც მხარს უჭერენ აფხაზთა ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ანქვაბს, რომელიც ახლა ბიზნესს ეწევა მოსკოვში.

როგორც „ვრემია ნოვოსტეის“ განუცხადა აფხაზთა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სერგეი სმირმა, კენჭისყრა გაიმართება 35 ოლქში, ეს 180 უბანია. პირველ ტურში გამარჯვებისთვის საჭიროა ამომრჩეველთა ხმების 50 პროცენტის და პლუს ერთი ხმის მოგროვება. არჩევნები აფხაზეთს 2,2 მილიონი რუბლი დაუჯდება. სხვადასხვა მონაცემით, ამომრჩეველთა რიცხვი 160-180 ათასის ფარგლებში მერყეობს.

არჩევნებში გამარჯვებული არცთუ ისე სახარბიელო მემკვიდრეობას მიიღებს. 11 წლის წინათ დასრულდა შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოსთან. სოხუმის მონაცემებით, ომის დროს დაიღუპა 4 ათასი აფხაზი, 11 ათასი ქართველი და 2 ათასი მოხალისე, რომლებიც აფხაზთა მხარეზე იბრძოდნენ. აფხაზეთისთვის მიყენებულმა ზარალმა 10,7 მილიარდი დოლარი შეადგინა.

„ვრემია ნოვოსტეი“,
1 ოქტომბერი.

ВРЕМЯ
НОВОСТЕЙ

„ქართველებისა და აფხაზების შესარიგებლად ხუთი წელი იკმარებს“

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავა „ვრემია ნოვოსტეის“ საკუთარ კორესპონდენტს თბილისში მიხეილ ვიგანსკის ესაუბრა იმაზე, თუ როგორ ეკიდება საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთში 3 ოქტომბრისთვის დანიშნულ არჩევნებს.

— რამდენადაა დამოკიდებული აფხაზეთში ვითარების მოწესრიგება იმაზე, თუ ვინ გაიმარჯვებს ამ არჩევნებში?

— აშკარაა, რომ რუსეთი ცდილობს აფხაზეთში პრეზიდენტად დანიშნოს ამჟამინდელი პრემიერი რაულ ხაჯიმბა. მას შემდეგ, რაც აგვისტოს დამლევს სოჭში ხაჯიმბას შეხვდა რუსეთის პრეზიდენტი, ცხადი გახდა, რომ იგი, ასე ვთქვათ, „მოსკოვის კაცია“.

თუმცა, აფხაზეთში საკმაოდ სერიოზული ოპოზიციაც არსებობს. ომის დასრულებიდან გასულმა 12 წელმა ცხადყო, რომ აფხაზებს პრაქტიკულად არა აქვთ რუსეთის შემადგენლობაში შესვლის პერსპექტივა. და ეს ესმის ყველა საღად მოაზროვნე აფხაზს, რა თქმა უნდა, კოლაბორაციონისტების გარდა. ბოლო რეიტინგები გვიჩვენებს, რომ ყოფილი პრემიერი სერგეი ბაღაბში ხაჯიმბას სერიოზულ კონკურენციას გაუწევს.

თუმცა, საქართველოსთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში. ახლა ყველა კანდიდატი ერთმანეთს ეჯიბრება ანტიქართულ განწყობილებაში. ასე ხომ უფრო გაუადვილდებათ საშინაო პრობლემების გამართლება. სინამდვილეში კი ყველას კარგად აქვს შეგნებული, რომ აფხაზებისთვის ერთადერთი მომავალი არის ის გარემო, რომელიც მათ ყოველთვის ჰქონდათ საქართველოს შემადგენლობაში.

— მაგრამ, რა მოხდება თუ პრეზიდენტი მაინც რაულ ხაჯიმბა გახდა?

— იგი კადრის ჩეკისტია, რომელიც შეჩვეულია ბრძანება-მითითებების შესრულებას. თუ იგი ვლადიმერ პუტინმა აირჩია, ადრე თუ გვიან, როცა რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა ნორმალური, პარტნიორული გახდება, პუტინის მიერ ამ ადამიანის დანიშვნა შეიძლება წააღდეს კიდეც საქმეს. ჩვენ შევერიგდებით, აფხაზები ჩვენი უახლოესი ნათესავები არიან, აფხაზეთი ქართული ორგანიზმის განუყოფელი ნაწილია. აუცილებლად გავერთიანდებით.

— დიდხანს უნდა ველოდოთ ამას?

— ვფიქრობ, რომ ხუთი წელი საკმარისი იქნება. მაგრამ ამას დასჭირდება რეალური წანამძღვრები. საჭიროა ნათლად და მკაფიოდ განვსაზღვროთ, თუ საით და როგორ მიიწევს საქართველო, როგორ ვითარდება ეკონომიკა, ვინ არიან ჩვენი მეგობრები. თუ რუსეთი და მთელი მსოფლიო გაერთიანება დაგვიჭერს მხარს, გაგვიადვილდება აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა. ჩვენთვის მთავარია, დავიბრუნოთ აფხაზები და ოსები. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა მოხდეს იქ მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების დაბრუნების გზით. მაგრამ ეს უნდა მოხდეს ცივილიზებულად, მშვიდობიანი გზით, კომპრომისებით, რომლებსაც ორივე მხარე უნდა დათანხმდეს.

— გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე გამოსვლისას, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საჭიროა აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შემადგენლობის ინტერნაციონალიზაცია.

— მუშაობა ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს. რუსეთის მიერ განხორციელებულმა პასპორტიზაციამ გამოიწვია ის, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეები არიან. ასეთ პირობებში სამშვიდობო ძალების რომელ ნეიტრალიტეტზე შეიძლება ლაპარაკი. მშვიდობისმყოფელები, რუსეთის მოქალაქეები, რუსეთის მოქალაქეებსვე იცავენ.

ბ. მერლენი.
„ლე მონდი“, 30 სექტემბერი.

Le Monde.fr

ნიფხვები ომი

საერთაშორისო ურთიერთობა კეთილმეზობლობას გულისხმობს. რუსეთ-საქართველოს ისედაც არამყარი ურთიერთობა კი კიდევ უფრო მეტად გამწვავდა ერთი საჩოთირო საკითხის... ქვედა საცვლების გამო. საქართველოში მყოფი რუსი ჯარისკაცების ნიფხვები ყველას დასანახად იყო გამოფენილი გასაშრობად.

კავკასიის ამ რესპუბლიკის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დიდი აღშფოთება გამოიწვია ფანჯრებში გამოფენილმა წითელარმიელთა ქვედა საცვლებმა. „ჯარისკაცები თავიანთ თეთრეულს გასაშრობად კიდებენ ყველგან, სადაც მოეპრიანებათ, თვით ტანკებზეც კი. და ეს გახლავთ მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილი არმია. არა მგონია, რომ ამან რაიმე სარგებელი მოუტანოს რუსეთის იმიჯს“, — განაცხადა აღშფოთებულმა პრეზიდენტმა ეროვნული ტელევიზიის პირველი არხით გამოსვლის დროს.

ახლა, ალბათ, ძალზე გაჭირდება ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც მხარს დაუჭერდა შავი ზღვის სანაპიროზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის ბათუმის ნავსადგურის მახლობლად რუსეთის არმიის ნაწილების ყოფნას. გარდა ამისა, ახლა იქ რუსეთის დროშასთან ერთად ჯარისკაცების ქვედა საცვლებიც ფრიალებენ!.. მაგრამ, ყველაფერი თუ უცვლელად დარჩა, ეს ნიშნავს იმას, რომ წყალში ჩაიყრება მრავალი თვის დიპლომატიური ძალისხმევა. ხელისუფლების სათავეში მოსვლის დღიდანვე ცდილობს საქართველოს ახალი მთავრობა, მოაწესრიგოს ურთიერთობა თავის მეზობელთან — რუსეთთან. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ პრეზიდენტის რანგში პირველი ვიზიტი საზღვარგარეთ მიხეილ სააკაშვილმა განახორციელა მოსკოვში, სადაც იგი შეხვდა ვლადიმერ პუტინს.

მაგრამ კონფლიქტისთვისაც მრავალი მიზეზი არსებობს. კრემლი კარგა ხანია საყვედურობდა საქართველოს იმას, თითქოს იგი უჭერდა მხარს ჩეჩენ მოთარეშეებს. გარდა ამისა, მოსკოვის გარკვეულ გაღიზიანებას იწვევს ვაშინგტონისა და თბილისის დაახლოებაც (ხელშეკრულება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ამერიკელ საზღვაო ქვეითებს საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების ნებას რთავს, ამერიკელთა მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარება 200 მილიონი დოლარის ოდენობით და ა. შ.). საქართველოში კი ვერ შერიგებიან, რომ სეპარატისტულად განწყობილი ოლქები სამხრეთ ოსეთის მეთაურობით ესწრაფიან რუსეთთან შეერთებას, ამას ემატება აგრეთვე, რუსეთის არმიის სამხედრო ბაზების ყოფნა ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელთა თავიდან მოშორება თბილისს სურს რაც შეიძლება სწრაფად. საქართველოს პრეზიდენტი უკვე რამდენიმე თვეა ემზადება ამისთვის. იანვარში მისი ტონი ჯერ კიდევ თავაზიანი იყო. „ვფიქრობ, რომ რუსეთის ჯარების გაყვანისათვის მზადებას უნდა მივუდგეთ ჰუმანისტური პოზიციით. არავინ არ უნდა გაანაწყენოს რუსი ჯარისკაცები და ოფიცრები“, — განუცხადა მან გაზეთ „მოსკოუ ტაიმსს“. მაგრამ, რადგან ჩემოდნებისა და ბარგის ჩალაგებისთვის მოსკოვის მიერ დაპირებული ვადა უკვე ამოიწურა, ქართველები აღარ აპირებენ მათთვის თავზე ხელის გადასმას.

რუსი სამხედროების ქვედა საცვლების დანახვით აღშფოთებული საქართველოს პრეზიდენტი დაიმუქრა: „მე მივმართავ თხოვნით რუსეთის ჯარებს, დატოვონ თავიანთი ბაზები გაზაფხულამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მათ ვაიძულებთ აქედან წასვლას“. ჭუჭყიანი თეთრეული ყველამ თავის სახლში უნდა გარეცხოს — სწორი გადაწყვეტილებაა.

მოამზადა
სიმონ კილაძემ.

⊙ გამოფენა

მისამართი: კოლმეურნეობის მოედანი, დახურული ბაზარი

გუშინ, თბილისში სავაჭრო ცენტრ „ჯითისი“-ში თანამედროვე ხელოვნების პირველი საერთაშორისო ექსპოზიცია-ბაზრობა გაიხსნა, რომელსაც „არტ კავკასია-2004“ ჰქვია და სამხრეთ კავკასიური რეგიონის — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხატვრულ პროდუქციას მასპინძლობს. ბაზრობის მხარდამჭერია საქართველოს კულტურის სამინისტრო, აშშ-სა და პოლონეთის საელჩოები, ხოლო დამფინანსებელია „ევრაზიის“ ფონდი. დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობოდნენ წარმოდგენილ ნიმუშებს, კერძოდ, რამაზ ჩანტლაძის, მარინა ივანიშვილის, თინა კლდიაშვილის ნამუშევრებს. პროექტის ავტორები ვარაუდობენ, რომ „არტ კავკასია“ მომავალში ერთიანი კავკასიური ბაზრის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს შეასრულებს. გამოფენა-ბაზრობის გახსნაზე ქალაქ თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა აღნიშნა, რომ ეს ექსპოზიცია ძალიან მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ხელს შეუწყობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კიდევ უფრო დაახლოებას.

გამოფენა-ბაზრობა დიდ ინტერესს იწვევს.

ნათია გელაშვილი.

სურათებზე: გამოფენის შიდა ხედი.
ჯავარ ლომაძის ფოტო.

◎ აქტუალური თემა

გამოჩნდებიან თუ არა ჩვენს სკოლებში ჯოხზე გადამჯდარი კუდიანები?

ჩვენი განათლების სისტემაში ძალიან ბევრი რამ შესაცვლელია. ეს უდავოა. ამ სფეროში არსებული ქაოსი და განუკითხაობა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ავიღოთ თუნდაც სახელმძღვანელოების საკითხი. ორ სკოლას ვერ იპოვი, ერთნაირი სახელმძღვანელოებით რომ ასწავლიდეს. ბაზარი გავსებულია შემთხვევითი ადამიანების მიერ შედგენილი და გამოცემული წიგნებით, რომლებსაც განათლების სამინისტროს მიერ მიკუთვნებული აქვთ ძირითადი სახელმძღვანელოების გრიფი. სკოლა თავისთვის ირჩევს ნებისმიერს, რომელიც მოეწონება. არადა, ხშირად ავტორი ხდება არა ის, ვისაც სახელმძღვანელოს მომზადება შეუძლია, არამედ ის, ვისაც საამისოდ მხოლოდ ფინანსური შესაძლებლობა გააჩნია.

გავრცელებული ინფორმაციით, თურმე ჩვენთან დაწყებით კლასებში ბავშვების დიდი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია და ახლა უცხოელები გვეხმარებიან, რომ ეს ჩამორჩენილობა როგორმე დავძლიოთ. აი, სანამდე მივედით, წერა-კითხვაც სხვებმა უნდა გვასწავლონ. არადა, კარგად გვახსოვს, იმ ვეებერთელა საბჭოეთში სწავლა-განათლების მხრივ, მგონი, მთლად პირველ ადგილზე ვიყავით. ამას ადასტურებდა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. რაც არ უნდა ვიძახოთ, რომ მაშინ ბოლშევიკური იდეოლოგიის მარწუხები გვახრჩობდა (და ეს ასეც იყო), ისიც ფაქტია, რომ კარგი სკოლებიც გვქონდა და ბრწყინვალე მასწავლებლებიც გვყავდა. მახსოვს, ჩემი კლასიდან (პარალელურ კლასსაც მივამატებ), რვა უძ-

– უნდა აღვნიშნოთ, რომ სამივე კანონპროექტში („ზოგადი განათლების შესახებ", „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესახებ", „უმაღლესი განათლების შესახებ") პრინციპების დონეზე სადავო ნაკლებად არის. ამ პრინციპების განხორციელების თვალსაზრისით იყო მუხლები, რომელიც შენიშვნებს იმსახურებდა. მთელი ამ დღეების განმავლობაში განათლების სამინისტროსთან კონსტრუქციული მუშაობის შედეგად, მიეალწიეთ იმას, რომ საშუალო განათლებასთან, ზოგადსაგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებით, ბევრი რამ შეიცვლება და შეიცვლება იმდაგვარად, რომ მშობლებისთვის, პედაგოგებისთვის და მოსწავლეებისთვის მისაღები იქნება. თუკი ჩვენს შენიშვნებს გაითვალისწინებენ (მე დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ასეც მოხდება), მაშინ ჩვენ მოწოდებული ვიქნებით კანონპროექტის მისაღებად და რეფორმის განსახორციელებლად. ჩვენი მზანია, განათლების სფეროში საჭირო ცვლილებები ერთად განვახორციელოთ. პროექტი შემოვა, ჩვეულებრივი საპარლამენტო განხილვა მოხდება და ვფიქრობ, საბოლოო კომისიამდე ისე მივა, რომ საზოგადოება ამ კანონპროექტით კმაყოფილი დარჩება.*

როდესაც მე ამას ვაცხადებ, ობივატელი ფიქრობს, აი, თქვენ გუშინ იწუნებდით და დღეს იწონებთო. გუშინ ვიწუნებდი დასაწუნებელს. როდესაც დასაწუნებელი გასწორდება, გასწორებულს მოვიწონებთ. ეს ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცესი გახლავთ და არა ის, რომ რაღაც პოზიცია გამოვიცვალეთ. პოზიცია კანონპროექტმა გამოიცვალა. კანონპროექტის პოზიციის შეცვლასთან ერთად შენც უნდა შეიცვალო პოზიცია. აბა, ნიძლავი კი არა გვაქვს დადებული, გინდა თუ არა, ეს კანონპროექტი ჩავაგდოთ. იგივე შეეხება კანონპროექტს უმაღლესი განათლების შესახებ. რაც შესაცვლელია, იქაც შეიცვლება, მაგრამ პრინციპებს არ დავთმობთ. პრინციპების დონეზე რეფორმები განხორციელდება.

– ბატონო ნოდარ, რატომ გახდა აუცილებელი ტესტური გამოცდის უმაღლესი სასწავლებლის გარეთ გატანა. განათლების სისტემაში ამხელა გამოცდების ჩატარება ქაოსს ხომ არ შეიტანს? არ არის ეს უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის შეზღუდვა? ან კიდევ, რას ნიშნავს „ზოგადი უნარების ტესტი". გამოცდის მოწყობა ისეთ „დისციპლინაში", რომელიც სკოლაში არ ისწავლება, გაუგებარია. თუკი დღევანდელი სასწავლო პროგრამები ამ უნარ-ჩვევების გამომუშავებას არ ითვალისწინებს, რა ქნას აბიტურიენტმა, რამდენად სწორია ასეთი მიდგომა?

– ინსტიტუტებს და უნივერსიტეტებს ამ კანონპროექტით უზარმაზარი ავტონომია ენიჭება. თუ ავტონომიაში ის იგულისხმება, რომ მისაღები გამოცდების ჩატარება მაინცდამაინც ძველებურად უნდა ჩატარდეს, უნდა გითხრათ, ის, რაც იყო, იმას ყველაფერი სჯობს. ეისაც არ უნდა ეწყინოს, ეს არის სიმართლე. ათწლეულების განმავლობაში ქართველი ბავშვები ბაფხულში მონათა ბაზარზე გაჰყავდათ და იყო ყიდვა-გაყიდვის საგანი. ვისთვის არის ეს უცხო. ეს სისტემა შესაცვლელია. საერთოდ, ყოველგვარი რეფორმა წინააღმდეგობას იწვევს ხოლმე. ვიმეორებ, ყველა საღი ადამიანი, საღი პროფესორი, საღი მასწავლებელი, საღი მშობელი ამ რეფორმას დადებითად შეხვდება, იმიტომ, რომ ის დამყაყებული სისტემა, რომელიც განათლების სფეროში გვაქვს, ნამდვილად უნდა შეიცვალოს. რაც კანონპროექტში თეთრი ლაქები და სუსტი წერტილებია, მაგალითად, რამაც პროფესურა ააღელვა, ვფიქრობ, რომ ის უნდა შეიცვალოს. ავიღოთ ასაკი. მე მიმაჩნია, რომ ადამიანებმა გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ, თანამდებობები მართლაც უნდა დაგოვონ. ახალგაზრდა უნდა მოესწროს იმას, რომ მუშაობის საშუალება მასაც მიეცეს. არ არის საჭირო ადამიანი მოკვდეს და ოთხი ფიცრით გამოასვენონ იმ სამსახურიდან, სადაც ის მუშაობდა. მაგრამ ის, რომ მას საშუალება ჰქონდეს თავისი ცოდნა, გამოცდილება, ენერგია ისევ მოახმაროს თავის სისხლხორცეულ საქმეს, ამისი უფლება არ უნდა წავართვათ. კანონპროექტის ამ მუხლში ეს ნაწილი არის შესაცვლელი და ჩვენ ვიბრძოლებთ, რომ შევცვალოთ.

პროექტი პარლამენტში ჯერ შემოსული არ არის. როცა შემოვა, საზოგადოება დაინახავს, რომ არც ერთი ისეთი დეტალი, რომელიც ადამიანის უფლებას არღვევს, არ დარჩება. დარწმუნებული ვარ, უნივერსიტეტის პროფესურა ამ პროექტს ნორმალურად შეხვდება, თუკი ჩვენ რამდენიმე მუხლს, რომელიც მათ აღიზიანებთ, ამოვიღებთ.

– რას იგყოდით სკოლებში საშაბათო კლუბების შექმნასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში სავსებით სავარაუდოა, რომ ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელი კლუბებიც შეიქმნას.

– მე არ მჯერა ჯოხზე გადამჯდარი კუდიანების, რომლებიც ეძებენ ხვრელებს, სად მივიდნენ, სად დასხდნენ და სად შექმნან ორგანიზაციები. ასე ეჭვების გამოთქმა ყველაფერზე შეიძლება. კი, ბატონო, ასეთი რამ რომ არ მოხდეს, შეიძლება კანონში ჩავწეროთ, რომ რაც სკოლის ცხოვრებასთან დაკავშირებული არ არის, ამდაგვარი ორგანიზაციის შექმნის უფლება კლუბებს არ მივცეთ. ვინაიდან სკოლა არის დეპოლიტიზებული, ბავშვებს როგორც არა აქვთ უფლება შექმნან იქ პოლიტიკური პარტიები, ასევე, ავუკრძალოთ იდეოლოგიური ან რელიგიური ორგანიზაციების შექმნა და ეს პრობლემა ამით გადაწყდება.

– კანონპროექტის მიხედვით, სასწავლო პროცესის თავიდან ბოლომდე წარმართვა-გაკონტროლება მეურვეთა საბჭოს საქმე გახდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა არაპროფესიონალებს, ანუ, მშობლებს დაეკისრება. დირექტორი და მასწავლებელი კი პასიური ხდებიან. თითქოს რაღაც უხერხულობა იქმნება.

– სამეურვეო საბჭო, როგორც ეს კანონპროექტშია წარმოდგენილი, ვფიქრობ, არ არის სწორი ფორმით მოძიებული. სამინისტროსთან ამაზე საუბარი მიმდინარეობს. პროექტში ალბათ ეს ნაწილიც შეიცვლება. და საერთოდ, ყველასთვის მისაღები კანონი გვექნება.

ესაუბრა
მზია გელენავა.

◎ ფესტივალის ეძო

„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში"

მუსიკის მოყვარულები დიდი ინტერესით ელოდნენ 29 სექტემბერს ურეკში – იმედის ქალაქში ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონიალს. იმედის ქალაქში შეკრებილთ იმედი არ გაუცრუვდათ, ალბათ, ხანდაზმულთაც არ ახსოვთ ქართული ხალხური სიმღერის ასე მრავალისმეტყველი, ყოვლისმომცველი ზეობა, რასაც ელფერი შემატა უცხო ქვეყნების გუნდების მონაწილეობამ. ჩვენ, ქართველებს გვახარებს უცხოელები ერთ-ორ ღერ სიტყვას ქართულად რომ გვეტყვიან. აქ კი ურთულეს, პოლიფონიურ ქართულ საგალობლებსა, თუ საეროო წიაღში შექმნილ სიმღერებს, ისეთი ოსტატობით ასრულებდნენ ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, ნიდერლანდის წარმომადგენლები, ავსტრალიელები, წამყვანს მათი სცენაზე გამოსვლის წინ ვინაობა რომ არ დაესახელებინა, ქართველებისგან, სიმღერის შესრულების ოსტატობით, ვერც განასხვავებდით.

ფესტივალს წინ უძღოდა თბილისში გამართული ქართული ხალხური სიმღერებისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი, რომლის მუშაობაშიც მსოფლიოს 17 ქვეყნის მუსიკოს-მეცნიერები მონაწილეობდნენ. სიმპოზიუმის, ისე, როგორც ფესტივალის, ინიციატორი იყო ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი.

ყველაფერი მაინც ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ქართული ხალხური მუსიკის დიდი მოამაგის, ბატონ ანზორ ერქომაიშვილის მოწადინებითა და ძალისხმევით განხორციელდა. ეს რიგით მეორე სიმპოზიუმი იყო. იგი საქართველოში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ფესტივალის დახურვისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე ანზორ ერქომაიშვილმა სიამაყით ილაპარაკა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ახლახან ჩამოყალიბებული პოლიფონიური კვლევის ცენტრის შესახებ. მადლობით მოიხსენია ის ადამიანები, რომლებიც მხარში ედგნენ სიმპოზიუმისადმი მიძღვნილი ლიტერატურის, უძველესი სიმღერების ნოტების, ვიდეო, აუდიო და სხვა მასალის მომზადებასა და გამოშვებაში. ესენი არიან პარლამენტარი, ოზურგეთის რაიონიდან მაჟორიტარი დეპუტატი ვანო ჩხარგიშვილი, ბაღრი პაგარაკაიშვილი, ქ. ფოთის მერი ვახტანგ ალანია, „სახალხო ბანკი" და „საქართველოს რკინიგზა". აგრეთვე, ტელეკომპანიები „იმედი" და „მზე", გაზეთი „გურია ნიუსი". რაც მთავარია, ფესტივალი საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის პატრონაჟით ჩატარდა. ესეც ნიშანდობლივი ფაქტია. სახელმწიფოს პატრონი, სწორედაც რომ, ქვეყნის ყველაზე დიდი სიმდიდრის – სულიერების, ამჯერად ხალხური სიმღერის, პატრონიც უნდა იყოს.

ფესტივალის დევიზი – „ჩვენ – მშვიდობა" აღებულია ცნობილი გურული სიმღერის ამავე დასახელებიდან. თითქმის ორი საათის განმავლობაში მსმენელი მშვიდობის, ძმობის, უხვი მოსავლის, გამარჯვებისა და ბედნიერი მომავლის იმედით შექმნილ ხალხურ სიმღერებს ისმენდა. ცოცხალ შესრულებას უძველესი ჩანაწერები ენაცვლებოდა. ზეიმი შედგა და ამაში თავისი წვლილი შეიტანეს ფესტივალის რეჟისორმა ვასო ჩიგოგიძემ და მხატვარმა მურაზ მურვანიძემ, ფესტივალის პროდიუსერმა ზურაბ ერქომაიშვილმა.

ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ფესტივალს ყოველ ორ წელიწადში მორიგეობით უმასპინძლებენ საქართველოს კუთხეები. ესეც მისასალმებელია, რადგან, თუ ახლანდელი ფესტივალის სიახლეებით ვიმსჯელებთ, ისე, როგორც გურიაში, სხვა რეგიონშიც შეიქმნება ცნობილ მომღერალთა მუზეუმები, კერძოდ, ფესტივალის დღეებში ოზურგეთის რაიონის სოფელ ცხემლისხიდში დაარსდა საგალობლის პირველი მუზეუმი და გალობის სკოლა. ამ საშვილიშვილო საქმეს ამავე სოფლის მკვიდრს ბატონ ვაჟა ლომინაძეს უნდა ვუმადლოდეთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართული საგალობელი იშვიათი მოვლენაა თავისი მაღალპროფესიულობით. უძველესი დროიდან გურიაში საგალობლის შესწავლის შესანიშნავი ტრადიციები იყო. გურიის საგალობელი სკოლის უკანასკნელი წარმომადგენლები იყვნენ ვარლამ სიმონიშვილი, დიმიტრი პაგარავა, არგემ ერქომაიშვილი. ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებამდე ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უშურველად ასწავლიდნენ საგალობლებს. ამიერიდან მათს ტრადიციებს ცხემლისხიდელი ახალგაზრდები გააგრძელებენ.

ურეკის ხალხური სიმღერის ფესტივალის ბოლო აკორდი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ, ალბათ, დიდხანს არ დაავიწყდებათ არც ქართველებს და არც უცხოელებს.

ვეება, თეთრ იალქნებს შეყუჟული ერთი მთავარი და ორი გვერდითი სცენა ქართველი და უცხოელი შემსრულებლებით გაივსო და საფინალო სიმღერა ღამის ურეკის ვარსკვლავებით მოჭედილ ცაში გაშვებულ ფერად ჰაერბურთებს აჰყვა ზემოთ. ამიგომაც ამბობენ, ალბათ, ხალხური სიმღერა ღმერთების საკუთრებაა და ღვთის დაბადებული ნიჭი უნდა ჰქონდეს კაცს, ეს სიმღერები რომ იმღეროსო. არადა, გალაკტიონისა არ იყოს, „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში".

ზეიმი დასრულდა დაჯილდოებით. სამახსოვრო ჯილდოები გადაეცათ სტუმრებს უცხოეთიდან. მერაბ ბერძენიშვილის პროექტით დამზადებულ სპეციალურ სამახსოვრო ჯილდოებს მიიღებენ საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ სააკაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ეს ჯილდო იქვე სცენაზე ვანო ჩხარგიშვილმა გადასცა ბადრი პატარკაციშვილს.

ფესტივალის საზეიმო ცერემონიალის დასრულების შემდეგ ურეკში დიდხანს, თითქმის გამთენიამდე, ისმოდა ძირძველი, ქართული ხალხური სიმღერები. ეს ნამდვილი სახალხო დღესასწაული იყო. ხალხის წიაღიდან წამოსული და ხალხის ნიჭით გაბრწყინებული.

***P. S.** მე, წელს მთელი ბაფხული ურეკში გავატარე იმედის ქალაქის გვერდით. მთელი ბაფხული კაფე-ბარებიდან უცხოური მუსიკის ხმაური გამოდიოდა და ირგვლივ გნაცი იდგა. გამონაკლისი 29 სექტემბრის ღამე გამოდგა. საოცრად თბილი, წყნარი და მშიანი გათენდა მეორე დღე. წყნარი და განუმეორებელი პანგებით გაჟღენთილი. და კიდევ ერთი რამ: ქართველებს შეგვიძლია ზეიმის მოწყობა. ეს ამ ფესტივალმაც დაადასტურა. ოცნებას კაცი არ მოუკლავს – და მეც ვოცნებობ იმ დღეზე, როცა ურეკი და იმედის ქალაქი საერთაშორისო საფესტივალო რუკაზე მის ღირსეულ ადგილს დაიჭერს. ამის ყველა პირობა არსებობს აქ. ახლა სიტყვა ამ საქმის მესვეურებზეა.*

მინდა ვირწმუნო, რომ მალე ვიტყვით, „ურეკის იმედის ქალაქის ფესტივალი დამთავრდა, ფესტივალი გრძელდება".

ამირან კილურაძე.
ურეკი, იმედის ქალაქი.

სურათზე: ქართული საგალობლის მუზეუმი სოფელ ცხემლისხიდში.

◎ ინფორმაცია

შემოსვლა

მოსწავლეები გაზით მოიწამლნენ

იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში ამჟამად გაზით მოწამლული 12 მოსწავლე იმყოფება.

როგორც „ინტერ-პრესთან" საუბრისას საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის განყოფილების ექიმმა თინა აფციაურმა განუცხადა, 12 ბავშვიდან ერთი მძიმე მდგომარეობაშია, კიდევ ერთი კი, სასწრაფო გადაულებელი დახმარების განყოფილებაში იმყოფება.

ბავშვებს უკეთდებათ ანალიზები, მათ თითქმის ერთნაირი სიმპტომები აღენიშნებათ – ხველა, თავბრუსხვევა, ხელ-ფეხის დაბუქება.

მოწამლულები მოინახულეს ქალაქის პრემიერმა ბიძინა ბერეგაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა. გუშინ თბილისის №43 საშუალო სკოლაში ჯერჯერობით დაუდგენელი წყაროდან გაზის გაჟონვა მოხდა, რამაც ბავშვების მოწამლა გამოიწვია.

დაპირისპირება

სამეთვალყურეო საბჭო საქმიანობას თეატრის შენობაში განაგრძობს

რუსთავის მეგალურგიული კომბინატის სამეთვალყურეო საბჭო საქმიანობას რუსთავის დრამატული თეატრის შენობაში განაგრძობს.

როგორც გუშინ თეატრის შენობაში გამართულ პრესკონფერენციაზე მეგალურგიული კომბინატის რეაბილიტაციის მმართველმა ბენო ქაშაკაშვილმა განაცხადა, რამდენიმე დღის წინათ ქარხნის სამკაციანი სამეთვალყურეო საბჭოს კუთვნილი კაბინეტის კარზე იგალიელი ინვესტორების ბრძანებით საკეტი გამოცვალეს, რის გამოც სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შალვა მარგალიტაძე, გიორგი ფრუიძე და ომარ მიქაძე იძულებული გახდნენ, კაბინეტი რუსთავის დრამატული თეატრის შენობაში მოეწყოთ და სამუშაოდ იქ გადასულიყვნენ.

ბენო ქაშაკაშვილის მტკიცებითვე, დაკარგულია ქარხნის ფინანსური დოკუმენტაცია, თუმცა მათი აღდგენა შესაძლებელია. როგორც „ინტერ-პრესს" ქაშაკაშვილმა განუცხადა, კრედიტორთა კომიტეტის წევრები უკვე ექვსი თვეა ზეწოლას განიცდიან იგალიელი ინვესტორების მხრიდან, მათი ძირითადი მოთხოვნა კი ის არის, რომ ქარხანას პროფილი არ შეეცვალოს.

ტესტირება

833 ადვოკატი ჩაიჭრა

ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირება-გამოცდაზე გასულ პრეტენდენტთაგან მხოლოდ 59-მა პროცენტმა ჩააბარა. როგორც „ინტერ-პრესს" იუსტიციის საბჭოში განუცხადეს, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სურვილი 2 809 ადვოკატმა გამოთქვა, აქედან გამოცდებზე მხოლოდ 2 059 გამოცხადდა, გამსვლელი ქულა 1 226-მა მოაგროვა, 833 კი ჩაიჭრა. 6 კანდიდატი გამოცდიდან მოხსნეს.

პროცენტული მაჩვენებლების თანახმად კი სიტუაცია ასეთია – ტესტირებაზე 73% გამოცხადდა, 59%-მა გამოცდა ჩააბარა, 41% ჩაიჭრა.

გუშინ ჯეიან ღამით, საპრეტენზიო კომისიის სხდომა დასრულდა. შედეგების შეჯამებაში შესაძლოა მცირე შესწორებები შევიდეს.

ადვოკატებს 100 კითხვიდან სწორი პასუხი 75-სთვის უნდა გაეცათ. იმ ადვოკატებს, რომლებმაც ტესტირება ვერ გაიარეს, 2006 წლიდან უფლებამოსილება უჩერდებათ.

ინტერ-პრესი.

◎ მხარე

„მე ჩავალ ჩემს სიღნაღში"

პრეზიდენტი – სიღნაღის საპატიო მოქალაქე

საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი ქალაქის სიღნაღის საკრებულომ, გაითვალისწინა რა მშრომელთა მოთხოვნა, და ისიც, რომ ბატონი მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტად არჩევამდე და შემდეგ მოღვაწეობამიც ამქღავნებს სიღნაღის ისტორიული წარსულის, გამორჩეული კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების ღრმა ცოდნასა და პატივისცემას, გადაწყვიტა, საქართველოს პრეზიდენტს მიანიჭოს სიღნაღის საპატიო მოქალაქის წოდება.

როგორც საკრებულოს შესაბამის დადგენილებაშია ნათქვამი, სიღნაღისადმი განსაკუთრებული ყურადღება იმითაც გამოიხატა, რომ ეს ქალაქი გამოცხადდა სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს რაიონების მართლმსაჯულების აღმინისტრაციულ ცენტრად. უცხოეთში ერთ-ერთი ვიზიტის დროს პრეზიდენტმა აღნიშნა: „მე ჩავალ ჩემს სიღნაღში", რამაც ქალაქის მოსახლეობაში მაღლიერების გრძნობა გამოიწვია.

იმედია, პრეზიდენტი მართლაც მალე ჩავა სიღნაღში.

◎ ფინანსური პოლიცია

ღარნაკიდან – „კამაზამდე"

საკუთარი ფინანსური მდგომარეობით კმაყოფილი კაცი სანთლით საძებარი რომ არის, ამას, ვფიქრობ, დიდი მტკიცება არ სჭირდება. უმრავლესობა ჩვენგანს, ასე თუ ისე, გვიჭირს თვიდან თვემდე ოჯახისა და საკუთარი თავის გატანა, მაგრამ ასევე უმრავლესობას საკუთარი არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის სხვის ხარჯზე გამოსწორება ისევე დაუშვებლად მიაჩნია, როგორც ნებისმიერი სხვა სისაძაგლის ჩადენა.

ძნელი სათქმელია, თუ რა აზრისაა ამის თაობაზე თემურ ბერუაშვილი, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, რომ შერყეული ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება მან სხვისი ქონების დაუკითხავად გაყიდვით სცადა. ეს, თავისთავად, გარდა იმისა, რომ უმნეო საქციელია, სისხლის სამართლის დანაშაულიც არის.

ცოტა ხნის წინათ ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს განცხადებით მიმართა დარეჯან ტაბეშაძემ. იგი ამტკიცებდა, რომ 1300 ევროს ღირებულების ლარნაკი მან რესტავრატორ თემურ ბერუაშვილს მიუტანა, რომელმაც ეს ნივთი მის დაუკითხავად გაყიდა.

ეს ამბავი შარშანწინ მოხდა. დ. ტაბეშაძემ ბელგიიდან ჩამოტანილი ლარნაკი რესტავრატორს ნათია ჩლაიძისთვის 500 დოლარად მიუყიდია. ტაბეშაძის განმარტებით, ჩლაიძე ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება დროებით საცხოვრებლად. მისივე თქმით, მან ვერ შეძლო თავად თ. ბერუაშვილის ნახვაც, ვინაიდან მას თავისი საცხოვრებელი დაგირავებული აქვს და იმალება. შემდგომ დ. ტაბეშაძემ მაინც მიაგნო რესტავრატორის აღგილსამყოფელს. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ლარნაკის საფასურს, 1500 დოლარს, ივნისის მიწურულს დააბრუნებდა, თუმცა, დაპირება ლიტონ სიტყვებად დარჩა. ამასთან ერთად, საუბრისას თ. ბერუაშვილმა აღიარა, რომ ნ. ჩლაიძეს ლარნაკი 500 დოლარად იმიტომ მიჰყიდა, რომ „ფული დასჭირდა".

ჭეშმარიტად „რკინაბეტონის" არგუმენტია. ასე არ არის?

დ. ტაბეშაძემ ასევე განმარტა, რომ თ. ბერუაშვილისთვის ლარნაკის გადაცემასა და ფულის დაბრუნების დაპირებას ესწრებოდა რამდენიმე მოწმე, კერძოდ, ცისანა მიქელაძე, ოფელია სარქისოვი, თინა შონია, დარეჯან ბარკალაია და ქუჟუნა კორძახია. ეს ფაქტი ფინანსური პოლიციის მიერ ჩაგარებული მოკვლევისას მოწმეებმა დაადასტურეს.

ასევე მოკვლევის პროცესში მოცემულ ახსნა-განმარტებაში თ. ბერუაშვილმა დაადასტურა ლარნაკის მეპატრონის, ანუ დ. ტაბეშაძის დაუკითხავად ლარნაკის გაყიდვის ფაქტი, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკური ხელმოკლეობის გამო მოიმოქმედა.

ახლა ამის თაობაზე ახსნა-განმარტების მიცემა თ. ბერუაშვილს სასამართლოსთვის მოუწევს, ვინაიდან ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილით მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

თუმცა ლარნაკი რას მიქვია, როცა ზოგიერთი ჩვენი თანამოქალაქე სხვისი საგვირთო მანქანების მითვისებაზეა გადასული და მათი ნაწილებად დაშლა-გაყიდვა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

2002 წლის 1 ივნისს ანგონ კეკერაშვილმა სს „თბილისის №4 საგვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს" დირექტორ დემურ ქორჩილავასთან ერთთვიანი შრომითი ხელშეკრულება გააფორმა. შესაბამისად, მას „კამაზის" მარკის საგვირთო ავტომანქანა გადაეცა, რაშიც 100 ლარი გადაიხადა. ერთი თვის შემდეგ, ანუ 1 ივლისს, იჯარის ვადის გასვლის მიუხედავად, ა. კეკერაშვილმა საგვირთო ავტომანქანა, სიტყვიერი გაფრთხილების მიუხედავად, მფლობელს, ანუ ავტოსატრანსპორტო საწარმოს არ დაუბრუნა.

ამის გამო, საზოგადოების დირექტორმა დ. ქორჩილავამ ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს განცხადებით მიმართა. მოკვლევისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ა. კეკერაშვილმა განაცხადა, რომ შრომითი ხელშეკრულებიდან დაახლოებით სამი თვის (!) შემდეგ „კამაზი" მწყობრიდან გამოვიდა, რის გამო მან ავტომანქანა საკუთარი სახლის საკარმიდამო ეზოში გააჩერა, ხოლო ვინაიდან უსახსრობამ შეაწუხა, გადაწყვიტა... ის დაეშალა და სათადარიგო ნაწილებად გაეყიდა (!) ა. კეკერაშვილმა მანქანის ზოგიერთი ნაწილის მყიდველიც დაასახელა, კერძოდ, თანასოფელი ვ. გელიაშვილი, ასევე მარტყოფელი ტ. ღუჭაშვილი, რომლებმაც ეს ამბავი დაადასტურეს.

„კამაზის" სხვა ნაწილები კი კეკერაშვილმა სხვადასხვა დროს გაყიდა ე. წ. „მერვე პოლკის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ავტონაწილების ბაზრობაზე მისთვის უცნობ პირებზე. მთლიანად კი საგვირთო ავტომანქანა „კამაზის" ნაწილების გაყიდვით ა. კეკერაშვილმა დაახლოებით 2500 ლარი ჩაიჯიბა.

სს „თბილისის" №4 ავტოსატრანსპორტო საწარმოს „შესაბამისი წერილის თანახმად, აწ დაშლილი „კამაზის" საბალანსო ღირებულება 4580 ლარს შეადგენს.

ანგონ კეკერაშვილის მიმართ ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

ოთარ ტურაბელიძე.

◎ განახლება

სადგურს ადრინდელი იერსახე დაუბრუნდა

საქართველოში არსებულ რკინიგზის ნაგებობებს შორის სენაკის სადგური (ის ნახევარი საუკუნის წინათ არის აშენებული) ერთ-ერთი გამორჩეული და ლამაზი შენობა იყო. მაგრამ დრო გავიდა და იგი მოძველდა, ოდინდელი სიმშვენიერე დაკარგა. საჭირო იყო მისი განახლება-აღდგენა.

სენაკის რაიონის გამგეგლის გურამ მისაბიშვილის თხოვნით და საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობის დახმარებით აღდგენითი სამუშაოები ეგემაზომიერად დაიწყო და წარმატებითაც დასრულდა.

სარემონტო-აღდგენით სამუშაოებს ასრულებდა რკინიგზის სამგრედის № 2 სამოქალაქო ნაგებობათა დისტანცია (დირექტორი – თეიმურაზ ხუჭუა), სამუშაოთა მწარმოებელი იყო გამოცდილი ინჟინერი მერაბ ცომაია...

მშენებელთა მიერ შესრულებული აღდგენითი სამუშაოებით დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ სადგურის თანამშრომლები (უფროსი – დავით ნანავა), ქალაქის ფართო საზოგადოებრიობა.

სადგურის აღდგენითი სამუშაოების დამთავრებასთან დაკავშირებით სენაკს ეწვივნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ვიგი უგულავა. მათ სენაკელებს მიულოცეს განახლებული სადგურის მწყობრში ჩადგომა.

იოსებ გოგეჩია,
„სრ" საკ. კორ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 229, შაბათი, 2 ოქტომბერი, 2004 წელი.

დასკვნა შენც გამოიტანე

წუთისოფელი მართლაც ჭრელია

მონანიება მშობლის საფლავთან

ეს ტრაგიკული შემთხვევა 1983 წელს მოხდა. კარლა თაკერმა და მისმა დროებითმა ქმარმა დენიელ გარეტმა წერაქვითა და ჩაქუჩით მოკლეს ჯერი ლინდინი და დებორა თორნტონი. ნარკომანები იყვნენ მკვლელები, თანაც გაუკუღმართებული სექსუალური ცხოვრების მოტრფიალენი. დენიელ გარეტი მაშინვე დააპატიმრეს, სიკვდილი მიუსაჯეს. კარლა თაკერსაც სიკვდილი მიუსაჯეს და ვენაში ქიმიური ნივთიერებები შეუყვანეს, 1998 წლის 3 თებერვალს ინექციით მოკლეს.

თაკერი სასამართლო პროცესამდე კარგა ხანს გარეთ დადიოდა, სუფთა ჰაერს ყლაპავდა. თითქმის სავსებით გამოსწორდა, მორჯულდა, მღვდელზე გათხოვდა, ქრისტიანობაც ირწმუნა. მოკლულთა ახლობლებს დიდი ბოდიში მოუხადა, ყველაფერი მოინანია. ერთი სიტყვით, ქალი იყო და ქალურ ცხოვრებას მიეძალა. ბევრმა მისი ქომაგობა სცადა. რომის პაპმა სპეციალურად მიმართა ამერიკის ხელისუფლებას, მაგრამ ცივი უარი მიიღო. ერთი თვითაც კი არ გადაუვადეს სასჯელის აღსრულება. კანონი კანონიაო და ტეხასის შტატის გუბერნატორმა ჯორჯ ბუშმა (ამერიკის ახლანდელმა პრეზიდენტმა) ახლოს არავინ გაიკარა. — შეუნდოს უფალმა, — ეს იყო მისი სიტყვები მხოლოდ!

ჩვენ სიკვდილით დასჯა გავაუქმეთ, ქალებს კი არა, კაცებს, ვისაც დახვრეტა ჩვენი კანონების სრული დაცვით მიუსაჯეთ, ერთბაშად შევიწყალეთ, სიცოცხლე ვაჩუქეთ. ბევრი უკვე გარეთ გამოვიყვანეთ, საკუთარ ოჯახებს დავუბრუნეთ. ამერიკაში რომ დემოკრატიაა, — ჩვენ იქამდე როდის მივალთ, მაგრამ მაინც გადავდგით დემოკრატიული, ჰუმანური ნაბიჯი. ღმერთმა გვაშოროს, არავინ ქადაგებს დახვრეტას, სისხლისღვრას, მაგრამ ვკითხეთ რამე დაზარალებულს, ჭირისუფალს, როდესაც ასეთ ჰუმანურ ნაბიჯს ვდგამდით? თუ ვიცავთ პატიმრის უფლებებს, რად არ ვიცავთ დაზარალებულის უფლებებს, რა ქნან შაოსანმა დედებმა, რომელთაც უდანაშაულოდ დაუხოცეს შვილები? რა ხასიათზე დადგებიან, როცა ხვალ-ზეგ ქუჩაში ნახავენ მკვლელებს?

მე არც ვაპირებდი კარლა თაკერის შესახებ რაიმეს დაწერას, მაგრამ მომნუსხა მისმა ბოლო სიტყვებმა, რომლებიც მოკლულთა მშობლებს უთხრა: — იმედი მაქვს, რომ ჩემი დასჯით ღმერთი შვებას მოგანიჭებთ! ესა თქვა ქალმა. ნეტა, რომელი ქართველი კაცი გაიმეორებს ამ ფრაზას?

ალბათ, გახსოვთ, ხუთიოდე წლის წინათ საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობდა საკმაოდ გახმაურებული, მრავალფიგურიანი და მრავალეპიზოდიანი პროცესი. მოკლული იყვნენ გია ჭანტურია, გია გულუა, სოლიკო ხაბეიშვილი... ყველა განსასჯელი უარყოფდა, ამ ბრალდებას გამოძიების მიერ შეთითხნილს უწოდებდა. ერთხელ პროცესზე შემოვიდა გია ჭანტურიას დედა და იკითხა: — მაშ, ვინ მოკლა ჩემი შვილი? კითხვა უპასუხოდ დარჩა. ჯერჯერობით ისევ ბურუსითაა ყველაფერი მოცული. დავიცავთ კი ამ შაოსანი დედის უფლებებს? ეტყვის ვინმე მას კარლა თაკერის სიტყვებს? ძალზე საეჭვოა!

ძალზე საეჭვოა იმიტომ, რომ ბოლო ხანს ჩვენში ადამიანის მკვლელობა მზესუმზირის გაკნატუნებას გაუტოლდა. თანაც, რა ასაკიდან? სულ რაღაც 20-ოდე წლის ხვიჩა დემინაშვილმა 2002 წლის 23 დეკემბერს მოკლა გიგო კანაშვილი, 2003 წლის 1 იანვარს (ახალი წლის დღეს) სიცოცხლეს გამოასალმა გიორგი მირიანაშვილი, 4 მაისს კი — შალვა წითელაშვილი. 4 თვეში 3 კაცის მკვლელობა! მოსანანიებელია არა? მერედა, სად არის ეს მონანიება?

თუმცა, ქართულ სინამდვილეში ისეთი რამ მოხდა, რაც მსოფლიოს იქნებ არც დაესიზმრება. 2003 წლის 21 ოქტომბერს წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირში მშობლების საფლავთან, ნაძვის ხეზე, თავი ჩამოიხრჩო 13-ჯერ ნასამართლევმა სულიკო ჭელიძემ.

ჩხრეკა სათათბიროს ზღურბლთან

ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს ხდება რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, მაგრამ ფაქტებს სად გაექცევი? ადრე ყოველკვირეულად „დუმის" ბუფეტებიდან იკარგებოდა 2-3 ჩანგალი და 6-7 კოვზი. ახლა იკარგება 14-15 ჩანგალი და 35-40 კოვზი. კვების ბლოკის მუშაკები გადარეულები არიან: — სათათბიროში ამდენი ფულის ტომარაა. ისეთი მანქანებით დადიან, ისეთი კოსტიუმები აცვიათ და... აღარც ჩანგალი შეგვარჩინეს, აღარც კოვზი, აღარც თეფში, აღარც ფინჯანი, აღარც ფუჟერი, აღარც ბოკალი... გაიცალა საწყობი, ჭურჭლის ჩამოწერას ვახერხებთ, ვითომ იმტვრევა, ილეწება, ჭიქაც და სირჩაც ტყდება, მაგრამ რა ვუყოთ ჩანგალსა და კოვზს? საიდან მოვიტანოთ „დუქნობით"?

იცით, რა არის ყველაზე მეტად გასაკვირი? დეპუტატებს ისედაც ურიგებენ ჭურჭელს. კომიტეტების თავმჯდომარეებს, მაგალითად, აძლევენ 6-6 ფუჟერსა და ბოკალს, ცოტა ზემდგომებს — უკვე 12-12 ცალს. არის შუშისაც, ბროლისაც... მათი არც იმსხვრევა, არც იკარგება. აი, სასადილოებიდან, ბუფეტებიდან კი თეალსა და ხელს შუა ქრება...

სათათბიროს მთავარი მორალისტი, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გენადი რაიკოვი დაუფარავად ამბობს: — მე პირადად ეს ამბავი არ მაკვირვებს. აქ ისეთი ხალხი დადის, შეიძლება ხალიჩებიც კი აახვიონ და შინ წაიღონ! დეპუტატი ნიკოლოზ ხარიტონოვი უფრო შორს მიდის: — მე სახლიდან მომაქვს ხელსახოციც და ტუალეტის ქაღალდიც. ასეთებს სათათბიროში ვერ შეხვდებით, აქრობენ, იპარავენ...

ჩვენ ახლა გთავაზობთ ერთ ფოტოს. მასზე გამოსახულია ქართველთა (კავკასიელთა) დიდი მოძულე ვლადიმერ ჟირინოვსკი, რომელიც კოლეგებთან ერთად დგას გაშლილ სუფრასთან. დააკვირდით კარგად, — თქვენ იქ ვერ ნახავთ ვერც დანას, ვერც ჩანგალს, ვერც კოვზს... გამქრალია ყველაფერი, რაც კი რკინისაა. თუმცა, არც ხელსახოცი სჩანს არსად. ისე, რა უშავს, შეჭამენ და, როგორც სხვა საქმეში სჩვევიათ, ხელებს აქაც სხვას შეაწმენდენ!

წაწყმედა ღვინის მარანთან



რთველი კარს მოგვადგა და მთელი კახეთი დაიბოღმა, კრიჭა შეეკრა, სისხლი გაეყინა. ღვინის ქარხნები ყურძენს არ იბარებენ და წლის დოვლათი ულპებათ. საქმეში ჩაერია ქვეყნის პრეზიდენტი (600.000 ლარი გამოიყო), პრემიერ-მინისტრი (გამგებლების თავზე ცეცხლი დაანთო). მაინც ჭირს. ხალხმა გზები გადაკეტა, აქციები გამართა...

გადმოდგა ჟურნალი „მაქსი" (№ 45) და ყველაფერი ვარდისფრად დახატა: რა განერვიულებთ, ხალხო, ახლა მთავარია არა ყურძნის კრეფა და ჩაბარება, არამედ შუა ვენახში „ეკოლოგიურად სუფთა" სექსის გახურება, კერძოდ, ტუჩებზე დაწაფვა, დუნდულებზე ხელის მოტყაპუნება, ყურძნის მარცვლებივით ქალის ძუძუების კერტების ჭყლეტა, კუტუნიას „აზრზე მოყვანა" და...

რთველის პერიოდში თურმე ჩვენი ქალები თავლაფწყვეტით დაეძებენ სპონტანურად „დამტკებლებს", ვთქვათ, შეშის მჩეხავებს, ყურძნის მკრეფავებს... მათ მაჩოები უნდა შეამზადონ თათარიახნი სექსისთვის და დროულადაც შეუძახონ — „ეი, ბიჭო, უკვე შეყოფის დროა!" და როცა ბობოქარი სექსი შედგება, — მერე ყურძენიც გემრიელად დაიკრიფება და ღვინოც მშვენიერად დაიწურება. აბა!

არ გვჭირდება თავის ზედმეტად შეწუხება. ჟურნალი გვთავაზობს გადასარევ პოზებს უცაბედი სექსისთვის არა მარტო ვენახში, არამედ სახლშიც და სამსახურშიც. თუ ვენახიც და მარანიც, ეს ორი უწმინდესი ადგილიც ბორდელად ვაქციეთ, აგვეშენებია ოჯახი და ეგ არის!

ზონდო გულიაშვილი.

აკრძალული ზონა

ცოდნა საკნის კედლებსაც ანგრევს

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ბავშვები ყოველთვის მოუთმენლად ელოდებიან, სექტემბერს მაინც სხვა შემართებითა და მონდომებით ხვდებიან. თუმცა ჩვენს საზოგადოებაში არიან ისეთი ბავშვებიც, რომელთათვის სწავლის დაწყება ორმაგად სასიხარულოა, რადგან ეს პროცესი სავსებით ცვლის მათ ყოველდღიურობას, ერთფეროვან ცხოვრებას. ისინი ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების მობინადრენი არიან.

დღეისთვის არასრულწლოვანთა დაწესებულებასთან არსებულ 39-ე საშუალო სკოლაში 34 ახალგაზრდა სწავლობს. თითო კლასში 6-7 ბავშვია. ისინი ჩვეულებრივი განრიგით, საღამოს სკოლის პროგრამით სწავლობენ. სკოლის დირექტორის არჩილ ბერიძის თქმით, ამ სკოლის კურსდამთავრებულები დღეს უკვე ცნობილი პიროვნებებიც არიან. აღსანიშნავია ისიც, რომ შარშან ოთხმა ახალგაზრდამ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა. სკოლის ძირითადი პრობლემა სახელმძღვანელოების ნაკლებობაა. აქ დღეს 11 პედაგოგი მოღვაწეობს, რომელთაც დახელოვნების ინსტიტუტში სათანადო მომზადება გაიარეს. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის არაჩვეულებრივი ურთიერთდამოკიდებულებაა.

საკადრო ცვლილებები ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებასაც შეეხო. დღეს დაწესებულების დირექტორი, ყოფილი ჟურნალისტი ხათუნა ჯოპავაა. მისი თქმით, ამ სისტემის სხვა დაწესებულებებისგან განსხვავებით, აქ ყველაზე კარგი მდგომარეობაა. ბავშვები ზოგადსაგანმანათლებლო კურსს გადიან, მაგრამ ეს მათთვის საკმარისი არ არის. პროფესიული განათლების მიღების სურვილიც აქვთ. უნდათ, რომ სახელოსნოები ჰქონდეთ, სადაც სისტემატურად იმუშავებენ, დასაქმდებიან, ხელობას აითვისებენ. ამ ყველაფრის სრულყოფა, დღევანდელი პირობების ფონზე, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ შეგვიძლია, — განაცხადა ხათუნა ჯოპავამ.

ბავშვების მონდომებას საკლასო ოთახებსა თუ დერეფანში მათ მიერვე მომზადებული სხვადასხვა კედლის გაზეთიც ადასტურებს. მათი უცხო ენის შესწავლის სურვილის შესახებ საქართველოში მოღვაწე ენტონი ბირმანს შეუტყვია. იგი შეხვდა ახალგაზრდებს და მომავალი ორშაბათიდან კვირაში ორჯერ, სრულიად უანგაროდ გაკვეთილებს ჩაუტარებს, თვითონ კი ამ ბავშვებისგან ქართული ენის შესწავლას დაიწყებს.

ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში სწავლის დაწყებასთან დაკავშირებული პრობლემები იუსტიციის სამინისტრომაც გაიზიარა. იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა ბავშვებს სახელმძღვანელოები და სხვა სასკოლო ინვენტარი გადასცა. მან განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომაიაც ისტუმრა.

— ჩვენი მიზანია, დავაკვირდეთ და ხელი შევუწყოთ კოლონიაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. აქ ცოდნის მიღებისთვის ნამდვილად კარგი პირობებია, მაგრამ აკლიათ სასკოლო ინვენტარი. ჩვენ ამ დანაკლისს ბავშვებს ნელნელა შევუვსებთ. მისასალმებელია, რომ განათლების მინისტრი გვერდში გვიდგას, ყველაფერი გაკეთდება, რათა დაინერგოს ახალი პროგრამები, აღმოიფხვრას პრობლემები და ა. შ. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანია ამ ახალგაზრდებისთვის, რადგან ისინი ამ კედლების დატოვების შემდეგ სრულფასოვანი მოქალაქეები იქნებიან. მათ ექნებათ შესაბამისი განათლება და სტიმული იმისა, რომ ჩვენთან ერთად ცხოვრების ფერხულში ჩაებან, — განაცხადა გიორგი პაპუაშვილმა.

განათლების და მეცნიერების მინისტრი კახა ლომაია დაწესებულებასთან არსებული სკოლის მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებას დაჰპირდა, ბავშვებს კი აუხსნა, რომ მათთვის ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის კარი ყოველთვის ღიაა.

დაწესებულების თითოეულმა ახალგაზრდამ კარგად იცის, რომ გათავისუფლების შემდეგ ის საზოგადოების სრულფასოვანი წარმომადგენელი იქნება. კოლონიის დირექტორისა და სკოლის პედკოლექტივის უშუალობა და თანადგომა ბავშვებს დიდ ოპტიმიზმს მატებს. ისინი უკვე საუბრობენ იმაზე, თუ როგორ მიიღებენ უმაღლეს განათლებას, როგორ შექმნიან ლამაზ ოჯახებს... ამ ყველაფრის სისრულეში მოსაყვანად მათ ერთი ზღურბლი აშორებთ, რომლის გადაბიჯებასაც ყველა მოთმინებით ელის.

ლელა ხვადაგიანი.

ინფორმაცია თემაში

რუსეთის ფედერაციაში არასრულწლოვანთა 62 კოლონიაა. სწავლა იქაც მიმდინარეობს. წლის ბოლოს ჩატარდება კონკურსი ყველაზე ჭკვიანი მოსწავლის გამოსავლენად. ფინალში გავა 10 ბავშვი. პირველი ადგილი მიიღებს 6000 რუბლს, მეორე — 3 000-ს, მესამე — 2000-ს. დანარჩენები მიიღებენ წამახალისებელ პრემიებს.

სხვათა შორის, რუსეთის არასრულწლოვანთა კოლონიებში 80 პროცენტს მიღებული არა აქვს სრული დაწყებითი განათლება. მათგან 5 პროცენტმა საერთოდ არ იცის წერა-კითხვა, 85 პროცენტმა კითხვა იცის, მაგრამ მისგან აზრი ვერ გამოაქვს.

ინფორმაცია

სტიქია

ხანძრის ჩაქრობაში თურქეთი გვეხმარება

ბორჯომი-ხარაგაულის ტყე-პარკის ტერიტორიაზე გაჩენილი ხანძრის ლიკვიდაციის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დახმარება თურქეთმა აღმოუჩინა.

როგორც ინტერ-პრესს საქართველოში თურქეთის საელჩოში განუცხადეს, თურქეთის გენერალურმა შტაბმა პრობლემის მოსაგვარებლად სამი შვეულმფრენი გამოაგზავნა.

ისინი ხანძრის ჩასაქრობი სპეციალური ნივთიერებებით არის აღჭურვილი. შვეულმფრენები საქართველოს ტერიტორიაზე გუშინ, დილის 7 საათიდან ცდილობდნენ ხანძრის ჩაქრობას.

დაბინძურება

ნინოწმინდაში სპეციალისტებმა რადიაციული ფონის ზრდა ვერ დააფიქსირეს

ნინოწმინდაში მომხდარმა ინციდენტმა სასმელი წყლის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური დაბინძურება გამოიწვია.

როგორც ინტერ-პრესს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში განუცხადეს, წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებით სანიტარიული ინსპექცია გამორეცხავს სათავე ნეგებობას და დაქლორავს წყალს.

მოხდარის გამო სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტებმა რაიონში რადიაციული ფონიც გაზომეს. გამოკვლევის შედეგად სპეციალისტებმა რადიაციული ფონის ზრდა ვერ დააფიქსირეს.

ჭაბურღილზე დაფიქსირებული ინციდენტის შედეგად მიმდებარე ტერიტორიაზე ხეხილი და ვენახიც დაბინძურდა. ნიადაგის დაბინძურება კი ჭაბურღილის გარემომცველ ტერიტორიაზე მოხდა.

ნინოწმინდის მახლობლად ქართულ-ბრიტანული ნავთობის კომპანია „ნინოწმინდას" მეასე ჭაბურღილზე 10 სექტემბერს ნავთობის ღია შადრევანი წარმოიქმნა, რომლის ლოკალიზება 13 სექტემბერს მოხერხდა.

რეიდი

უაქციზო სიგარეტი ამოიღეს

ფინანსური პოლიციის იმერეთის განყოფილების თანამშრომლებმა და თბილისიდან ჩასული სპეცრაზმის წევრებმა გუშინ დილით ქუთაისში ბაზრებსა და ბაზრობებში ერთობლივი რეიდები ჩაატარეს, სადაც უაქციზო საქონლით მოვაჭრეები გამოავლინეს.

რეიდის შედეგად პოლიციამ ე. წ. „კეჭის" ბაზრობაზე უაქციზო სიგარეტის ერთ-ერთი მსხვილი შემომტანი ნოდარ კუპრავა დააპატიმრა.

იმერეთის ფინანსურ პოლიციაში ჯერჯერობით არ აზუსტებენ, რა რაოდენობის უაქციზო სიგარეტი ამოიღეს გუშინ ქუთაისში. თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, საუბარია ათი ათასობით კოლოფზე.

გამორიცხული არ არის, რეიდების შედეგებიდან გამომდინარე, სავაჭრო ობიექტების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

შემთხვევა

აფეთქების შედეგად ხუთი პიროვნება დაშავდა

თბილისში, კაიროს ქუჩის №2-ში მდებარე გაზგასამართ სადგურზე გუშინ აფეთქება მოხდა. სადგურში გაზის გასამართად შესულ მსუბუქ ავტომანქანა „ფორდს" გამართვის პროცესში მანქანაში ჩამონტაჟებული გაზის ბალონი აუფეთქდა, რის გამოც მანქანას ცეცხლი გაუჩნდა.

როგორც ხანძარსაწინააღმდეგო რაზმის უფროსმა ტიტე ჯიჭონაიამ განაცხადა, აფეთქება მანქანაში ჩამონტაჟებული ბალონების გაუმართაობამ გამოიწვია.

ინტერ-პრესი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ვარ 69 წლის. 1952-1966 წლებში ვემსახურობდი ჯარში, სადაც მივიღე სპეციფიკური დაავადება. 2003 წელს დამიდგინდა II ჯგუფის ინვალიდობა და დამინიშნეს ინვალიდობის პენსია, თვეში 45 ლარის ოდენობით, ხოლო ასაკის პენსია მომიხსნეს. მაქვს სამოქალაქო დაწესებულებაში მუშაობის 30 წლის უწყვეტი შრომის სტაჟი.

მაქვს თუ არა ორი სახის პენსიის მიღების უფლება?

ვასილ რობაქიძე.

— თუ თქვენ იღებდით ასაკის პენსიას სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონული განყოფილებიდან, ხოლო შემდგომში ინვალიდობა დაგიდგინდათ სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და ამავე განყოფილების მიერ პენსია გაგეზარდათ 45 ლარამდე, კანონიერად შეგიწყდათ მოხუცებულობის პენსია, ვინაიდან პირს, რომელსაც აქვს სოციალური დაზღვევის ფონდის განყოფილებიდან ორი სახის პენსიის დანიშვნად საჭირო პირობები, შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი სურვილისამებრ (მისთვის უფრო ხელსაყრელი).

აქვე გაცნობებთ, რომ მოქმედი კანონის თანახმად, ორი სახის პენსიის მიღების უფლება აქვთ იმ პირებს, რომელთაც გააჩნიათ სამხედრო წოდება (მიეკუთვნებიან ოფიცერთა შემადგენლობას), ინვალიდობის პენსია დანიშნული აქვთ ძალოვანი სტრუქტურებიდან და ამავე დროს, გააჩნიათ სოციალური დაზღვევის ფონდის განყოფილებიდან პენსიის მისაღებად საჭირო პირობები.

* * *

— ვარ 16 წლის, ვსწავლობ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. ამ რამდენიმე თვის წინათ გარდამეცვალა პაპა, რომლის ოჯახშიაც ვიზრდებოდი და 3 წლის ასაკიდან ვიმყოფებოდი ბებიის და პაპის კმაყოფაზე.

გთხოვთ განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა პენსია მისი გარდაცვალების გამო?

მაკა უსტიაშვილი.

— პაპის გარდაცვალების გამო პენსია იმ შემთხვევაში დაგენიშნებათ, თუ თქვენ მას, სათანადო წესის დაცვით, ჰყავდით შვილად აყვანილი.

აქვე განგიმარტავთ, რომ თუ თქვენ იზრდებოდით პაპასთან და ბებიასთან ისე, რომ მათ შვილად აყვანილი არ ჰყოლიხართ, პაპის გარდაცვალების გამო პენსია იმ შემთხვევაში დაგენიშნებათ, თუ არ გყავთ შრომისუნარიანი მშობლები.

* * *

— გთხოვთ განმიმარტოთ, თბილისის საპატიო მოქალაქეები სარგებლობენ თუ არა შეღავათით ბუნებრივი აირის მოხმარების დროს და გარდა ამისა, უფრცელდებათ თუ არა კიდევ რაიმე შეღავათი?

მანანა კობახიძე.

— დედაქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისის საპატიო მოქალაქეები გათავისუფლებული არიან საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და მოხმარებული სასმელი წყლის გადასახადისგან.

— ბუნებრივი აირის უფასო მოხმარება განესაზღვრებათ 40 კუბ. მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას — 60 კუბ. მეტრის ოდენობით.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

გენური ინჟინერია

განა ყველა სიახლე კარგია...

საეჭვო უცხოური კომპანიების ნოვაციებს გამოცდილი მამაპაპური მეთოდები სჯობს

გენური ინჟინერიის მეთოდი და ტექნოლოგია მსოფლიო მასშტაბით სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში 10 წელზე მეტია არსებობს.

იმის გამო, რომ გენმოდიფიცირება გარემოსთვისაც მავნეა და ამ ტექნოლოგიით მიღებული პროდუქტები ადამიანის ჯანმრთელობასაც უქმნის საფრთხეს, მათ ევროპის ბაზრებში იშვიათად შეხვდებით, არც მყიდველი ჰყავს.

და თუკი საქართველო ევროპის ბაზარზე გასვლისკენ მისწრაფვის, მან ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ ჩვენს მიერ დამზადებულ პროდუქტებში გენმოდიფიცირებული არ გაერიოს. როგორც ჩანს, ეს ძალზე სერიოზული და დამაფიქრებელი საქმეა, რომელიც გადადებას არამც და არამც არ ექვემდებარება.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ უცხოური სამსახურები, ფირმები და კორპორაციები, რომლებიც გენური ტექნოლოგიით მუშაობენ, სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი, რომ მსოფლიოში ეს ტექნოლოგია გავრცელდეს, რათა საკვების წარმოება მათ ფირმებზე იყოს დამოკიდებული. ეს მათი ინტერესთა თანხვედრაა, ანუ მათი ფინანსური და ეკონომიკური დაინტერესების საფუძველთა საფუძველი.

ამ საკითხებზე სასაუბროდ რედაქციაში მოვიწვიეთ საქართველოს მწვანეთა მოძრაობის გენმოდიფიცირებული ორგანიზმების საწინააღმდეგო კამპანიის კოორდინატორი გიორგი მაღრაძე:

რა არის გენური ინჟინერია?

ბატონი გიორგის განმარტება ასეთია: გენური ინჟინერია გენებით მანიპულირებას გულისხმობს. მეცნიერებს შეუძლიათ, ერთი სახეობიდან გენები მეორე, არამონათესავე სახეობაში გადაიტანონ.

ამ მეთოდის მომხრეები ხშირად ამტკიცებენ, რომ ისინი იმავე საქმიანობას ეწევიან, რასაც ჩვეულებრივი სელექციონერები, მხოლოდ უფრო სწრაფად და მეტი სიზუსტით. მართლაც, სელექციის დროსაც შეიძლება, მოხდეს გენების გადაცემა, მაგრამ ძალიან მონათესავე სახეობებს შორის, გენური ინჟინერიის დროს კი ასეთი ბარიერი არ არსებობს, აქამდე არასოდეს ყოფილა შესაძლებელი ცხოველიდან მცენარეში ან ბაქტერიიდან ადამიანში გენის გადატანა. რა შედეგი შეიძლება მოყვეს ასეთი ორგანიზმების ბუნებაში გამოთავისუფლებას? დღეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არავის შეუძლია. ყველაზე გამოცდილ მეცნიერსაც კი უჭირს ზუსტად თქვას, რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ადამიანს გენმოდიფიცირებული პროდუქტების ბუნებაში გავრცელებამ.

— ბატონო გიორგი, თქვენი აზრით, უსაფრთხოა თუ არა გენმოდიფიცირებული ორგანიზმები გარემოსათვის?

— გენმოდიფიცირებული ორგანიზმები არის ცოცხალი არსებები, მათ შეუძლიათ გავრცელება და გამრავლება და თავიანთი გენების გადაცემა ველური სახეობებისთვის, ბუნებაში გაშვების შემდეგ კი შეუძლებელი იქნება მათი უკან გამოხმობა.

მრავალი ექსპერტი გამოთქვამს შიშს, რომ გენური ინჟინერია მნიშვნელოვნად დააჩქარებს ბიომრავალფეროვნების განადგურებას. მაგალითად, ინგლისური კვლევა წინასწარმეტყველებს, რომ ჰერბიციდებისადმი მდგრადი გენმოდიფიცირებული კულტურების მასობრივმა თესვამ შეიძლება სრულ განადგურებამდე მიიყვანოს ტოროლები, რადგან ისინი სარეველა მცენარეების თესლით იკვებებიან. გენმოდიფიცირების, თუ მონოკულტურების დანერგვის შემთხვევაში ეს მცენარეები განადგურდება, შესაბამისად, განადგურდება ტოროლა და სხვა ფრინველები და მწერებიც, რომლებიც თესლებით იკვებებიან.

საერთოდ, გენური ინჟინერია ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის ახალი მიმართულებაა და იგი კიდევ უფრო მეტადაა ორიენტირებული მონოკულტურებზე, რითაც, თავისთავად, ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების შემცირებას.

— ახდენს თუ არა გავლენას გენმოდიფიცირებული ორგანიზმები ჯანმრთელობაზე?

— შეიძლება ახდენს, შეიძლება — არა. გენმოდიფიცირებული საკვები „ახალი ხილია", იგი ახალ ნივთიერებებს შეიცავს, რომლებიც აქამდე არ გვიჭამია. ჩვენ დღემდე არასოდეს შეგვხვედრია ბაქტერიული პროტეინი სიმინდში, არც თევზის ცილები გვინახავს პამიდორში და არც ვირუსის პროტეინი — კარტოფილში. ჩვენს ორგანიზმს არა აქვს ამის გამოცდილება, და არც იმის წინასწარმეტყველებაა შესაძლებელი, გამოიწვევს თუ არა ახალი საკვები ალერგიებს ან სხვა ქრონიკულ დაავადებებს 5 თუ 10 წლის შემდეგ. ახალმა გენებმა შეიძლება შეცვალოს ბუნებრივი გენების მოქმედება, რასაც შესაძლოა, გაუთვალისწინებელი თანამდევი ეფექტები მოჰყვეს.

თანამედროვე მეცნიერული კვლევების თანახმად, გენმოდიფიცირებულმა საკვებმა შეიძლება გამოიწვიოს ალერგიები და იმუნური სისტემის რეაქციები; ასეთი დაავადების სამკურნალოდ ანტიბიოტიკი უკვე არაეფექტური აღმოჩნდება.

— თუკი გენური ინჟინერია და მისი პროდუქტები ამდენ რისკთან არის დაკავშირებული, მაშინ რისთვის გახდა საჭირო მისი არსებობა?

— სოფლის მეურნეობაში მისი გამოყენების მომხრეები ამტკიცებენ, რომ გენური ინჟინერიის მეთოდების გარეშე კაცობრიობა ვერ იარსებებს. თავიანთი პოზიციის გასამაგრებლად ისინი იყენებენ შემდეგ არგუმენტებს:

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ შემდეგი 20 წლის განმავლობაში დედამიწის მოსახლეობა გაორმაგდება და მათი კვების პროდუქტებით მომარაგება დიდი პრობლემა იქნება. გენური ინჟინერიით მიღებულ მცენარეებს კი შეუძლიათ მოგვცენ უფრო დიდი მოსავალი, ვიდრე ტრადიციულ კულტურებს. სწორედ მოსავლიანობის გაზრდა არის ძირითადი არგუმენტი.

გარდა ამისა, გენმოდიფიცირებული მცენარეები ადვილად ეგუებიან გვალვასა და ყინვას, ასეთი მცენარეების გამოყენებამ კი შეიძლება მოგვცეს საშუალება, ნაკლებად დავამუშაოთ ნიადაგები შხამქიმიკატებით.

გარდა ამისა, პროდუქტები, რომლებიც გენმოდიფიცირებულ ინგრედიენტებს შეიცავს, შეიძლება ჯანმრთელობისთვის სასარგებლო გახდეს, თუ მათში შეიყვანენ ვაქცინას სხვადასხვა დაავადების საწინააღმდეგოდ. მაგალითისათვის მოჰყავთ, თითქოს უკვე შექმნილია სალათა, რომელიც ჰეპატიტ ბ-ს საწინააღმდეგო ვაქცინას გამოიმუშავებს და სხვა.

მართალია თუ არა ყოველივე ეს?

— უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვერცერთმა აგროეკოლოგიურმა რევოლუციამ მსოფლიოში შიმშილის პრობლემის გადაჭრა ვერ მოახერხა, ვინაიდან შიმშილი არის სოციალური და პოლიტიკური პრობლემა, — ამბობს გიორგი მაღრაძე, — მსოფლიოში დღეს გაცილებით მეტი საკვები იწარმოება, მაგრამ ექსპერტების აზრით, პრობლემის გადაჭრა მის განაწილებასა და მასზე ხელმისაწვდომობაშია. გენეტიკურმა ინჟინერიამ კი შესაძლოა უფრო გააძლიეროს მსოფლიო შიმშილი, რადგან მულტინაციონალური კომპანიები პატენტირებული მცენარეების მოყვანისათვის საფასურის გადახდას ითხოვენ.

ასევე ილუზიაა იმის მტკიცება, რომ მცენარეებში ვიტამინებისა და სხვა სასარგებლო ნივთიერებების შემცველობა გაიზრდება. ამის დადასტურებაა ვიტამინი ა-ს გაზრდილი რაოდენობით შემცველი ე. წ. „ოქროს ბრინჯი". მაგრამ იმისათვის, რომ ვიტამინ ა-ს აუცილებელი დღიური ნორმა მიიღოს, ზრდასრულმა ადამიანმა დღეში 9 კილოგრამი ბრინჯი უნდა შეჭამოს, რაც სისულელეა. ჩვეულებრივი 2 ცალი სტაფილო უფრო ადვილად გადაჭრიდა ამ პრობლემას.

მისი რეალური დანიშნულებაა, ბრინჯის მწარმოებელი გლეხები და ფერმერები მოაქციონ მულტნაციონალური კორპორაციების კონტროლის ქვეშ და აიძულოს ისინი, წილი აძლიონ „ოქროს ბრინჯის" გამომგონებელ და მასზე პატენტის მფლობელ კომპანიას.

გენური ინჟინერია სულაც არ ამცირებს ქიმიკატების გამოყენებას, ანალოგიური მდგომარეობაა ჰერბიციდებისა და პესტიციდებისადმი მდგრადი კულტურების მხრივაც.

ასე რომ, გენური ინჟინერია სულაც არ ემსახურება მსოფლიოში შიმშილის დაძლევას, მისი მიზანია სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა მოაქციოს რამდენიმე მულტნაციონალური კორპორაციის ხელში და ფერმერები დაუქვემდებაროს მათს კონტროლს. ასეთი კორპორაციების კონტროლქვეშ იმყოფება, მაგალითად, მარცვლეულის კომერციული ბაზრის მეოთხედი და გენმოდიფიცირებული ხორბლის ბაზრის, პრაქტიკულად, 100 პროცენტი. გენმოდიფიცირებული მცენარეების 48 პროცენტი კი მოჰყავს სამ ქვეყანას: აშშ, კანადას და არგენტინას.

რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, ვის ვენდოთ?

აი, კითხვები, რომლებიც დღეს ყველას გვაწუხებს.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების საწინააღმდეგო კომპანიის კოორდინატორი გიორგი მაღრაძე გვირჩევს, ეჭვით მოვეკიდოთ უცხოური წარმოშობის ჯიშებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას უფასოდ გვთავაზობენ. არავინ იცის, რა მეთოდებით არის იგი მიღებული. საუკუნეების მანძილზე ნაცადი მამაპაპური მეთოდები ყოველთვის უფრო გამართლებულია, ვიდრე საეჭვო უცხოური კომპანიების მიერ ნაჩქარევად დანერგილი.

ესაუბრა
ნაზი იმნაიშვილი.

◎ ადამიანი დროში

კაცი, რომელსაც უკან მოხედვის არ შერცხვება

თუ ვინმეს შეუძლია, თამამად გაიმეოროს ფრთიან ფრაზად ქცეული სიმღერის სტრიქონი, – წლები ჩემი სიმდიდრეაო, – მათ შორის უთუოდ არის ბატონი მამია გოგოლიშვილი, რომელსაც ამ დღეებში დაბადებიდან 90 წელიწადი შეუსრულდა. მან ისე კაცურად განვლო ცხოვრების ნარ-ეკლიანი გზა, რომ სიძნელე-სიდუხჭირეს არასოდეს შეპუებია და მისი დამსახურებული ავტორიტეტი არასოდეს შებღალულა. სწორედ ამიტომაც არის, რომ ბატონ მამიას უკან მოხედვისა არასოდეს შერცხვენია და არც შერცხვება.

1914 წელს დაბადებულ ქობულეთელ ყმაწვილს მძიმე ბავშვობა სვდა წილად, როგორც განკულაკებული მემამულის შვილს. გაუბლო, არ გამტყდარა. სწავლას მოწყურებულმა საწადელს მიაღწია. სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტში წარჩინებული სტუდენტი პროფკომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. სტუდენტობისას საქართველოს სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეც იყო.

ინსტიტუტის ახალკურსდამთავრებული მამია გოგოლიშვილი უმძიმეს პერიოდში, 1937 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველად, ხოლო შემდეგ მიწათმოქმედების სახალხო კომისრად დაინიშნა. იყო საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეხილეობა-მებოსტნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი.

1946 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის პირველ მოადგილედ გადაიყვანეს. სწორედ ამ პერიოდში დაავალეს მას სტალინის გაგრის აგარაკზე გორული აგმის ბაღის გაშენება, რაც კარგად შეასრულა და სტალინის მადლობაც დაიმსახურა.

სტალინმა, იცოდა რა მამია გოგოლიშვილის საანკეტო მონაცემები და პიროვნული შესაძლებლობები, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს შემოუთვალა, რომ გოგოლიშვილი აჭარაში გაეგზავნა სამუშაოდ.

მართლაც, რამდენიმე თვის შემდეგ მ. გოგოლიშვილს აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა შესთავაზეს, მაგრამ მან უარი განაცხადა. ერთი წლის შემდეგ, 1947 წელს, სტალინს უკითხავს, როგორ მუშაობს ის ყმაწვილი, აჭარაში რომ გავუშვეთო? – კარგადო, – უპასუხეს. – მაშინ, იქნებ, ხვალ ჩვენთან ერთად წამოვიღეს შავწყალაზე სათევზაოდო. უამინდობის გამო ვეღარ წავიდნენ სათევზაოდ, ხოლო პოლიტბიუროს აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მეორე დღესვე დაამტკიცა 33 წლის ახალგაზრდა, მამია გოგოლიშვილი. სწორედ ამ პერიოდთანაა დაკავშირებული აჭარისთვის პრიორიტეტული დარგის – სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარება, მრეწველობის, კულტურისა და ხელოვნების აღმავლობა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა. აჭარა საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე რეგიონი გახდა.

ფასდაუდებელია ბაგონ მამია გოგოლიშვილის ღვაწლი აჭარაში მიეწყებული ქართული ტრადიციების, ტოპონიმების, გვარებისა და სახელების აღდგენის, ქრისტიანული ადათ-წესებისკენ მოსახლეობის დიდი უმრავლესობის შემობრუნების საქმეში. მისი ძალისხმევით მრავალ სოფელს, მდინარესა და მთას დაუბრუნდა ძირძველი ქართული სახელები. მამია გოგოლიშვილის ასეთმა აქტიურმა ქმედებამ განაპირობა დაძაბული ურთიერთობა აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან. მას მ. გოგოლიშვილისთვის უთქვამს: „შენ მხოლოდ სოფლის მეურნეობას მიხედავ, სხვა ყველაფერს ჩვენ მოვუვლითო. მაგრამ მამია გოგოლიშვილმა ამ ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია და კვლავ ისე განაგრძო მუშაობა, როგორც ამას საქმე და საქართველოს ინტერესები მოითხოვდა. ყოველივე ამან საშინლად გაღიზიანებული საოლქო კომიტეტის მდივანი მგრულად განაწყო, რაც უამრავი საპასუხისმგებლო საქმით დატვირთულ მ. გოგოლიშვილს ვერც კი შეუმჩნევია.

მათი პირველი ღია დაპირისპირება მოხდა ერთ-ერთი საოლქო პარტიული კონფერენციის დროს, სადაც მამია გოგოლიშვილი ერთსაათიანი მოხსენებით გამოვიდა და სოფლის მეურნეობის პრობლემებთან ერთად ვრცლად გააშუქა იდეოლოგიური საკითხებიც, კერძოდ, დიდი ყურადღება გაამახვილა თურქული გადმონაშთების აღმოფხვრაზე, სოფლებისა და მდინარეების თურქული სახელწოდების, ადამიანების გვარებისა და სახელების შეცვლის თაობაზე და სხვა. დარბაზი ოვაციით შეხვდა მომხსენებლის აზრს, რომელიც იმდენად მისაღები აღმოჩნდა მოსახლეობისთვის, რომ უდავოდ ფართომასშტაბიანი ღონისძიება მოკლე ვადაში, 2-3 თვეში დასრულდა.

ამ პროცესის განხორციელებისას ბაგონ მამიას ბევრი სირთულის გადაჭრა მოუხდა. სახელის ან გვარის შეცვლისას თითოეულ მოქალაქეს საკავშირო მთავრობის დადგენილებით დაწესებული სახელმწიფო ბაჟი – 15 მანეთი უნდა გადაეხადა. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მრავალსულიანი ოჯახისთვის ეს თანხა 150 მანეთსაც კი აჭარბებდა. მ. გოგოლიშვილმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა საკავშირო ფინანსთა მინისტრს ზვერევს, რომ აჭარის მოსახლეობისთვის, ჯამონაკლისის სახით, შეღავათი გაეწიათ. ამის საფუძვლად კი შეიძლებოდა იმ გარემოების ჩათვლა, რომ საკითხი, ძირითადად, ძველი გვარ-სახელების დაბრუნებას ეხებოდა. ზვერევი დაეთანხმა ამ მოსაზრებას და ნება დართო აღნიშნული დადგენილების მოქმედების დროებით შეჩერებაზე, ოღონდ ღონისძიების დამთავრების შემდეგ დადგენილება ისევ უნდა ამოქმედებულიყო.

მამია გოგოლიშვილი ასეც მოიქცა და ამით უდიდესი პატრიოტული საქმე გააკეთა. აქ არ შეიძლება, არ აღინიშნოს შემდეგი ფაქტი, რაც ბაგონმა მამიამ თავად გვიამბო: „საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატე, ცინცაძემ რომ გაიგო აღნიშნული ღონისძიების შესახებ, თვითონ ჩამობრძანდა ბათუმში და ხუთი მილიონი მანეთი შემოგვთავაზა ბანკში ჩასარიცხად. ყურადღებისა და ხელშეწყობისთვის მადლობა გადავუხადეთ, თანხა კი ეკლესიისთვის დავუბრუნეთ.“

განხორციელებულ ღონისძიებას მ. გოგოლიშვილისთვის უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. მავანთ სტალინის სახელზე ანონიმური წერილი გაუგზავნიათ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გოგოლიშვილი ძალდატანებით უცვლიდა სახელებსა და გვარებს ადმიანებს, რაზედაც, თითქოს, მოსახლეობა დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა. წერილი საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს გადმოუგზავნეს განსახილველად. შემოწმების შედეგად ფაქტები არ დადასტურდა, ამგომ ცილისწამებად მიიჩნიეს და საკითხი არ განხილეს.

სწორედ ბაგონი მამიას ინიციატივითა და მონაწილეობით განახლდა ბათუმის ზღვისპირა პარკი, გადაბერებული ხეები ახალი ნერგებით შეიცვალა და ბათუმის ცნობილი ბულვარი დასავლეთის მიმართულებით 300 მეტრით გაგრძელდა.

შემდეგ ამავე ბულვარში საზაფხულო თეატრის აშენება გადაწყდა. მშენებლობა ძალიან მოკლე ხანში, 6 თვეში დამთავრდა. თეატრის შენობა მთლიანად ძვირფასმერქნიანი ხით იყო ნაგები და იმდენად ლამაზი და კარგი გამოვიდა, რომ ბათუმში მყოფმა საკავშირო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კაგანოვიჩმა აღტაცებით თქვა: “მოვახსენებ სტალინს, რომ ბათუმში ვნახე საზაფხულო თეატრი, რომელსაც ბაღალი არ ჰყავს.“

რაგომ გაათავისუფლეს ახალგაზრდა, ნიჭიერი, ენერგიული და საქმისთვის თავდადებული საუკეთესო პიროვნება მ. გოგოლიშვილი აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობიდან?

1952 წელს დაიწყო სრულიად ცილისმწამებლური „მეგრელთა საქმე“, რასაც უამრავი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა. ამ პერიოდში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის უფროსად მუშაობდა მ. გოგოლიშვილის ცოლისძმა. ისიც, როგორც მეგრელი, დააპატიმრეს. მამია გოგოლიშვილიც, როგორც სამშობლოს „მოღალატის“ სიძე, გაათავისუფლეს.

მართალია, მას რამდენჯერმე შესთავაზეს საქართველოს ვაჭრობის მინისტრის თანამდებობა, მაგრამ ამაზე ბაგონმა მამიამ კატეგორიული უარი განაცხადა და აკადემიკოს ნიკო კეცხოველის დახმარებით თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორად დაინიშნა, სადაც 40 წელზე მეტ ხანს იმუშავა. ღღეს იგი კვლავ მხნედაა და ბაღში მთავარი მეცნიერ-კონსულტანტის თანამდებობაზე მუშაობს. არის ორი სპეციალიზებული საბჭოს წევრი. მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. 1962 წელს მიენიჭა პროფესორის, ხოლო 1979 წელს – საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. მის კალამს ეკუთვნის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 6 მონოგრაფიაა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღში აკადემიკოს მ. გოგოლიშვილის მოღვაწეობის წლები შეიძლება ჩაითვალოს ამ უძველესი სამეცნიერო დაწესებულების აღორძინების პერიოდად. ამიერკავკასიის რეგიონში ბაღი წამყვან ბოტანიკურ სამეცნიერო დაწესებულებად არის აღიარებული.

მისი უდიდესი დამსახურებაა თბილისის ბოტანიკური ბაღის ისტორიის შესწავლა. ბაგონი მამიას ძალისხმევით, სარწმუნო საარქივო და ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, დადგინდა ბოტანიკური ბაღის დაარსების თარიღი – 1636 წელი. 1986 წელს ბოტანიკური ბაღის კოლექტივის, ქართველი ბოტანიკოსების, მთელი ქართველი საზოგადოებისა და მსოფლიოს ბოტანიკური ბაღების წარმომადგენელთა მონაწილეობით ჩაგარდა თბილისის ბოტანიკური ბაღის დაარსების 350 წლისთავისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. იგი მრავალი საერთაშორისო სიმპოზიუმისა და კონგრესის აქტიური მონაწილეა, 1989 წელს კი მსოფლიოს ბოტანიკური ბაღების ასოციაციის წევრად აირჩიეს.

მეტად რთული და საინტერესო ცხოვრების გზაზე ბაგონ მამიას გვერდში ედგა უერთგულესი და უსაინოესი მეუღლე, ცნობილი ექიმი-თერაპევტი ქეთევან ჩოჩია, რომელიც, სამწუხაროდ, აღრე, 1980 წელს გარდაიცვალა. ბაგონ მამიას ჰყავს ქალიშვილი ნინო - ფილოლოგი, ინგლისური ენის სპეციალისტი და ორი შვილიშვილი – მანანა და ირაკლი. მეცნიერთა ამ ოჯახს მათი სახით ორი ხელოვანი შეემატა - მანანა მუსიკათმცოდნეა, ხოლო ირაკლი მოქანდაკე, ცნობილი კომპოზიციის, „პატარა უფლისწულის“ ავტორი.

„მე რომ 90-ს მივაღწიე, ეს, უპირველეს ყოვლისა, ოჯახური სითბოსა და თბილისის ბოტანიკური ბაღის თანამშრომელთა მხრიდან დიდი სიყვარულის დამსახურებაა“, – ამბობს ბაგონი მამია.

მ. გოგოლიშვილი ახალგაზრდობაში ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების უბადლო შემსრულებელი და მრავალი კონკურსის ლაურეატი იყო, ჰქონდა მნიშვნელოვანი სპორტული მიღწევები მძლეოსნობაში. იგი ცნობილი თამადაცაა – დარბაისელი, წარმოსადეგი, მჭევრმეტყველი, ხალასი იუმორით აღსავსე. ნიშანდობლივია, რომ სომხეთის იმდროინდელმა კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანგონ ქოჩანიანმა, ბაგონი მამიას 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სპეციალურად დაამზადებინა „დამსახურებული თამადის“ სამკერდე ნიშანი.

ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის ბაგონი მამია მრავალჯერ დაჯილდოდა ორდენებით, მედლებითა თუ სიგელებით. არის ღირსების ორდენის კავალერიც.

ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ ამაგდარ მეცნიერს!

ოთარ ნათიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი;

ჯიმშერ კერესელიძე,
თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

კერი და ბუში ერაყში ომის შესახებ კამათობენ



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და მისმა ოპონენტმა დემოკრატიული პარტიისაგან სენატორმა ჯონ კერიმ, ცხარე კამათი გააჩაღეს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გადაიჭრას ერაყში ომის და ამერიკის ეროვნული უშიშროების პრობლემები.

კერი დარწმუნებულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროება დამოკიდებულია იმ საომარ ალიანსებზე, რომლებიც ბუშმა მთელ მსოფლიოში მოშალა.

ბუშმა კი განაცხადა, რომ დარწმუნებულია, გამარჯვებას მოიპოვებს მომავალ პრეზიდენტის არჩევნებში, რადგან ამერიკელ ხალხს უჩვენა, თუ როგორ უნდა იმართებოდეს ქვეყანა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის ორივე კანდიდატი მონაწილეობდა პირველ საგელეევიზიო დისპუტში. სულ კი, 2 ნოემბრისათვის დანიშნულ არჩევნებამდე, სამი ასეთი ტელედებატი უნდა შედგეს.

ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამის უნივერსიტეტში მიმდინარე დებატებს თვალყურს აღევნებდა მილიონობით ტელემაყურებელი.

ჯონ კერის მიაჩნია, რომ ერაყში ომის დაწყებით ამერიკის ხელისუფლებამ გადაუხვია ტერორიზმის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის გზიდან, რადგან დემოკრატიული პარტიის კანდიდატის აზრით, ამ კამპანიას არანაირი დამოკიდებულება არ ჰქონდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიასთან. კერიმ დასძინა, რომ ომის დაწყება გახდა „უდიდესი შეცდომა, რომელიც დაუშვეს ვიეტნამის შეფასების დროს“ და აღნიშნა, რომ მრავალი მაღალი თანამდებობის სამხედრო ეთანხმება მის ასეთ მოსაზრებას.

კერის თქმით, ბუშს არ ამოუწურავს სადამ ჰუსეინის პრობლემის გადაჭრის ყველა შესაძლებლობა მანამ, სანამ გააჩაღებდა ომს. ამერიკის შეერთებულ შტატებს მთელი ყურადღება უნდა გაემახვილებინა ავღანეთზე, სადაც მიმდინარეობდა ნამდვილი ომი ტერორის წინააღმდეგ, – თქვა კერიმ.

თავის მხრივ, ბუშმა აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს უნდა გადაეჭრა უსამა ბენ ლადენთან და სადამ ჰუსეინთან დაკავშირებული პრობლემები და ერაყში ომის დაწყება არ ყოფილა მცდარი პრიორიტეტი.

პრეზიდენტმა სენატორი დაადანაშაულა იმაში, რომ იგი სათანადოდ არ აფასებს ერაყში ამერიკელთა მოკავშირეების – დიდი ბრიტანეთის, პოლონეთისა და სხვათა წვლილს და დასძინა, რომ შეერთებული შტატები ვერ შეიპირებს ეფექტიან საერთაშორისო მხარდაჭერას, თუ ეყოლება ისეთი პრეზიდენტი, რომელსაც მიაჩია, რომ ერაყში ომის დაწყება შეცდომა იყო.

ბუშის აზრით, კერი ცდება, როცა ფიქრობს, რომ ტერორის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს მხოლოდ ერთ კონკრეტულ ადგილზე. როგორც ავღანეთში და ერაყში განხორციელებულმა ოპერაციებმა ცხადყვეს, ჩვენი პოლიგიკა ეფუძნება ალიანსებს, თქვა ბუშმა.

ბუშისა და კერის ტელედებატების მეორე რაუნდი გაიმართება 8 ოქტომბერს მისურის შტატში. ტელედებატების ბოლო რაუნდი კი დანიშნულია 13 ოქტომბრისათვის. ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი და ამ პოსტის კანდიდატი დემოკრატებისაგან ჯონ ედვარდსი კი გამართავენ ერთადერთ დისპუტს ოჰაიოში, რომელიც 5 ოქტომბრისათვის არის დანიშნული.

ისრაელმა ღაზის სექტორში ოპერაციების გეგმა მოიწონა

ისრაელის უშიშროების კაბინეტმა ერთსულოვნად მოიწონა ღაზის სექტორში ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციათა გეგმა, რომლის ავტორიც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონია.

როგორც ოფიციალური წარმომადგენლები აღნიშნავენ, ისრაელის პრემიერმა გაითვალისწინა ქვეყნის თავდაცვის მინისტრის შაულ მოფაზის მოწოდება, რომელიც მოითხოვდა ოპერაციის დაწყებას ღაზის სექტორში, რათა მიეყენებინათ დარტყმები იმ პალესტინელი მოთარეშეებისათვის, ცეცხლს რომ უშენენ ისრაელის საზღვრისპირა ქალაქებს.

ხუთშაბათს ისრაელის არმია შეიჭრა ჯაბალიის ლტოლვილთა ბანაკში, რაც გახდა ღაზის სექტორში გააფთრებული შეტაკებების დაწყების საბაბი.

სულ ცოტა, 27 კაცი დაიღუპა და 100-ზე მეტი დაიჭრა, მათ შორის, პალესტინელი მშვიდობიანი მცხოვრებლები და მოთარეშეები, აგრეთვე ებრაელი ჯარისკაცები.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა გასცა ღაზის სექტორში დამატებითი ძალების გაგზავნის ბრძანება და მიიღო დადაწყვეტილება დიდი შეტევითი ოპერაციის დაწყების შესახებ.

პალესტინელებმა დაგმეს ისრაელის ხელისუფლების ასეთი გეგმა. „ეს მოვლენათა ძალზე საშიში განვითარებაა და კარგს არაფერს მოიტანს“, – თქვა პალესტინის ლიდერის იასირ არაფატის თანაშემწემ ნაბილ აბუ რუდეინამ.

კორესპონდენტები იტყობინებიან, რომ პალესტინის ინტიფადის ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პირველად ისრაელის ჯარებმა მიაღწიეს ჯაბალიის ბანაკის მჭიდროდ დასახლებულ ცენტრამდე. ისრაელის ჯარები მიიწევენ ბანაკის ტერიტორიის სიღრმეში.

მოკლედ

ბეირუთის ჩრდილოეთ ნაწილში, სასტუმრო „არ-რეფერის“ მახლობლად აფეთქდა ლიბანის ეკონომიკისა და ვაჭრობის ყოფილი მინისტრის მარვან ჰამადეს ავტომობილი. ბოლო მონაცემებით, აფეთქების შედეგად დაიღუპა ორი კაცი, თვით ჰამადე მსუბუქად დაიჭრა.

* * *

ერაყში საომარი ოპერაციის დაწყების დღიდან დაიღუპა 1052 ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი. 798 მათგანი მოკლეს მოწინააღმდეგესთან საბრძოლო შეტაკებების დროს, დანარჩენები კი დაიღუპნენ უბედური შემთხვევების შედეგად. გარდა ამისა, ამ პერიოდში დაიჭრა 5,5 ათასზე მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.

* * *

„ყველა დროისა და ხალხების“ ყველაზე სექსუალური მსახიობების სიას სათავეში ჩაუდგა კირა ნაიგლი. გამოკითხვა განახორციელა ჟურნალმა

Empire-მ, რომელშიც 15 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. 19 წლის ნაიგლიმ ამ ნომინაციაში გაუსწრო ანჯელინა ჯოლის, ჰოლი ბერის, შარლიზ ტერონს, ჯენიფერ ლოპესს, ჯულია რობერტსსა და თვით მერილინ მონროსაც კი.

* * *

გადაეცათ 2004 წლის „მნობელის პრემიები“ ყველაზე საეჭვო სამეცნიერო მიღწევებისათვის. მიმდინარე წელს ეს „საპატიო ჯილდო“ მოიპოვეს მელოგთათვის ვარცხნილობების, ნუდისტებისათვის სპეციალური ბიბლიოთეკის გამომგონებლებმა, აგრეთვე, ფირმა „კოკა-კოლამ“, რომელიც ცდილობს წყალი აქციოს „დალევისათვის გამოუსადეგარ სუბსტანციად“.

ტონი ბლერი საავადმყოფოში მივიდა

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი მივიდა საავადმყოფოში, სადაც გაივლის გულის რიგმის კორექტირების პროცედურას.

ამ ბოლო ორი თვის განმავლობაში ბლერი კვლავ უჩივის არითმიას და ექიმებმა გადაწყვიტეს, საფუძვლიანად შეამოწმონ პრემიერის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

პროცედურა, საკარაუდოდ, ორსაათნახევარს გასტანს და იგი არ ითვალისწინებს სათერაციო ჩარევას. „ბი-ბი-სისათვის“ მიცემულ ინტერვიუში 51 წლის ბლერმა განაცხადა, რომ იგი აპირებს პრემიერის პოსტზე დაპყოს მთელი მესამე ვადით, თუ მომავალ საყოველთაო არჩევნებში კვლავ მოიპოვებენ გამარჯვებას ლეიბორისტები. თუმცა, იქვე დასძინა, რომ მეოთხე ვადით კენჭისყრას აღარ აპირებს.

ბლერის კარდიოლოგმა თქვა, რომ ასეთი პროცედურის შემდეგ პაციენტები ერთ ღამეს რჩებიან საავადმყოფოში და სამუშაოს 2-3 დღის შემდეგ უბრუნდებიან.

კუბაში ელექტროენერგიას ზოგავენ

კუბის მთავრობამ გამოაცხადა, რომ დაგეგმილი აქვს მთელი ოქტომბრის განმავლობაში დახუროს ათასზე მეტი ქარხანა და შეაღგინოს მთელი ქვეყნის მასშტაბით ელექტროენერგიის გამორთვათა გრაფიკი. ასეთი გადაწყვეტილების მიღება განპირობებულია კუბაში ელექტროენერგიის მწვავე უკმარისობის გამო.

ეს პრობლემა წარმოიქმნა კუბის მთავარი ელექტროსადგურის მწყობრიდან გამოსვლის შედეგად. მთავრობა ამტკიცებს, რომ ამჟამად შექმნილი სიტუაცია არ არის გამოწვეული ნავთობის ფასების მკვეთრი მომატებით, რადგან კუბაში ელექტროენერგიის უმეტესი ნაწილის გენერირება ხორციელდება ადგილობრივი წარმოების სათბობის მეშვეობით.

საწარმოებში ოფიციალური სამუშაო დღე ნახევარი საათით შემცირდა, შედგენილია ელექტროენერგიის საგეგმო გამორთვათა გრაფიკები.

სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც სხვა სადგურები დაიხურა პროფილაქტიკური სამუშაოებისთვის, კუნძულს კი ერთიმეორის მიყოლებით დაატყდა თავს ორი გრიგალი – „ჩარლი“ და „ივანი“, რომლებმაც სერიოზულად დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები.

„პუმანეს საქმის“ გამო მილიციის რიგებიდან დაითხოვეს

მილიციის რამდენიმე ოფიცერმა დაკარგა თანამდებობა ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი დაკავებული პირის დაღუპვის გამო აღძრულ საქმესთან დაკავშირებით.

როგორც რუსული გაზეთები წერდნენ, მოსკოვის მილიციის უფროსმა ვლადიმერ პრონინმა შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კოლეგიის საგანგებო სხდომაზე გამოელისას, დაკავებული პირის – ალექსანდრე პუმანეს სიკვდილის გამო პასუხისმგებლობა, ფაქტობრივად, დაკისრა ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსს პოლკოვნიკ ვიაჩესლავ ბარანოვს.

„კომერსანტის“ მონაცემებით, ბარანოვი და კიდევ ორი ოფიცერი, რომლებიც შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში კურირებდნენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, დაითხოვეს თანამდებობიდან. პოსტი დაატოვებინეს აგრეთვე, მილიციის იმ განყოფილების უფროსსაც, რომელშიც მიმდინარეობდა პუმანეს დაკითხვა. გარდა ამისა, კიდევ რამდენიმე თანამშრომელს გამოუცხადეს საყვედური.

ალექსანდრე პუმანე დაიკავეს მიმდინარე წლის 20 სექტემბერს ავტომანქანაში, რომელშიც იპოვეს ასაფეთქებელი მოწყობილობა. როგორც დაკავებულმა აღნიშნა, შემთხვევითი ნაცნობი დაპირდა მას დიდი თანხის გადახდას, თუ იგი მანქანას მიიყვანდა კუტუზოვის პროსპექტზე, სადაც რეგულარულად მოძრაობს პრეზიდენტის კორტეჟი.

მილიციაში დაკითხვის შემდეგ, რომელშიც, „კომერსანტის“ მონაცემებით, სხვადასხვა სამართალდამცავი სტრუქტურის 150-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა, დაკავებული საავადმყოფოში გარდაიცვალა. ექიმების თქმით, სიკვდილის მიზეზი იყო სასტიკი ცემა.

პუმანეს გარდაცვალების ფაქტის გამო პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

გარდაცვლილის ყოფილმა მეუღლემ და მისმა ორმა ყოფილმა თანაკურსელმა ვერ ამოიცნეს გვამი, რადგან იგი საშინლად იყო დამახინჯებული.

მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, პუმანეს საქმე გახდა მხოლოდ საბაბი ვიაჩესლავ ბარანოვის სამუშაოდან დათხოვნისთვის. პრესის მონაცემებით, სწორედ ბარანოვმა მოახსენა პრონინს ჟურნალ „ფორბსის“ რუსული ვერსიის მთავარი რედაქტორის პოლ ხლებნიკოვის მკვლელობის საქმის „გახსნის“ შესახებ და პრონინმაც სასწრაფოდ გაუზიარა პრესას ინფორმაცია ხლებნიკოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი ჩეჩენის დაკავების თაობაზე. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ დაკავებულ ჩეჩნებს არ მოუკლავთ ხლებნიკოვი.

მორიგი რეიდი ქალაქ სამარაში

ამერიკელთა და ერაყელთა ჯარები იტყობინებიან, რომ მათ დაუწესეს კონტროლი მთელ რიგ სამთავრობო შენობებსა და პოლიციის ობიექტებს ჩრდილოეთ ერაყის ქალაქ სამარაში განხორციელებული მასშტაბური შეტევის დროს.

ეს რეიდი განხორციელდა „ანტიერაყული ძალების მხრიდან არაერთი და ყოველად გაუმართლებელი თავდასხმების“ პასუხად, – ხაზგასმულია ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შეტევითი ოპერაციის დროს დაიღუპა, სულ ცოტა, 80 და დაიჭრა ასამდე კაცი. ხუთშაბათს, გვიან საღამოს დაწყებულ ოპერაციაში აამოქმედეს თვითმფრინავები და ტანკები.

მანამდე კი აღგილობრივი მცხოვრებლები აღნიშნავდნენ, რომ სამარაში მოხდა მთელი რიგი მძლავრი აფეთქებები.

ამერიკელთა ჯარებმა სამარა დატოვეს შეთანხმების მიხედვით, რომელიც ითვალისწინებდა, რომ ქალაქში ამერიკელთა პატრული არ უნდა ყოფილიყო, თუმცა, მიმდინარე წლის სექტემბერში ამერიკელთა ჯარები კვლავ დაბრუნდნენ სამარაში იმის გამო, რომ ამბოხებულთა თავდასხმები არ წყდებოდა.

ამერიკელები აცხადებენ, რომ სურთ, კვლავ დაუწესონ კონტროლი სამარასა და იმ სხვა ქალაქებს, რომლებსაც ამბოხებულები აკონტროლებენ, რათა იქ შექმნან შესაფერისი პირობები არჩევნების გამართვისთვის.

ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენი ერაყელი და ამერიკელი ჯარისკაცი მონაწილეობდა რეიდში, არ გავრცელებულა.

თვალსაზრისი

უნდა გაიყიდოს თუ არა ყველაფერი?..

კაპიტალიზმი და საბაზრო ეკონომიკა რომ საზოგადოების განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესის ობიექტური და ლოგიკური შედეგია, საკამათო არაა. არც ისაა საკამათო, რომ ყველაფერი ამის საფუძველთა საფუძველი კერძო საკუთრება და კერძო ინიციატივაა. ვისაც წინსვლა და განვითარება უნდა, ამ გზას ვერ ასცდება. კაცობრიობის ახლო, თუ შორეული ისტორიაც მხოლოდ ამას გვეუბნება. როგორც ჩანს, კაცობრიობის მომავალსაც სხვა ალტერნატივა არა აქვს.

მაგრამ საზოგადოებრივი პრაქტიკა იმასაც გვეუბნება, რომ ყველა ხალხს გარკვეული კორექტივები შეაქვს სამეურნეო განვითარების მთელ ამ ბუნებრივ-ისტორიულ პროცესში ქვეყნის გეოგრაფიული გარემო-პირობების, ათასწლეულებში განვლილი ისტორიისა და ეროვნული ხასიათის შესატყვისად. გადავხედოთ ამ მხრივ მსოფლიოს იაპონიიდან ამერიკამდე და ნორვეგიიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამდე, ყველას ეს თავისებურებანი გასდევს წითელ ხაზად, ყველას თავისი იერ-სახე აქვს, თავისი სავალი გზა...

ქართველ ხალხსაც საუკუნეთა მანძილზე სამეურნეო განვითარების და მთლიანად, ეროვნული ცხოვრების გარკვეული თავისებურებანი ჩამოუყალიბდა, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია დღევანდელი საქართველოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად. ეს მით უმეტეს პოსტკომუნისტური საქართველოს ისეთ პირობებში, როცა ხელახლა გვიწევს ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების გააზრება-გაცნობიერება და აღდგენა-აღორძინება. სახელმწიფოებრივი მშენებლობის გარდამავალ პერიოდში ეს ისეთი სტრატეგიული ამოცანაა, რომლის ცოდნა და გათავისება არსებულ პრობლემათა გადაჭრის აუცილებელი წინაპირობაა. ნაციონალიზმი, პირველ რიგში, ეროვნული მემკვიდრეობის ცოდნა და დაუფლებაა. საქმის არსიც იმაშია, რომ ამ ცოდნას დაუფლებული ჯერჯერობით არა ვართ. ბევრი მხრით ამით აიხსნება ის კრიზისიც, რომლის დაძლევასაც ამაოდ ვლამობთ...

„არცოდნა არცოდვააო“, მაგრამ ეს მაშინ, როცა საქმე ერთი-ორი კაცის ბედს ეხება. როცა საქმე ერის ბედს ეხება, აქ უკვე ნურას უკაცრავად – **არცოდნა უპატიებელი ცოდვაა,** გზას რომ უკეტავს ერისა და ქვეყნის სამომავლო განვითარებას. ეს ცოდნა საბედნიეროდ გვაქვს ილია ჭავჭავაძის – ჩვენი ყველაზე დიდი ნაციონალისტის, მემკვიდრეობის სახით, რომელიც სამწუხაროდ, დღესდღეობით უქმ და გამოუყენებელ განძად რჩება. ჩვენი ყველაზე დიდი ცოდვაც სწორედ ეს არის...

– **„რადა დროს ილიაა“,** ხშირად გაიგონებს კაცი... არა, ბატონო, დრო და ხანი შეიძლება, ყველაფერს ეხება და ყველაფერს სპობს, მაგრამ არა **ეროვნულ იდეოლოგიას და მის მესვეურებს.** ძველი თუ ახალი ერები ამით არსებობენ, მათი მემკვიდრეობით იკვალავენ თავის გზას. ებრაელებს თუ ამერიკელებს აზრადაც არ მოუვათ თქვან – რაღა დროს ჰერცლი ან ბენ-გურიონი, ფრანკლინი თუ ჯეფერსონია... ილიასი არ იყოს, „ჩვენ რა წუთისოფლის ნაბიჭვრები ვართ, რომ ჩვენ ჩვენი საკუთარი ისტორია და მემკვიდრეობა არა გვქონდეს“...

„უფულო ერი ფულიანის სამოვარია, მისი საცხოვრისია“, – წერდა კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე და ქართველ ერს იმის გზასაც აძლევს, რომ იგი სხვისი „საცხოვრისი“ არ გახდეს. ეს გზა „საერთო ნიადაგის“ თეორიაა. იგი მოიცავს 3 ათეულამდე სხვადასხვა კონცეპტუალურ პრინციპს, რომელთაგან აქ შევეხებით ჩვენს საზოგადოებაში დღეს თავისებურ „განხეთქილების ვაშლად“ ქცეულ საკითხს – საჭირო და აუცილებელია თუ არა ყველაფრის გაყიდვა და კერძო საკუთრების მონოპოლიზაცია?..

სტატიების ციკლში „კერძო და სათემო საკუთრება“ ამ თვალსაზრისით ილია გვაძლევს, რომ იტყვიან, მხსნელ იდეას დღევანდელი გარდამავალი პერიოდის საქართველოსთვის: **ჩვენმა ეროვნულმა ცხოვრებამ მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის, მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების ისეთი მოქნილი ეროვნული სისტემა შექმნა, რომლითაც „ბედნიერათ მოარიგა“ კერძო-საკომლო, სახელმწიფო და სათემო-სასოფლო ინტერესები, კერძო და საზოგადოებრივი მისწრაფებანი „ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“.**

ილია სიამაყით წერდა – სწორედ ამით აიხსნება „ჩვენი ერის ისტორიის ერთი განსაცვიფრებელი მოვლენა“: „რუსეთში ერთგვარ დანაშაულად მიჩნეული „ბროდიაჟნიჩესტვო“ ჩვენს ისტორიას არ ახსოვს... ქართველი მუდამ **„ბინადარი კაცი“** იყო სწორედ ამ **„ბედნიერი მორიგებით“.** უმიწაწყლო ქართველი გლეხი არ არსებობდა, 15-20 დღიური მიწა ყოველ კომლს თავისი ჰქონდა, დანარჩენი მიწები კი, სამეურნეო კორპორაციებად მუშავდებოდა.

ილია განვამს ტეხს, რომ **„დღეს ეროვნული ცხოვრების ეს წესი და მისი შემდგენელი ელემენტები სულსა ღაფავს“,** რომ ამ წესის სამეურნეო ორგანიზაციული ფუნქცია მოიშალა, კომლის ფენომენზე დაფუძნებული დედმამიშვილობა და სისხლით ნათესაობა მარტო სადღეგრძელოდღა შემოგვრჩა, რომ **„კომლის-თავობა“,** თუ **„გუთნის-დედობა“, „მამასახლისობა“** თუ **„მეკომურობა“, „ხოდაბუნობა“** და **„ამხანაგობა“** ისპობა, კერძოობამ და პირადულობამ დაჯაბნა ხალხობა და ზოგად-ეროვნულობა... **„ტყე და მინდორი მაინც, საქართველოს ისტორიას და ახსოვს რომ ვისიმე საკუთრება ყოფილიყო, თუ არა სასოფლო-სათემო...“**

სწორედ კომლით და ხოდაბუნური საამხანაგო კორპორაციებით საზრდოობდა ე. წ. **„დიდი საშუალო კლასი“,** რომელიც ივანე ჯავახიშვილის დახასიათებით, „ისტორიულად საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ნიშანდობლივი შტრიხი იყო“ და რომელიც ნებისმიერი საზოგადოების და ნებისმიერი სახელმწიფოს სტაბილური არსებობა-განვითარების გარანტიაა. ამას უპირველეს ყოვლისა, საკუთრებითი პლურალიზმის მოქნილი ეროვნული სისტემა ქმნიდა. ქვეყნის მთისა და ბარის ყველა მხარე ორგანულად იყო ჩართული ამ სისტემაში. ისტორიულად ბევრგან, მაგალითად, ქიზიყში, საკუთრებით ურთიერთობებში მონოპოლია კერძოს ნაცვლად, მიწის სასოფლო-სათემო მფლობელობას ჰქონდა. სწორედ ამან აქცია შირაქი და ალაზნის ველი საქართველოს **„პურის ბეღლად“.**

ამიტომ ყველაფრის გაყიდვაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ საქმის კეთებასა და ეფექტური სამეურნეო სისტემის შექმნაზე, იმაზე, რასაც ილია ეროვნული ცხოვრების „უწერელ კანონებს“ უწოდებს. მათი „მისადაგება“ დღევანდელი საქართველოსადმი გამოიყვანს კრიზისიდან ქვეყანას. უნდა ვიფიქროთ შირაქის კვლავ „პურის ბეღლად“ გადაქცევაზე, „ღვთისგან გულუხვად ბოძებული ჩვენი სამოთხისებური მიწა-წყლის“ ხალხისა და ქვეყნის სამსახურში ჩაყენებაზე. ყველაფრის გაყიდვის პოლიტიკა კი ამას ვერ გააკეთებს. იგი შლის ერს და არა – აერთიანებს...

ერთი სიტყვით, ილიას ფიქრი და აზრთა მდინარება იქითკენ მიდის, რომ პანაცეა არც კერძო საკუთრებაა და არც – სახელმწიფო ან სასოფლო-სათემო. ეროვნული ეკონომიკა მათი „ბედნიერი მორიგებით“ იქმნება. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის მთავარია, გავიგოთ და გავითავისოთ თუ – **„რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“,** ანუ **„საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით შობილი და ძნელბედობით წარხდენილი“** ეროვნული ცხოვრების თავისებურებანი. ამ გაგება-გათავისების გასაღებს გვაძლევს „საერთო ნიადაგის“ თეორიის პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები. ამოცანაც ის არის, რომ მოვარგოთ იგი ქართული სახელმწიფო მშენებლობას, ილიას იმ დიდ ნატვრას და იდეალს, რასაც **„ძველი საქართველოდგან ახალი საქართველოს აღმოშობა – საქართველოს თავის თავთან დაბრუნება“** ჰქვია...

„საერთო ნიადაგის“ თეორია ეროვნული ერთობის პოლიტიკურ პროგრამად და იდეოლოგიად უნდა იქცეს. ამაზე დიდი საქმე ქართულ მეცნიერებას და ერის ინტელექტუალურ ძალებს არა აქვთ...

ელგუჯა ბატიაშვილი.

განცხადება ღია საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ქ. თბილისი, 0160, გამსახურდიას გამზ. №30) აცხადებს ღია საერთაშორისო ერთეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს „სოციალური სფეროს ინსტიტუციონალური და ფუნქციონალური რეფორმის ხელშეწყობის 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის“ – სტრატეგიული მნიშვნელობის დაწესებულებათა რეაბილიტაციის, სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების და სამედიცინო რეზერვების მართვის კომპონენტისა და სამედიცინო დაწესებულებების ოპტიმიზაციის პროგრამის ფარგლებში, ახალი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების (დიაგნოსტიკური, საოპერაციო, ინტენსიური თერაპიის, და სხვ.) სამედიცინო დანიშნულების საგნების (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებისა და ხელოვნური ორგანოების),სამედიცინო და ტექნიკური ინვენტარის შესყიდვაზე (მათი ადგილზე მიწოდება, სამონტაჟო სამუშაოების შესრულება, სამედიცინო პერსონალის სწავლება, თანმდევი სამედიცინო მომსახურება, საგარანტიო მომსახურება).

შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:

1. უნივერსალური ანგიოგრაფიული სისტემა – 1 ცალი
2. პაციენტის კონტროლის მონიტორი – 2 ცალი
3. კომპიუტერული ტომოგრაფი – 1 ცალი
4. დეფიბრილატორი – 1 ცალი
5. ფუნქციონალური დიაგნოსტიკის სისტემა (ჰოლტერის მონიტორი კარდიოგრაფით) – 1 ცალი
6. ფილტვების ვენტილატორი – 1 ცალი
7. ხელოვნური სუნთქვის აპარატი – 6 ცალი
8. პორტატული ბრონქოსკოპი – 1 ცალი
9. პულს ოქსიმეტრი – 24 ცალი
10. რენტგენოდიაგნოსტიკური კომპლექსი – 1 ცალი
11. ულტრაბგერითი სკანერი – 1 ცალი
12. ვიდეოენდოსკოპიური სისტემა – 1 ცალი
13. მობილური ქირურგიული C-arm-ი – 1 ცალი
14. ლაზერული პრინტერი – 1 ცალი
15. პორტატული ექოსკანერი – 4 ცალი
16. ნარკოზის აპარატი – 1 ცალი
17. ელექტროკარდიოგრაფი – 1 ცალი
18. ჰემოსორბიტის აპარატი – 1 ცალი
19. იმუნოფერმენტული ELISA–ს ტექნოლოგიის აპარატი ფილტრებით, 96 პლანშეტის ავტომატური წაკითხვით და კალიბრაციის მრუდეებით, ერთდროულად რამდენიმე ტესტის გაზომვის შესაძლებლობით, გარე პრინტერით – 1 ცალი
20. ჰიდროცეფალიის შუნტი – 25 კომპ.
21. სმენის აპარატი – 150 ცალი
22. ხელოვნური განაყოფიერების აპარატი – 1 ცალი
23. გაზთა ცვლის ანალიზატორი – 1 ცალი

მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები – 2004 წლის 20 ნოემბრიდან 2005 წლის 1 ივლისამდე.

მიწოდების ფორმა და ადგილი – DDP, განისაზღვრება ხელშეკრულებით (საქართველოს ტერიტორია).

ტენდერში მონაწილეობისთვის მოწვეულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები,ქართულ ენაზე,უნდა წარმოადგინონ **2004 წლის 21-დან 22 ოქტომბრის 16 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ.,№419 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

იურიდიული პირისთვის:

1. ცნობა სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ;
2. ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
4. ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

ფიზიკური პირისთვის:

1. ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
2. ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:

1. ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე – სასამართლო ორგანოდან;
2. სატენდერო წინადადების ხელის მომწერისთვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);
3. მწარმოებელი ფირმის ავტორიზაცია;
4. ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ (ფულადი სახსრები, საკრედიტო საშუალებები);
5. საგადასახადო დავალიანებები საქართველოს ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);
6. ლიცენზია სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების რეალიზაციაზე და ტექნიკურ მომსახურებაზე;
7. ლიცენზია თანმდევი მომსახურებით გათვალისწინებულ სამედიცინო საქმიანობაზე – საჭიროების შემთხვევაში;
8. სუბ-კონტრაქტორების მიერ განსახორციელებელი მიწოდება (საჭიროების შემთხვევაში):

განსახორციელებელი მიწოდების სახე	სუბ-კონტრაქტის ფასი	სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ **2004 წლის 1 ნოემბრის 17 საათამდე,** მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ, №419 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო წინადადებები მიიღება ქართულ ენაზე, **2004 წლის 11 ნოემბრის 16 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: **თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ., №419 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.**

დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შესაძლებელია შეიცავდეს შესასყიდი საქონლის ყველა ან ცალკეულ პოზიციებს. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული წინადადებები.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი 5 პროცენტის ოდენობით ან დაზღვევა.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან – **შალვა ბაღაშვილი, ნათია ოდიშარია, მისამართზე: 0160 ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ. №30, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, E-mail: health-tend@posta.ge, IV სართული, 419 ოთახი.** ტ-38-78-83.

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ქ. თბილისი, 0160, გამსახურდიას გამზ. №30) აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს „სოციალური სფეროს ინსტიტუციონალური და ფუნქციონალური რეფორმის ხელშეწყობის 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის“ – სტრატეგიული მნიშვნელობის დაწესებულებათა რეაბილიტაციის, სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების და სამედიცინო რეზერვების მართვის კომპონენტის ფარგლებში, სტრატეგიული მნიშვნელობის დაწესებულებების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის შესახებ და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდი მომსახურება: სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება შემდეგ ობიექტებზე:

1. ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩანაცვლებითი თერაპიის კორპუსი (ქ. თბილისი) – სამშენებლო, გადახურვის, მოსაპირკეთებელი, ხის, სანტექნიკური და ელექტრო სამუშაოები;
2. უროლოგიის ეროვნული ცენტრის რენტგენო-საოპერაციოების მოწყობა (ქ. თბილისი) – დაზიანებული კონსტრუქციების დემონტაჟი, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები;
3. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური კლინიკა (ქ. თბილისი) – 3 არსებული კიბის უჯრედის დემონტაჟი და ახალი საფეხურების მონტაჟი;
4. ბალნეოლოგიური კურორტი, სტაციონარული განყოფილება (ქ. თბილისი) – სამშენებლო, მოსაპირკეთებელი, კოსმეტიკური და სანტექნიკური სამუშაოები;
5. დასავლეთ საქართველოს მრავალპროფილიანი სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი (ქ. ქუთაისი) – არსებული დაზიანებული სამშენებლო კონსტრუქციის დემონტაჟი შემდგომი რეაბილიტაციით, მოსაპირკეთებელი, კოსმეტიკური, სანტექნიკური და ელექტრო სამუშაოები – შენობაში დასამონტაჟებელი მაღალტექნოლოგიური აპარატურის სტანდარტების გათვალისწინებით.

მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები – 2004 წლის 20 ნოემბრიდან 2005 წლის 1 სექტემბრამდე.

მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი.

ტენდერში მონაწილეობისთვის მოწვეულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ **2004 წლის 18-დან 19 ოქტომბრის 16 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **თბილისი, 0160, კ.გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ., №419 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

იურიდიული პირისთვის:

1. ცნობა სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ;
2. ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
4. ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

ფიზიკური პირისთვის:

1. ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
2. ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:

1. ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე – სასამართლო ორგანოდან;
2. სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);
3. ბოლო 2 (ორი) წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები, აუდიტორული დასკვნები);
4. სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმები, სატრანსპორტო საშუალებები და მოწყობილობა-დანადგარები:

№	მოწყობილობა-მექანიზმის დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთარი, იჯარით არებული (ვისგან), შეძენილი იქნება (ვისგან)
1.					
2.					

5. ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

№	თანამდებობა	გვარი, სახელი, მამის სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი)
1.				
2.				

6. სუბ-კონტრაქტორების მიერ განსახორციელებელი მიწოდება (საჭიროების შემთხვევაში):

№	განსახორციელებელი მიწოდების სახე	სუბ-კონტრაქტის ფასი	სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1.				
2.				

7. საგადასახადო დავალიანებები სახელმწიფო ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);
8. ლიცენზია სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე (ნოტარიალურად დამოწმებული ასლის დართვით).

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ, დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ **2004 წლის 26 ოქტომბრის 17 საათამდე,** მისამართზე: **თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ, №419 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო წინადადებები მიიღება ქართულ ენაზე, **2004 წლის 8 ნოემბრის 16 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: **თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ., №419 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.**

დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შესაძლებელია შეიცავდეს შესასყიდი მომსახურების ყველა ან ცალკეულ პოზიციებს. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული წინადადებები.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი 3 პროცენტის ოდენობით.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან – **შალვა ბაღაშვილი, ნათია ოდიშარია, მისამართზე: 0160 ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ. №30, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, E-mail: health-tend@posta.ge, IV სართული, 419 ოთახი.** ტ-38-78-83.

შპს „ი-ეხ-ხორხია“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა მიმართონ მისამართზე: **ქ. თბილისი, ვეკუას ქ. №1, ტელ: 77-42-71, მობ: 899 114 745, დირექცია, პ. სალია.**

განცხადება სააქციო საზოგადოება „ხიდმშენის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

სააქციო საზოგადოება „ხიდმშენი“ იწვევს თავის აქციონერებს რიგგარეშე საერთო კრებაზე მოწვეული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელიც გაიმართება ა. წ. 9 ოქტომბერს დღის 12 საათზე, ქ. თბილისში ლესელიძის ქ. №15-ში მდებარე სააქციო საზოგადოების შენობაში.

დღის წესრიგი:

1. **საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;**
2. **სამეთვალყურეო საბჭოს გადარჩევის შესახებ.**

დღის წესრიგის საკითხების შესახებ ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სამეთვალყურეო საბჭოში.

ქ. თბილისი 2004 წლის 30 სექტემბერი.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ცქიტიშვილი

განცხადებები

სსიპ საქტელერადიომაუწყებლობის მიერ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შპს „გურამექსთან“ გაფორმდა ხელშეკრულება № 336.

სსიპ საქტელერადიომაუწყებლობის მიერ 15 ივლისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოცხადდა სტუდიების დიზაინსა და დამზადებაზე ღია ტენდერი. გაიმარჯვა შპს „მაგი სტილმა“ გაფორმდა ხელშეკრულება №356.

სსიპ საქტელერადიომაუწყებლობის მიერ 1 ივლისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოცხადდა სამაუწყებლო ტექალჭურვილობისა და სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე ღია ტენდერი. შპს „ინტექსერვისთან“ გაფორმდა ხელშეკრულება №364 ლოტ-1-ზე, ხელშეკრულება №328 ლოტ-2-ზე და ხელშეკრულება №327 ლოტ-3-ზე. შპს „აკრონი კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა“-თან გაფორმდა ხელშეკრულება №323 ლოტ-4-ზე, ხელშეკრულება №326 ლოტ-6-ზე, ხელშეკრულება №324 ლოტ-7-ზე და ხელშეკრულება №325 ლოტ-8-ზე გაიმარჯვა შპს „აკრონი კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა“.

სსიპ საქტელერადიომაუწყებლობის მიერ 6 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ სატელევიზიო აპარატურის, კომპიუტერული სისტემების და ზოგადი დანიშნულების მოწყობილობების შესყიდვაზე ღია ტენდერი. შპს „ჯესკოსთან“ გაფორმდა ხელშეკრულება №368 ლოტ-3-ზე, ხელშეკრულება №369 ლოტ-1-ზე, შპს „აკრონი კომპიუტერული და საოფისე ტექნიკას“-თან გაფორმდა ხელშეკრულება №370 ლოტ-2-ზე.

განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად II კატეგორიის საქმიანობებზე წარმოდგენილია:

1. **შპს „როკის“ მიერ „მარნეულის რაიონში მდ. ხრამის საბადოს დამუშავება ქვიშა-ხრეშის მოპოვების მიზნით“ პროექტი.**
2. **შპს „მშენებელის“ მიერ ბორჯომის რაიონში ვაშლოვანის დასახლებასა და სოფ. დვირის ტერიტორიაზე არსებული „ინერტული მასალის კარიერის დამუშავების პროექტი“.**
3. **შპს „იბოლიას“ მიერ გორის რაიონში მდებარე „მდ. ლიახვის ქვიშა-ხრეშის გამოვლინების პროექტი“.**
4. **ინდივიდუალური საწარმო „ვახტანგის“ მიერ ნინოწმინდის რაიონში სოფ. მამწვარაში არსებული „ბაზალტის ქვის მოპოვების სამთროს პროექტი“.**

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. **16 ნოემბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრესცენტრში: თბილისი, კოსტავას №68ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში: თბილისი, ფალიაშვილის №87, ტელ. 25-02-19.**

საჯარო განხილვა შედგება 2004 წლის 16 ნოემბერს 12 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური.

2004 წლის 22 ოქტომბერს, 12 საათზე, ქ. თბილისში, სამგორის ქ. №6-ში მოწვეულია **სს „თბილისის მაკარონის ფაბრიკის“** აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება. აქციონერთა სააღრიცხვო თარიღად დანიშნულია 2004 წლის 28 სექტემბერი.

დღის წესრიგი:

1. **ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აცხადებს 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილით დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ფარმაკოპეისა და ფარმაკოლოგიის კომიტეტების ლიკვიდაციას.

მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის 329, ტელ: 38-74-19; 37-98-26.

სალიკვიდაციო კომისიის ხელმძღვანელი ზვიად ახვლედიანი.

მისამართი: ქ. თბილისი, დელისის ქ. 33, I კორპ. ბინა 7, ტელ: 32-32-61.

კრედიტორთა მოთხოვნები წარედგინება საწარმოს სალიკვიდაციო კომისიას. კრედიტორთა მოთხოვნაში უნდა აისახოს შემდეგი:

1. **კრედიტორთა ვინაობა და მისამართი;**
2. **პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;**
3. **ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;**
4. **იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას;**
5. **ვალდებულებების წარმოშობის საფუძველი და პერიოდი;**
6. **ვალდებულებების ოდენობა გამოხატული ფულად თანხებში;**

კრედიტორის მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს ვალდებულების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

კრედიტორთა მიერ წარსადგენი მოთხოვნის წარდგენის ვადაა ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 10 სამუშაო დღე.

სალიკვიდაციო კომისია.

◉ გილოცავთ

ლექსპრომტი

ხარობდეს გვარი ჩოხელთა!

დღეს ცნობილ მწერალსა და კინორეჟისორს გოდერძი ჩოხელს 50 წელი უსრულდება

ცხოვრება არის წამება
და „სალაფავი“ ოხერთა,
გწყალობდეს, მმაო, სამება,
ხარობდეს გვარი ჩოხელთა.
კინოკადრებად ასხმულა,
ბავშვობა, ერმობა, ყოველი...
შენი ნიჭის და უნარის
კვლავ გაბრწყინებას
მოველი!

ვილენ მარდალეიშვილი.
ჯემალ კასრაძის ფოტო.

◉ რეპლიკა

ხანძარს ვაქრობთ... თათბირებით?!

ეს დღეებია, ქვეყანა შემფოთებით ადევნებდა თვალს ბორჯომ-ხარაგოულის ნაკრძალში გაჩენილ ხანძარს. ამასთან, როგორც ამბობენ, ტყეებს ცეცხლი ისეთ მიუვალ ადგილებში ეკიდა, რომ იქ ფეხით მისვლაც კი საძნელო საქმეა, არამცთუ სახანძრო მანქანის მიყვანა.

ოცდაათ ჰექტარამდე ფართობზე მოდებულ ხანძარს, როგორც ეს ტელეეკრანებზე ჩანდა, მონადირეები და ახლომახლო სოფლებიდან იქ ასული რამდენიმე კაცი თოხით, ნიჩბით და „ტელეგრეიკებით“ აქრობდა. არადა, ცაზე, როგორც პოეტი ამბობს, ჩიბუხში ჩასადები ღრუბელიც არ ჩანს, კაცმა რომ წვიმა ინატროს. სწორედ ასეთი უიმედობის დროს გამოჩნდა ეკრანზე პარლამენტარი გივი თარგამაძე, რომელმაც დაგვამშვიდა: ოსიაურიდან ორმოცდაათი რეზერვისტი ბორჯომ-ხარაგოულის ნაკრძალში ხანძრის ჩასაქრობად სამხიდიანი მანქანებით მივდივართ. სადამდეც მივალთ, ხომ მივალთ, მერე ათ-თორმეტკილომეტრიან გზას ფეხით განვაგრძობთ და მეორე დღეს ხანძრის კერას მივადგებით და დავიწყებთ თათბირ-კონსულტაციებს იმის თაობაზე, დამატებითი ძალები დაგვჭირდება თუ არაო.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს არაფერი უთქვამს, ვთქვათ, დამატებითი ძალების მოსვლამდე რით აპირებდა ნაკრძალში გამძვინვარებული ხანძრის ჩაქრობას, ცეცხლის ალი კი ხეებიდან ხეებზე, ფართობიდან ფართობებზე გადადიოდა...

ნუ იტყვით და, არც კონსულტაციები და თათბირები, არც ბრეზენტის ფარაჯებით აღკაზმული რეზერვისტები, უბრალოდ, წყალი ყოფილა საჭირო ხანძრის ჩასაქრობად, რომელიც კიდევაც გამოიყენეს თურქეთიდან მოფრენილმა სახანძრო თვითმფრინავებმა და ახლა, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, ბორჯომ-ხარაგოულის ნაკრძალში, ალბათ, ხანძრის „კუდებიღა“ დარჩენილი.

გურამ პავლიაშვილი,
„სრ“ მიმომხილველი.

◉ ბოდიში

ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომრის მესამე გვერდზე დაბეჭდილ წერილში „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ... ჩიქოვანების ოჯახში!“ პირველი სვეტის პირველი აბზაცი ასე უნდა იკითხებოდეს: „არიან ადამიანები, რომელთა დამსახურება ქვეყნისა და ერის წინაშე შეუძლებელია ერთ სფეროში მოღვაწეობით განისაზღვროს. მათი ღვაწლი და შემოქმედება მრავალმხრივია“.

ჩიქოვანების ოჯახსა და მკითხველს ბოდიშს ვუხდით უხეში კორექტურული შეცდომისათვის.

◉ ტელევიზია

შაბათი, 2 ოქტომბერი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "**ღლე**" (U) 10.00 "იმღერე რამე" 10.30 საცირკო სანახაობა 11.00 მხიარული კარუსელი 11.30 საქართველო არის ესე 12.10 მხ. ფილმი "**ორარა სრული სელით**" 13.40 სერიალი "**წერილეარ-სკელავთა ღამე**" 14.55 **ფეხბურთი**. ქუთაისის "ტორპედო" - თბილისის "თბილისი" 16.55 დოკ. ფილმი "მაროკო - ცხენების სამეფო" 18.00 ვესტნიკი 18.45 "იმღერე რამე" 19.15 ტელეზღაპარი 19.25 "დრო და ადამიანები" -აინშტაინი 19.40 "ეთნოგრაფიული ჩანახატი" 20.35 ფორტუნა 21.15 პოლიტიკური მკვლელობები - დ. ჰამარშელდი 22.05 "სალამის საუბარი" 22.50 სპექტაკლი "**მშვენიერი ქართველი ქალი**" 00.15 მხ. ფილმი "**ლაქა**" (U)

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 10.55 მხ. ფილმი 12.20 სიმფონიები 12.50 მხ. ფილმი "**სოლარისი**" 15.20 მხ. ფილმი "**ქალაქელი მონადირე**" 17.00 ველური სამყაროს ამბები 18.00, 21.00, 01.00 კურიერი 18.20 დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" 19.15 სერიალი "**წმინდა ინგლისური მკვლელობები**" 22.00 "ფსიქო" - "**საილო**". რეჟ. გას ვან სენტი (18). 01.20 მხ. ფილმი "**სხეები**". მთ. რ-ში: ნიკოლ კიდმანი (18).

19.00 "მრავალჟამიერ" - რატომ ცეკვა აჭარული 19.30 "იმღერე რამე" 20.00 ასე ვცხოვრობთ 20.30 მუს. ოქტაგონი - მ. კვლივიაშვილი 21.20 ქიმერიონი - ა. ვარსიმაშვილი 22.00 მხ. ფილმი "**ხსოვნა**" (U) მე-2 ს.

09.00 ანიმაციური ფილმი "ანა და მეფე" 1-2ნ. 10.00 მხ. ფილმი "**სამი გოდორა**" (ა. ბატალოვი) 11.30 "იმედითა შენითა" 11.45 "კლიპ-ლოტო" 12.40, 13.15, 02.30 ტელემარკეტი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15 ქრონიკა 13.30 მხ. ფილმი "**შურისძიების სახელით**" (U) (ს. სიგალი) 15.15 თოკ-შოუ "რეაქცია" 17.10 დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" მე-3 ს. 18.05 "პირველი ნაბიჯი" 19.30 ვაკაჟი-ნიუსი 20.05 მხ. ფილმი "**თითქმის 9 იარდი**" (U) (ბ. უილისი) 22.30 **ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.** 00.20 "ნადიმი ჯ. კაშიასთან ერთად" 01.35 სერიალი "**ნეშ ბრიჯესი**" 03.00 იმედის მელოდიები

09.00 მუსიკა მზეზე 09.30 მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" 10.00 საბ. სერიალი "**ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელი**" 10.30 სერიალი "**დაკარგული ქვეყანა**" 11.30 შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" 12.30 შემეცნებითი-გასართობი პროგრამა "ფოკუსის ისტორია" 13.00 სერიალი "**კარაბინერები**" 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 14.15 მხ. ფილმი "**ესპერანსა**" (U) 16.15 მუსიკა მზეზე 16.30 "ფარული კამერა" 17.20 "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 17.50 შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" 18.50 მუსიკა მზეზე 19.00 სერიალი "**დაკარგული ქვეყანა**" 20.30 სერიალი "**კარაბინერები**" 21.30 კრიმ. დრამა "**ტაქსის მძღოლი**" 22.30 მხ. ფილმი "**აკატონე**" (15) (რეჟ. პ. პაზოლინი)

18.00 მინისერიალი "**გრაფინია დე მონსორო**" მე-3ს. 19.10 დოკ. ფილმი 20.30 სილუეტი 21.05 დოკ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი "**უსირცხვილო**" (15)

202

11.00 კონცერტი 13.00,19.00 ტვ-შოპი 19.00 კონცერტი 21.00 ტვ-შოპი 22.00 202-ის ვიდეო არტები

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საწვავის ა) ბენზინი 200 000 ლიტრი შესასყიდად და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 16 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, 9 აპრილის ქ. № 4.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის შემდეგ ცნობებს:

ა) ბანკიდან – რომ ანგარიშზე ერიცხებათ გარკვეული თანხა და არა აქვთ დავალიანებები;

ბ) საგადასახადოდან – რომ ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხებათ დავალიანებები;

4. დაინტერესებული პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზევით აღნიშნულ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში ჩამოთვლილ ცნობებს და ინფორმაციას, ან რომელიმე წარმოდგენილი ცნობა ან ინფორმაცია აღმოჩნდება ყალბი.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არაუგვიანეს 2004 წლის 27 ოქტომბრისა, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ. № 4.

6. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: ზაზა სადაღაშვილი, ტელ. 99-64-61, 899-10-05-36.

სატენდერო კომისია.

უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად ბორჯომის რაიონის გამგეობის მიერ წარმოდგენილია I კატეგორიის საქმიანობაზე:

ბორჯომის რ-ნში, დაბა ბაკურიანში „ნაგავსაყრელის მოწყობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“.

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა ნაცვლად 5 ოქტომბრისა, შესაძლებელია ა. წ. 19 ოქტომბრამდე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრესცენტრში: თბილისი, კოსტავას № 68ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და ლიცენზიების სამსახურში: თბილისი, ფალიაშვილის № 87, ტელ. 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2004 წლის 19 ოქტომბერს 12.00 საათზე საქართველოს გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

გარემოსდაცვითი ნებართვებისა
და ლიცენზიების სამსახური.

◉ ჩვენი ეროვნული საუნჯე

ზემო ხანდაკში რომ ჭიდაობა იციან!



ლონიერი სამხიდიანი მანქანით ვილაცას ტყიდან შემა ჩამოეტანა, მაგრამ შინ მისვლას არ ჩქარობდა – მაინც რა ჯადო აქვს ქართულ ჭიდაობას! – ძარაზე ახორხილ ხეებზე შემდგარიყო და იქიდან დასცქეროდა სოფლის საჭიდაო მოედანს. ზღვა ხალხი კი, მოედანს იარუსებად რომ შემოსალტოდა, ღელავდა, ბორგავდა, ფეხზე დგებოდა. გამამხნევებელ შეძახილებს ხომ ბოლო არ უჩანდა, მაგრამ რაღა წაქეზება და გამხნევება უნდოდა ნახერხმოყრილ მოედანზე მორკინალთ: ხან მიმინოსავით ჩაუქროლებდნენ, ხანაც ავაზებივით რომ უბღვერდნენ ერთმანეთს. მაგრამ ბოლოს ეს დალოცვილი ქართული სარმა აგვარებდა ყველა დავასა და ვარაუდს, როცა მეტოქე ჰაერში კისრულით წამოვიდოდა, ანდა, როცა „ნახერხნაჭამი“ დარცხვენით გავიდოდა მოედნიდან...

კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში კვირის ჭიდაობის ნამდვილი დღესასწაული გაიმართა.

– ამით, – თქვა საქართველოს ოლიმპიური კავშირის შიდა ქართლის სამხარეო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **გივი ხაჩიძემ**, – სტარტი აიღო ქართული ჭიდაობის და ხალხური თამაშების შიდა ქართლის გუნდურმა პირველობამ, რომელიც, რა ამბიციურადაც არ უნდა ჟღერდეს, მომავალი პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების გეგმის ნაწილია.

სამხარეო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული გეგმა ბევრ საინტერესო ღონისძიებას მოიცავს. სპორტში მასობრიობის მისაღწევად მთავარია ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაზე მონაწილეობა! – ოქტომბრის დასაწყისში ქართულ ჭიდაობაში მხარის რაიონების ნაკრები გუნდები ხაშურის რაიონის სოფელ ვაყაში ცნობილი მოჭიდავის რამაზ ხარშილაძის სახელობის თასს გაითამაშებენ, 9 ოქტომბერს კი ქარელის რაიონის სოფელ ფცაში მხარის ნაკრები გუნდები ერთმანეთს შეეცილებიან დურმიშხან ბერუაშვილის სახელობის თასს, 13 ოქტომბერს სოფელი სკრა ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონის კობა კურტანიძის თასის მაძიებელთა ტურნირს უმასპინძლებს.

პარალელურად მხარის რაიონების მოსწავლეთა ნაკრები გუნდები ერთმანეთს ხალხურ თამაშებში (აქაც საინტერესო პროგრამაა შედგენილი) – ღონესა და სისწრაფეში, საზრიანობასა და მოხერხებულობაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

ქართულ ჭიდაობაში შიდა ქართლის მხარის რაიონის ნაკრებ გუნდებს შორის ზემო ხანდაკში გამართული შეჯიბრება აფხაზეთში გმირულად დაღუპული კასპის ბატალიონის მეთაურის, ჭიდაობა სამბოში საქართველოს ჩემპიონის, კასპის რაიონის გამგებლის ტარიელ შარიფაშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

მოჭიდავეთა პაექრობას ინტერესი იმანაც შემატა, რომ მსაჯთა კოლეგიამ ასპარეზობაზე ცალკე გუნდად ზემოხანდაკელი ყმაწვილებისგან შედგენილი გუნდი დაუშვა და, თითქოს ცეცხლზე ნავთი გადაასხესო, მოედანზე ყოველ მათ გამოჩენას ენით აუწერელი ყიჟინი და ჟრიამული ახლდა თან. ზემოხანდაკელებმა შავი დღე აყარეს სტუმრების ტიტულიან გუნდებს – 4:3-ზე მოუგეს კასპის რაიონის ნაკრებს, იოლად გაუსწორდნენ ისრაელელ მოჭიდავეებს – 6:2 და ფინალში გორის რაიონის ძლიერ გუნდს შეხვდნენ, რომელსაც მძიმე და დაძაბულ ბრძოლაში (როცა შინ კედლებიც გეხმარებიან) სძლიეს ანგარიშით 4:3 და ტურნირის მთავარ პრიზს – ტარიელ შარიფაშვილის სახელობის თასს დაეუფლნენ. გამარჯვებულ გუნდს თასი გადასცა ტარიელ შარიფაშვილის შვილმა, 10 წლის თამრიკო შარიფაშვილმა. ფინალურ შეხვედრაში გაიმარჯვეს ლევან გორგაძემ, ინდია ხომიზურმა, ლევან ფერაძემ და რეზო ჩიკვილაძემ.

ასპარეზობა ზემო ხანდაკში ჩინებულად იყო ორგანიზებული, არ აკლდა საინფორმაციო მხარდაჭერა და კასპის რაიონის გამგეობის ყურადღება.

ქართულ ჭიდაობაში შიდა ქართლის მხარის გუნდური პირველობის შემდგომი ეტაპის მასპინძლობისთვის ხაშურის რაიონის სოფელი ვაყა საგულდაგულოდ ემზადება...

გაბრიელ ბარჯაძე,
გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ სპეც. კორესპონდენტები.

სურათებზე: ჭიდაობის დღესასწაული ზემო ხანდაკში; გაიმარჯვა გორელმა ავთანდილ შომიაშვილმა; ზემოხანდაკელთა გამარჯვებული გუნდი, შუაში – ტარიელ შარიფაშვილის შვილი თამრიკო შარიფაშვილი.
რობერტ ბაზოიანის ფოტო.

◉ ფეხბურთი

მხოლოდ შედეგები

უეფას თასი. I ეტაპის საპასუხო რაუნდი. „ლიტექსი“ – „**გრაცერი**“ 1:0 (0:5), „**ლაციო**“ – „მეტალურგი“ (დონეცკი) 3:0 (3:0), „**ბეშიქთაში**“ – „ბოდო გლიმტი“ 1:0 (1:1), „**ლილი**“ – „შელბურნი“ 2:0 (2:2), „ბრაგა“ – „**ჰართსი**“ 2:2 (1:3), „ლეგია“ – „**აუსტრია**“ 1:3 (0:1), „**ბენფიკა**“ – „ბისტრიცა“ 2:0 (3:0), „დინამო“ (ბუქარესტი) – „**პარტიზანი**“ 0:0 (1:3), „მარიბორი“ – „**პარმა**“ 0:0 (2:3), „სიგმა“ – „**სარაგოსა**“ 2:3 (0:1), „რაპიდი“ – „**სპორტინგი**“ 0:0 (0:2), „ჰაპოელი“ – „**ნიუკასლი**“ 1:5 (0:2), ცსკა (სოფია) – „**სტიაუა**“ 2:2 (1:2), „იურგორდენი“ – „**უტრეხტი**“ 3:0 (0:4), „**ფერენცვაროში**“ – „მილუოლი“ 3:1 (1:1), „მეტალურგი“ (ლიეპაია) – „**შალკე**“ 0:4 (1:5), „**დნეპრი**“ – „მატაბი“ 2:0 (0:1), „**ბაზელი**“ – „თერგი“ 2:0 (1:1), „**ფეიენოორდი**“ – „ოდ გრენლანდი“ 4:1 (1:0), „**ოსერი**“ – „ოლბორგი“ 2:0 (1:1), „ნასიონალი“ – „**სევილია**“ 1:2 (0:2), აეკ – „გორიცა“ 1:0 (1:1), „ბოხუმი“ – „**სტანდარდი**“ 1:1 (0:0), „ცრვენა ზვეზდა“ – „**ზენიტი**“ 1:2 (0:4), „**ბილბაო**“ – „ტრაბზონი“ 2:0 (2:3), „**შტუტგარტი**“ – „უიპეშტი“ 4:0 (3:1), „უდინეზე“ – „**პანიონიოსი**“ 1:0 (1:3), „**ბევერენი**“ – „ლევსკი“ 1:0 (1:1), „ელფსბორგი“ – „**დინამო**“ (ზაგრები) 0:0 (0:2), „**ალემანია**“ – „ჰაუნარი“ 0:0 (5:1), „ბანიკი“ – „**მიდლსბრო**“ 1:1 (0:3), „შატორუ“ – „**ბრიუგე**“ 1:2 (0:4), „**ალკმაარი**“ – პაოკ 2:1 (3:2), „**ამიცა**“ – „ვენტსპილსი“ 1:0 (1:1), „სტაბეკი“ – „**სოშო**“ 0:5 (0:4), „გენჩლერი“ – „**ეგალეო**“ 1:1 (0:1), „**რეინჯერსი**“ – „მარიტიმუ“ 1:0 (0:1, პენალტებით 4:2), „**ვილიარეალი**“ – „ჰამარბიუ“ 3:0 (2:1), „**ჰერენვენი**“ – „ფეთაჰ-თიქვა“ 5:0 (პირველი მატჩი არ გამართულა).

◉ ჭადრაკი

რიონისპირას, 64 უჯრაზე

„სავარდო და სამაისო“ – ასე ერქვა დიდი საჭადრაკო ტრადიციების მქონე, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძის მშობლიურ ქალაქ ქუთაისში გამართულ ტურნირს, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი გახლდათ ქალაქის მერი, ცნობილი დიდოსტატი გიორგი გიორგაძე. შეჯიბრება გაიმართა შვეიცარიული სისტემით 9 ტურად. თითოეულ მოჭადრაკეს მთელ პარტიაზე 15 წუთი ეძლეოდა ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით.

ქალებში 6 ქულით ყველას მაია ლომინეიშვილმა აჯობა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ლელა ჯავახიშვილი და სოფიო გვეტაძე, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს. 5,5 ქულა მოაგროვა ქუთაისელმა ნანა ძაგნიძემაც, რომელმაც 18-წლიანთა შორის გამარჯვებისთვის მიიღო პრიზი.

ვაჟებში 9 შესაძლებლიდან 7-7 ქულით I-III ადგილები მიხეილ მჭედლიშვილმა, ლევან ფანცულაიამ და ზვიად იზორიამ გაინაწილეს ასეთივე თანმიმდევრობით, ცხადია, უკეთესი კოეფიციენტის შესაბამისად.

„ჯეოსელისგან“ მობილური ტელეფონები მიიღეს საჩუქრად სახელოვანმა მოჭადრაკეებმა – ნონა გაფრინდაშვილმა, მაია ჩიბურდანიძემ და ნინო გურიელმა. ტურნირის საზეიმო დახურვისას გამოითქვა იდეა, რომ იმ ქუჩას, სადაც მაია ჩიბურდანიძე დაიბადა და გაიზარდა, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის სახელი ეწოდოს. ითქვა ისიც, რომ ტურნირი „სავარდო და სამაისო“ ტრადიციული გახდება.

ლევან ცინცაძე.

◉ ჭიდაობა

ვეტერანებმაც გვასახელეს

ჰელსინკის მახლობლად ქალაქ სეინაჯოკოში გაიმართა მსოფლიოს 2004 წლის პირად-გუნდური პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვეტერანებს შორის, რომელშიც 30-ზე მეტი ქვეყნის 250-მდე ცნობილი ფალავანი მონაწილეობდა.

აღნიშნულ შეჯიბრებაზე თავი გამოიჩინეს საქართველოს ნაკრების (უფროსი მწვრთნელი – სპორტის დამსახურებული ოსტატი ომარ ეგაძე) წარმომადგენლებმა. ქუთაისელმა მძიმეწონოსანმა ესტატე გოგლიჩიძემ მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა, ხოლო რუსთაველ თეიმურაზ ნინიკურს (76 კგ) ბრინჯაოს მედალი ხვდა.

ომზარ შოშიტაშვილი,
საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

◉ ჭრელაჭრულა

მოკლეს ფეხბურთის ბილეთისთვის

უსიამოვნო ტრადიციად იქცა ინგლისელი გულშემატკივრების მკვლელობა ან სხვა ძალადობანი მათ მიმართ.

მორიგი ტრაგიკული ინციდენტი მოხდა ბუდაპეშტში, **უეფას** თასზე უნგრეთის „ფერენცვაროშისა“ და ინგლისური „მილუოლომის“ განმეორებითი მატჩის წინ. დაღუპულს, ინგლისურად რომ ლაპარაკობდა, დანა ბეჭებში ჩასცეს, რვა კაცი სერიოზულად დაიჭრა, ხოლო შვიდი მსუბუქადაა დამავებული.

ორივე გუნდის გულშემატკივართა კონფლიქტი კი სტადიონზე შესასვლელი ბილეთების გამო აგორდა. ბევრი ინგლისელი გულშემატკივარი უნგრეთის დედაქალაქში ისე ჩავიდა, რომ მატჩის ბილეთი არ ჰქონდა. სამიათასკაციანი ჯგუფის ერთი ნაწილი ბილეთების შეძენას ადგილზე აპირებდა, რადგან არსებული წესით, მათ წინასწარ გამოეყოთ მხოლოდ 1500 ბილეთი, სტადიონის ტრიბუნების ტევადობის მეათედი ნაწილი.

აბობოქრებული გულშემატკივრების დასაშოშმინებლად პოლიციამ ცრემლმდენი გაზი გამოიყენა. აღსანიშნავია, რომ თავად მატჩმა უექსცესოდ ჩაიარა.

„ფარაონთა რალიმ“ იმსხვერპლა

ამ ტრაგიკულ შემთხვევას თვითმხილველები არა ჰყავს. მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული რალის „პარიზი-დაკარი“, რომელსაც „ფარაონების რალადაც“ მოიხსენიებენ, მეოთხე ეტაპზე დაიღუპა მისი სამგზის ჩემპიონი, ფრანგი რიშარ საინქტი.

ფრანგი მოტომრბოლი ოთხშაბათს ორჯერ მოხვდა ავარიაში, პირველს კი გადაურჩა, მაგრამ პილოტისთვის მეორე ფატალური აღმოჩნდა. თუმცა, როგორც ვთქვით, მას მოწმეები არ დასწრებიან.

„საინქტი უგონოდ მიიყვანეს მოძრავ ჰოსპიტალში, მაგრამ მაშინვე გარდაიცვალა“, – განაცხადა რალის ორგანიზატორმა მასიმო გაბრაჩიომ. დაღუპულის ცხედარი უკვე გადაასვენეს კაიროში.

34 წლის საინქტმა გაიმარჯვა 1999, 2000 და 2003 წლის რალიზე „პარიზი-დაკარი“.

გუნდი KTM, რომელშიც ფრანგი ასპარეზობდა, ტრაგედიის შემდეგ შეჯიბრებიდან მოიხსნა.

ყმაწვილი დიდოსტატი – გინესის წიგნში

ლიახ, გინესის რეკორდების წიგნმა უკრაინელი სერგეი კარიაკინი აღიარა ყველაზე ახალგაზრდა საერთაშორისო დიდოსტატად.

ამ დღეებში გინესის სააგენტოს წარმომადგენლებმა მოჭადრაკეს შესაბამისი დიპლომი და მოწმობა გადასცეს. მასში აღნიშნულია, რომ სერგეიმ ეს მაღალი წოდება 12 წლისამ და 211 დღისამ მიიღო.

ახლა რეკორდსმენი 14 წლისაა და უკვე დიდ ტურნირებში მონაწილეობს. სულ მალე – 6-9 ოქტომბერს, ესპანეთის ქალაქ ბილბაოში ის ჩაებმება ადამიანებისა და კომპიუტერების მსოფლიო საჭადრაკო ჩემპიონატში. მასში ასევე მონაწილეობენ რუსლან პონომარიოვი და ვესელინ ტოპალოვი. მათ წინააღმდეგ კომპიუტერულ პროგრამებში სამი მსოფლიო ჩემპიონი ითამაშებს.

ნათლიაც ასეთი უნდა

დევიდ ბექჰემის 5 წლის ვაჟიშვილი ბრუკლინი პოპულარულმა მუსიკოსმა ელტონ ჯონმა ერთ-ერთ თავის მემკვიდრედ გამოაცხადა. მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს, თავისი 175 მილიონ გირვანქა სტერლინგად ღირებული ქონება გაანაწილოს მის მონათლულ ათ ბავშვს შორის. თავად ელტონ ჯონსს (რეჯინალდ დუაიტს), რომელიც დიდ ბრიტანეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადამიანი და პაპარაცების მუდმივი სამიზნეა, როგორც ჰომოსექსუალი ქალი, საკუთარი შვილები არ ჰყავს. მას მიაჩნია, რომ ნათლულებმა სწორედ ამით უნდა დაიმახსოვრონ.

თავად ბექჰემის ვაჟიშვილს, ბრუკლინს, მომავალში გაჭირვება როდი მოელის, ის ხომ თავის ვარსკვლავი მშობლების 65-მილიონიანი სიმდიდრის ერთ-ერთი მემკვიდრეა.

სპორტის რედაქცია

საქართველოს რესპუბლიკა
№ 229. შაბათი. 2 ოქტომბერი. 2004 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

ვერიკო ანჯაფარიძე ნათესავებს შორის. გეგეჭკორის (ახლანდელი მარტვილის) რაიონის სოფელი კიწია. 1964 წელი.

რ. ინჯგიას ფოტოარქივიდან.

◎ გიხარიან!

ბებიამ შვილიშვილს მამის პერანგი გადაულოცა

– ორი კვირაა, რაც ვახტანგი შეგვეძინა. მართალია, ქართული ტრადიციისამებრ, ოჯახის უფროსს თოფი არ უსვრია, მაგრამ მემობლების, მახლობლების თანდასწრებით შამპანურის ბოთლების გახსნის ხმაურით კი დაილია პატარა ბიჭის სადღეგრძელო.

ოჯახში მომლოცველები არ გვაკლია, ამიგომ დაგვიგვიანდა თქვენთვის ჩემი ოჯახის სიხარული რომ მეცნობებინა. არ იკითხავთ ბებიამ ჩვილს რა გადაულოცა? – პირველი შეილიშვილის მამისეული (დედაჩემს ჩემი პერანგი ჰქონია დღემდე შენახული) პერანგი ჩვილს სასთუმალთან დაუდო. ბიჭი ჯერ პაგარაა, რამდენიმე თვის რომ გახდება, ბავშვს ჩემი რძალი ბებიას ნაჩუქარ მამისეულ პერანგს მაშინ ჩააცმევს. ცოლ-შვილი ახლა სოფელში მყავს გაგზავნილი, სანახავად ჩამოვედი და ამ ამბავსაც აქედან გაგყობინებთ.

ვალიკო წურწუმია,
ჩხოროწყუ,

ვაქმიანობას ვულოცავთ წურწუმიების ოჯახს, პაპარა ვახტანგს კარგ მომავალს ვუსურვებთ.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

◎ ცოტაც გავიღიმოთ...

– კაპიტანო, ვაშა! მიწა მოჩანს.

– თავადაც ვხედავ. დავიწყოთ კატაპულტირება!

* * *

ამ ბოლო ხანს ძალიან გავიზარდეთ, მოვძლიერდით და ახლა ბენზინის ფასს ევროპულ დონემდე გავზრდით!

* * *

პავლოვს ბავშვობაში ძაღლმა უკბინა. უკბინა და, დაივიწყა. პავლოვი კი გაიზარდა და არ დავიწყნია.

* * *

ქალიშვილი ხალხით გადაჭედილი მეტროთი მგზავრობს. უცებ იგრძნო, რომ ვიღაცამ ხელი თეძოზე დაადო.

– ბატონო ჩემო, ხომ არ ინებებით ხელის სხვაგან გაწევას? – ირონიულად კითხულობს შემობრუნებული ქალიშვილი.

– კი მინდა, მაგრამ ვერ ვბედავ.

* * *

პრეზერვატივი – ეს ისეთი ნივთია, რომელიც არ გამოგადგება, როდესაც გაქვს, ძალიან გჭირდება, როდესაც იგი არა გაქვს, ხოლო თუ გაქვს და მისი გამოყენება ვერ მოახერხე, მუდამ გამოჩნდება ცოლი, რომელიც მას ჯიბეში აღმოგიჩენს!

* * *

– წარმოგიდგენია? ამბობენ, რომ წლევანდელი ახალი წელი პარასკევს დაემთხვევა, – ეუბნება ერთი ქერათმიანი ქალი მეორეს.

– რას იზამ, რაც არის, არის! მთავარია, ამ თარს ცამეტ რიცხვს არ დაემთხვეს!

◎ მოვლენის წინ

ისევ „პრომეთეს“ თაოსნობით

5 ოქტომბრიდან კინოთეატრები „რუსთაველი“, „ამირანი“, კინოს სახლი და მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი უმასპინძლებენ თბილისის მე-5 საერთაშორისო ფესტივალს, რომლის თაოსანია კინოხელოვნების ცენტრი „პრომეთე“, მისი პარტნიორები არიან მერიის კულტურის სამსახური, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი. „რუსთაველში“ საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ფესტივალს გახსნის ამერიკული რეჟისორის სპაიკ ლის ფილმი „ 25-ე საათი“.

შარშანდელივით, წლეულსაც მერიის კულტურის სამსახურმა თავისი წილი 25 ათასი ლარი გაიღო ფესტივალისთვის. ცხადია, ეს ბღვაში წვეთია, მაგრამ კინოფორუმს სხვა მხარდამჭერნიც გამოუჩნდნენ. მაგალითად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი. ცოტ-ცოტა დაეხმარნენ „თიბი-სი ბანკი“, „კანარგო სტანდარტ ოილი“, „აირზენა“, „საქტელკომ პლუსი“, „კასტელი“, ჯოეთეს ინსტიტუტი, სხვადასხვა საელჩოები. კინოფესტივალის დირექტორის **გაგა ჩხეიძის** თქმით, წლეულს ფესტივალს გაცილებით მეტი – 35 სტუმარი ეყოლება, ვიდრე სხვა დროს. რეჟისორების გარდა, სტუმართა შორის იქნებიან კინომცოდნეები, მსახიობები, პროდიუსერები. გაფართოვდა ფესტივალის გეოგრაფიაც – 20-მდე ქვეყნის კინემატოგრაფია მონაწილეობს. ჩვენი მიზანია ქართული კინოს გამოცოცხლება, – ამბობს გაგა ჩხეიძე.

ფესტივალის პროგრამა, როგორც ყოველთვის, მრავალფეროვანია. სულ გათვალისწინებულია 74 მხატვრული, მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმის ჩვენება. როგორც ცნობილია, ფესტივალი მოიცავს კონკურსს. მისი მთავარი თემა კვლავ ახალგაზრდა, თანამედროვე გმირია, რომელიც თავისი ადგილის დამკვიდრების ძიებაშია.

საერთაშორისო ჟიურის უხელმძღვანელებს გერმანელი კინომცოდნე **ულრიხ გრეგორი.** მის შემადგენლობაში არიან ჩეხი კინომცოდნე **ტერეზა ბრდეჩკოვა,** ნიდერლანდელი კინორეჟისორი **ინეკე სმიგსი,** ფრანგი კინომცოდნე **პიერ-ანრი დელო** და ქართველი მსახიობი **ნინო კობერიძე.** კონკურსში მონაწილეობს ათი ფილმი, რომელთა შორის არის შვეიცარიელი რეჟისორის რუდოლფ იულას „კათოლიკა“. ფილმის ჩვენებას ესწრებიან თავად რეჟისორი და პროდიუსერი – სარა ლიო. ფილმში მთავარ როლს ასრულებს ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე. უნგრელი კანონწარმოება ნიმროდ ანგალის „კონტროლით“ იქნება წარმოდგენილი. ცნობილი ბულგარელი რეჟისორი კრასიმირ კრიუმოვის ფილმი „ერთი ცის ქვეშ“ სოფლელი გოგონას ცხოვრებაზე მოგვითხრობს, რომელსაც მამის საძებრად სურს თურქეთში წასვლა. კონკურსზე ნიდერლანდელი ფილმის „ლულუს“ მსოფლიო პრემიერა შედგება. მის ჩვენებას დაესწრებიან რეჟისორები და მთავარი როლის შემსრულებელი ვლატკა სიმაკი. ისრაელი წარმოადგენს რაანაან ალექსანდროვიჩის ფილმს „ჯეიმსის მოგზაურობა იერუსალიმში“. იგი 2003 წლის კანის კინოფესტივალის შემდეგ მონაწილეობდა 40-მდე ფეს-

ტივალში, მიღებული აქვს ვალენსიის კინოფესტივალის „ოქროს პალმა“, ინდიანაპოლისის ფესტივალის „ბროლის გული“. საკონკურსოდ წარმოდგენილია, აგრეთვე, ავსტრიული, ირანული, გერმანული, პოლონური კინოპროდუქცია. აი, ეს ქვეყნები შეეპაექრებიან ერთმანეთს ოქროსა და ვერცხლის პრომეთეს, ორი საუკეთესო ფილმისა და საუკეთესო რეჟისურის ნომინაციაში. სამწუხაროდ, კონკურსში ქართული ფილმი არ მონაწილეობს.

კინოფესტივალი არ ღალატობს ტრადიციას და პროგრამას საინტერესო რუბრიკებით ამდიდრებს. „ევროპული კინოს ფორუმი“ მაყურებელი იხილავს 12 ფილმს. სამ-სამ ფილმს მოიცავს რუბრიკები „ჰორიზონტები“ და „ბერლინის ახალი კინოს საერთაშორისო ფორუმი“. ამჯერად ფართოდ იქნებიან წარმოდგენილი ქართველი დოკუმენტალისტები. მაყურებელი ნახავს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში გადაღებულ დათო ჯანელიძის, დავით ჩუბინიშვილის, ალექსანდრე და გიორგი ქორიძეების, ზაზა რუსაძის, ნინო კირთაძის, ანდრო ჭიაურელის ფილმებს. ქართველ ავტორთა სიმრავლით იქნება გამორჩეული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენებაც.

წლეულს კინომარათონის სტუმარია ბეერუთის კინოსკოლა. ახალგაზრდა ლიბანელი რეჟისორები სტუდენტური პროგრამით ექვს ფილმს გვიჩვენებენ.

გერმანელ ჩარლი ჩაპლინად წოდებული, დიდი გერმანელი მსახიობის კარლ ვალენტინის შემოქმედებაზე ისაუბრებს კლაუს ედერი, კინემატოგრაფისტთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი. იგი ამავე დროს მოაწყობს შეხვედრას ქართველ კინომცოდნეებთან „ფიპრესის“ ადგილობრივი განყოფილების დაფუძნების თაობაზე.

ფესტივალის პროგრამაშია ორი მნიშვნელოვანი თარიღი. ნაგო ვაჩნაძის ასი წლისთავს მიეძღვნა კოტე მარჯანიშვილის „ამოკის“ ჩვენება, სერგო ფარაჯანოვის 80 წლისთავის აღსანიშნავად კი მოეწყობა რეტროსპექტივა, გამოფენა და კონფერენცია. ფარაჯანოვის საღამო შარდენის ქუჩაზე გაიმართება.

საქართველოში არსებული კინოთეატრების სავალალო მდგომარეობა ყველამ იცის. ამ მხრივ უთუოდ საინტერესო იქნება გერმანელი კინომცოდნეების ერიკა და ულრიხ გრეგორების გოეთეს ინსტიტუტში გამართული სემინარი თემაზე: „მუნიციპალური კინოთეატრი“. სემინარს მოჰყვება კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ქალაქებისა და რაიონული ცენტრების წარმომადგენლები. აი სწორედ აქ იქნება მსჯელობა თბილისისა და რაიონის კინოთეატრებში არსებულ მდგომარეობაზე და კინოთეატრების აღდგენის, მუნიციპალური კინოთეატრების ქსელის შექმნის პერსპექტივაზე.

კინოფესტივალი საზეიმოდ დაიხურება 10 ოქტომბერს კინოთეატრ „ამირანში“ – იმედია, იგი თავისებურ ხიბლს შემატებს თბილისის კულტურულ ცხოვრებას.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

◎ ხალხური მედიცინა

სამკურნალო მცენარეების გამოყენებას ისევე დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც კაცობრიობას. ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანები საკვებად მცენარის ნაყოფს, თესლს, ფოთლებს იყენებდნენ. მრავალწლიანმა დაკვირვებებმა ადამიანებს საშუალება მისცა, განესხვავებინათ ისინი მათი სამკურნალო თვისებების მიხედვით.

სამკურნალო მცენარეებით საქართველო ჩინეთზე მდიდარია

პირველი წერილობითი ცნობები სამკურნალო მცენარეების შესახებ, ასირიაში აღმოაჩინეს. აქ ნაპოვნ თიხის ფილებზე ძვირფასი მცენარეებია აღწერილი და ნაჩვენები, რომელი დაავადებების წინააღმდეგ გამოიყენება ისინი. ასირიელებს ცნობები სამკურნალო მცენარეების შესახებ, ძირითადად, შუმერებისა და ბაბილონელებისგან მიუღიათ. ასირიის დედაქალაქ ნინევეაში ყოფილა სპეციალური ბაღი, სადაც სამკურნალო მცენარეებს აშენებდნენ და თვალსაჩინეოთ უურთხილდებოდნენ.

ფარმაკოლოგიამ მრავალი სახის პრეპარატი შეგვიქმნა. მაგრამ მათი ქიმიური შემადგენლობა, ხშირად და სამწუხაროდ, ერთ ორგანოს თუ შველის, მეორეს ავნებს ხოლმე.

– არის კი აქედან გამოსავალი? – ამ კითხვით მივმართეთ საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრს, ხალხური მედიცინის ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ **ანზორ მჭედლიშვილს.**

– არის და ამისათვის ჩინეთის მაგალითიც კმარა, – გვითხრა მან, – ჩინელებმა, მათი ხუთი ათასი წლის ხალხური მედიცინის რეცეპტურის გადასარჩენად, 1993 წელს ტენდერი მოაწყვეს, რის შედეგადაც დაარსდა „ტიანში“ (პრეზიდენტი – ლუ ცი იანი). ამ კორპორაციას 170 ქვეყანაში ხუთ მილიონზე მეტი გამავრცელებელი ჰყავს და დღეისთვის მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს ორგანიზაციად ითვლება.

– როგორ მიაღწიეს ჩინელებმა ასეთ წარმატებას და მსოფლიო კორპორაციების რიგში წამყვანი ადგილი რით დაიმკვიდრეს?

– მათი პრეპარატები მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი რესურსების გამოყენებით მზადდება, მრავალ დაავადებას კურნავს და უკუჩვენება არ გააჩნია. ისინი უმკლავდებიან დიაბეტს, ასთმას, ეპილეფსიას... მთავარი ისაა, რომ საქართველოში არანაკლები ბუნებრივი რესურსები, ხალხური მედიცინის რეცეპტურა და ტექნოლოგია მოგვეპოვება, ანუ გაგვაჩნია ბევრად უფრო ეფექტიანი და მნიშვნელოვანი ათეულობით პრეპარატის ტექნოლოგია, რომელსაც ადამიანის სრულიად გამოჯანმრთელება შეუძლია. მაგალითად, ქოლესტერინის მოსაწესრიგებელი პრეპარატი, ან მცენარეებისგან დამზადებული ინსულინი, რომელიც ცხოველურმე ბევრად იაფი და ეფექტიანია, აგრეთვე, პროსტატის სამკურნალო საშუალება, რომელიც ორ-სამ კვირაში ადამიანს სავსებით კურნავს (პროსტატით კი, 40 წელს გადაცილებულ მამაკაცთა ნახევარზე მეტია დაავადებული) და მრავალი სხვა.

– თუ ასეთი, შეიძლება ითქვას, უნიკალური ტექნოლოგიები გაქვთ, რა გაფერხებთ, რატომ არ უშვებთ და ხალხს შვებას არ ჰგვრით?

– სამწუხაროდ, უფულობას ვერც საქართველოს ეროვნული აკადემია გაექცა, ანუ ჩვენც ამ სასიკეთო საქმისთვის ფინანსური დახმარება, ინვესტორი გვჭირდება, რომელიც, ჯერჯერობით, არ ჩანს.

ახლახან, ფარმაკოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა და გადაწყდა, რომ საქართველოში ფარმაკოლოგიის განვითარებისთვის აუცილებელია სერიოზული ფინანსური დახმარება. ჩვენ კი, ვიმედოვნებთ, ქველმოქმედი ბიზნესმენები ძალისხმევას არ დაიშურებენ ქვეყნისთვის ამ მეგად სასიკეთო და მნიშვნელოვანი საქმის გადასაწყვეტად.

ესაუბრა
ლელა დონაძე.

◎ გამოიცა

წიგნი ჩვენს ხერხემლიანებზე

ქართველ სტუდენტობას და სათანადო ჯგუფის ცხოველთა სპეციალისტებს უჭირდათ სარკვევების შოვნა: მათი ნაწილი დიდი ხნის წინათ იყო გამოცემული; ზოგიც მოძველდა ან სარკვევად უვარგისი იყო. მდგომარეობის გამოსწორება დაიწყო, როდესაც სარკვევების შედგენას ხელი მოჰკიდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა რევაზ ჟორდანიამ, რომელმაც თვითონ შეადგინა ფრინველების, მყვარებისა და ქვეწარმავლების სარკვევები და ამავე დროს გამოიყენა პროფესორ ლევან ნათიძის და ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის მარლენ ბურღულის სარკვევები.

რაც შეეხება ყველა ხერხემლიანი ცხოველის ერთიან სარკვევს – ასეთი დღემდე არავის ჩაუფიქრებია, ამრიგად, ეს პირველი ცდაა. წიგნი ძალზე მოსახერხებელია, რადგანაც მასში თავმოყრილია ყველა, საქართველოში გავრცელებული ხერხემლიანი ცხოველი, ან ისეთები, რომლებიც აქ დროებით იმყოფებიან (მაგ. ფრინველები – გადაფრენების დროს). სარკვევი ტაბულები საკმარისადაა ილუსტრირებული იმისათვის, რომ საკვლევი ცხოველი ზუსტად იქნას გამოცნობილი.

სარკვევი გამოადგებათ სტუდენტებს, საშუალო სკოლებისა თუ კოლეჯების მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, მონადირეებს, ბუნების დაცვის სამსახურებს და ყველა საქართველოს ბუნებით დაინტერესებულ პირებს.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ კარგი და სასარგებლო საქმე გააკეთა (წიგნის რედაქტორია პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი), სარკვევი ჩვენს საზოგადოებაში დიდხანს იმუშავებს.

დავით ჯიოხაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

◎ მკითხველის ფელეტონი

ორშაბათიც გათენდება

ჩვენმა ოპერატიულმა, ჩასაფრებულმა და მარჯვე ტელეჟურნალისტებმა სასწრაფოდ გამოფინეს ეკრანზე ახალი, „სენსაციური“ ამბავი: ორშაბათიდან პარლამენტარების ნაწილი ინგლისური ენის შესწავლას შეუდგება. დეპუტატები კვირაში სამჯერ იმეცადინებენ და ზოგიერთი მათგანი მზად არის, თურმე, დილაადრიან ადგეს და 8 საათზე პარლამენტის შენობაში გამოცხადდეს გაკვეთილზე. ხედავთ, როგორი მსხვერპლის გაღებას აპირებენ ხალხის რჩეულნი! ნეტა ასე ცქვიტად სხდომათა დარბაზში მიდიოდნენ... 11 საათზე!

კარგი და პატიოსანი, უცხო ენის გაძლიერებული თუ გაღრმავებული სწავლის საწინააღმდეგო, ვის რა უნდა ჰქონდეს, მაგრამ არაერთი პარლამენტარი რომ ცოდვილ ქართულს ლაპარაკობს, ეგებ ინგლისურამდე მშობლიურ ენაშიც წაემეცადინათ და ტელეკამერების წინ ამდენი შეცდომა აღარ მოსვლოდათ: სანამ ისწავლიდნენ ინგლისურად გერბი ან რუკა როგორ არის, მანამ ქართულად გაეხსწორებინათ „ღერბი“ და „რუქა“ (რუკა გეოგრაფიული ცნებაა, რუქა კი „სიბრძნე სიცრუისას“ პერსონაჟი); რომ აღარ ეთქვათ „ჩამოეყალიბდეთ რეგლამენტში“ (თუ „რეგლამენტგზე“), „აქ ჩემმა გვარმა გაიღერა“, „ფაქტი სახეზეა“, ეს მუხლი ჩვენ არ გვაწყობს“, რომ განესხვავებინათ „კამპანია“ და „კომპანია“, „მასიური“ და „მასობრივი“, „ცნება“ და „მცნება“, „ეკონომიური“ და „ეკონომიკური“, „აღქმა“ და „აღთქმა“... რომ გადასულიყვნენ „რამოდენიმე“-დან „რამდენიმე“-ზე, „არდადეგები“-დან „არდადეგები“-ზე, „სტეპენდიანტი“-დან „სტიპენდიანტი“-ზე, „აბსოლიტური“-დან „აბსოლუტური“-ზე, „საქმე იმაშია“-დან „საქმე ის არის“-ზე და სხვა და სხვა...

ჩემი წინადადებაა: კი ბატონო, იმეცადინონ კვირაში სამჯერ ინგლისურში, მაგრამ კვირაში ერთხელ მაინც ივარჯიშონ ქართულ სწორმეტყველებაში, აიმაღლონ მშობლიურ ენაზე მეტყველების კულტურა მათ, ვისაც ეს სჭირდება. დეპუტატებს შორის კი, ვიმეორებთ, ასეთი ცოტა როდია. იეარჯიშონ და აიმაღლონ, რასაკვირველია, შესაბამისი სპეციალისტების ხელმძღვანელობით. ახსოვდეთ, რომ ლაპარაკი პოლიტიკოსისთვის ერთგვარი სადარბაზო ბარათია...

ორშაბათს კი, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ოპერატიული და მარჯვე ტელეჟურნალისტები ჩაუსაფრდებიან, შეიძლება გამოუძინებელ, მაგრამ ნამეცადინებ და მეცადინეობით კმაყოფილ პარლამენტარებს და იქნება ერთი გადაღება, ტელეკამერების წინ კოპწიაობა, ერთი „ჰაუ დუ იუ დუ“, „ო-კეი“, „ოლ რაიტ“ და სხვა (როცა დაიხვეწებიან, „ო-ქეი“ და „ოლ-რაით“...). ნეტავი მშობლიურ ქართულშიც ასე „ჩამოყალიბდებოდნენ“...

ძართლოს ენაძე.

◎ ლარის კურსი

2 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.2875 ლარი
აშშ დოლარი	1	1.8200 ლარი
ევრო	1	2.2570 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0623 ლარი.

დოდო და ზაურ მებონიები სამძიმარს უცხადებენ მარინა, მადონა, ომარ და დათო ჯაიანებს, ღუდა ჯაიანის ოჯახს ბიძის

გენო გელენავას

გარდაცვალების გამო.

თემურ მურღულია ოჯახით და ბორის წიფურია თანაუგრძნობენ ძვირფას მეგობარს გიორგი წურწუმიას მეუღლის ქალბატონ

ჯულიეტა ურიდიას

გარდაცვალების გამო.

ლეონიდე ჯახაია ოჯახით თანაუგრძნობს გიორგი წურწუმიას მეუღლის

ჯულიეტა ურიდიას

გარდაცვალების გამო.

დღის კალენდარი 2 ოქტომბრისთვის

ამოდის 06.57
ჩადის 18.41

(ამოდის 14.02, ჩადის 22.19

წლის 276-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 90 დღე.

საეკლესიო კალენდარი

ხსენება მოწამეთა: ტროფიმესი, სავატისა და დორიმენდოსი (276); მოწამე ზოსიმე მეუდაბნოისა (IV).

დაიბადნენ:

1452 – რიჩარდ III, ინგლისის მეფე, ერთ-ერთი ავბედითი ფიგურა ინგლისის ისტორიაში. გარდაიცვალა 1485 წელს.

1847 – პაულ ფონ ჰინდენბურგი, გერმანელი ფელდმარშალი, გერმანიის პრეზიდენტი 1925– 1933 წლებში. გარდაიცვალა 1934 წელს.

1851 – ფერდინანდ ფოში, საფრანგეთის მარშალი. გარდაიცვალა 1929 წელს.

1852 – უილიამ რამზაი, ინგლისელი ქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 1916 წელს.

1869 – მაჰათამა განდი, ინდიელი პაციფისტი ლიდერი. მოკლეს 1948 წელს.

1904 – გრემ გრინი, ინგლისელი მწერალი. გარდაიცვალა 1991 წელს.

1927 – რევაზ თაბუკაშვილი, მწერალი და კინორეჟისორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1990 წელს.

1934 – ლომერ ახვლედიანი, კინოოპერატორი.

1954 – გოდერძი ჩოხელი, კინორეჟისორი, მწერალი.

გარდაიცვალნენ:

322 ჩვ. წ. – არისტოტელე, ბერძენი ფილოსოფოსი და სწავლული.

1853 – დომინიკ ფრანსუა ჟან არაგო, ფრანგი სწავლული და პოლიტიკური მოღვაწე, დაიბადა 1786 წელს.

1892 – ჟოზეფ ერნესტ რენანი, ფრანგი მწერალი.

1931 – ტომას ლიპტონი, ცნობილი ჩაის კომპანიის დამაარსებელი.

1974 – ვასილი შუკშინი, რუსი მწერალი, კინორეჟისორი და მსახიობი.

მოვლენები:

1187 წელი – ეგვიპტის სულთანმა სალაჰ-ად-დინმა (სალადინმა) ჯვაროსანთა არმია დაამარცხა და დაიპყრო იერუსალიმი.

1540 წელი – ვენეციის რესპუბლიკამ და თურქეთმა სამშვიდობო ხელშეკრულება დადეს.

1836 წელი – ჩარლზ დარვინი მსოფლიოს გარშემო ხუთწლიანი მოგზაურობიდან დაბრუნდა.

1862 წელი – გაიხსნა სანკტ-პეტერბურგის კონსერვატორია.

1870 წელი – რომი ახლად გაერთიანებული იტალიის დედაქალაქი გახდა.

1924 წელი – ერთა ლიგამ დაამტკიცა ჟენევის პროტოკოლი საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ.

დირსსახსოვარი დღეები:

გვინეა – დამოუკიდებლობის დღე.

„მედია-ნიუსი“.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

საიდენტიფიკაციო ნომერი BAT/201
მსოფლიო ბანკის კრედიტი № 3701-GE

ქ. ბათუმში ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე გამავალი ფეკალური კანალიზაციის „ა“ კოლექტორისა და სატუმბო სადგურის რეაბილიტაცია

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. ბათუმში ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე გამავალი ფეკალური კანალიზაციის „ა“ კოლექტორისა და სატუმბო სადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს 1300, 1100, 1000, 800, 600 და 400 მმ დიამეტრის პოლიეთილენის მილების მონტაჟს (საერთო სიგრძით 384 მ). მიწისა და ბეტონის სამუშაოებს. ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობას და სხვა დაკავშირებულ სამუშაოებს (კონტრაქტი № BAT/201). სამუშაოების ხანგრძლივობა 5 თვეა.

2. ტენდერი ჩაგარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების მიხედვით მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესების შესაბამისად. ადგილობრივ კონტრაქტორებს მიენიჭებათ პრეფერენციული შეღავათი.

3. საკონკურსო დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, თბილისი, 0105. ტელ: 94-32-40; 94-29-47, 92-34-70, 92-34-69, ფაქსი: 94-04-39, თითოეული კომპლექტისთვის აუნაზღაურებადი 190 ლარის (ან 100 აშშ დოლარის) გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

ბანკი „რესპუბლიკა“, გრ. აბაშიძის 2. თბილისი. კოდი 220101757,

ლარის ანგარიში №3834080001,
დოლარის ანგარიში №334180001,

ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

საკონკურსო დოკუმენტაცია გაიგზავნება ფოსტით. თუკი კონკურსის მონაწილე მოითხოვს აღნიშნული დოკუმენტაციის მიწოდებას საკურიერო სერვისის მეშვეობით, მან უნდა გადაიხადოს დამატებით 190 ლარი (ან 100 აშშ დოლარი).

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

4. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, თბილისი 0105, არაუგვიანეს 2004 წლის 15 ნოემბრის 12 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 45.000 ლარზე (ან ეკვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში). საკონკურსო წინადადებები გაიხსნება აღნიშნულ მისამართზე 2004 წლის 15 ნოემბრის 12 საათზე კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

5. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
ნომრის მორიგე რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**